

178 /2
1990

ISSN 0132-5981
საქართველოს იურისტთა კავშირი



საქართველოს იურისტთა კავშირი

სახელმწიფო კუ

საქართველო

64
178 /2

4'90

ნომერი 1:

საერთაშორისო პარტი ეკონომიკური, სოციალური და
კულტურული უფლებების უსახება



სამართლებრივი სახელმწიფო: ისტორია და თანამედროვეობა



გალერი პალიცი

CIVITAS AC IUS

სარედაპცონ საგზო:

ვახთანგ აგაშვილი, ლევან ალექსიძე, ანზორ გაგიანი, ოთარ გონიაძე,
 შოთა გორგოძე, გივი ინჯგირელი, აკაკი კარანაძე, ოთარ კაციაძე,
 თენიზ ლილზავგილი, ვალერი ლორია, ღურგიშვან ლორია,
 გიორგი ნადარევიშვილი, ნოდარ ნებიირიძე, ვახთანგ ჩახმაძე, ზურაბ რატიანი,
 გიორგი როინიშვილი, გიორგი ტერზელიძე, მიხეილ უგრეველიძე,
 აკოლონ ფალიავგილი, იაკობ ფურთუაძე, რავახ ყიფიანი, თამაზ ჭავჭალიძე,
 ვიქტორ უარაშვილი, ალექსანდრე ჭუშანავგილი, რაჭილ ჩალაშვილი,
 ირაკლი ჩიქოზიანი, სერგო ჭორბეგაძე.

მთავარი რედაქტორი
 თევდორე რინძა

სარედაპცონ კოლეგია:

ანგი არსენავგილი (მეცნიერ-რედაქტორი), გელა გირემიშვილი (პახუმიანებელი
 მდგრადი), ოთარ გამგრილიძე, როლანდ გილიგავგილი, ავთანაძეილ გეგეტრავგილი,
 ვალერიან ეძღვირავგილი, მიხეილ კეკელიძა, მზავ ლიკვეიშვილი,
 ალექსი კაკუავგილი, თამაზრან სიძამონიძე, ალექსანდრე ტალიავგილი,
 ჯონი ხელორიანი, რუსულან უველიძე, ქონი ჯალაძენია.

სახელმწიფო და სამართალი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

4

1990

საბიბლიუმი

აპრილი

| | |
|--|----|
| საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ | 3 |
| ვლადიკ ნერსესიანცი — სამართლებრივი სახელმწიფო: ისტორია და თანამედროვეობა | 14 |
| თვალსაზრისი | |

| | |
|--|----|
| ვალერი ჭალიძე — სოციალისტური კონსტიტუციის შესახებ | 31 |
| ვალერი გრიგოლაშვილი — „მე ვშიშობ“ — ამბობს ყოფილი ღისიდენტი „ანუ „გადახურული ქვაბი შეიძლება აფეთქდეს“. | 51 |

სასამართლო პრაქტიკა

| | |
|---|----|
| ქეთინ ლუაშვილი — ბოროტი ხულიგნობის სწორი კვალიფიკაციისათვის | 54 |
| ინტერვიუ | 51 |

წირილები რედაქციას

| | |
|--|----|
| კოშა ხარაძე — ტოპონიმებსაც იურიდიული დაცვა სჭირდება! | 64 |
| შედეა ჭაფოძე — მართლმასწულება მხოლოდ ქართულად | 73 |

პერსონალისაბაზი

| | |
|------------------------------------|----|
| გიორგი ტეტელიძე — თინათინ წერეთელი | 75 |
|------------------------------------|----|

ჩსოვნა

| | |
|--|----|
| კოკი ნარმანია — მადლიერების გრძნობით | 79 |
| ზოგიერთი კეკელია — დაუვიწყარი მასწავლებელი და მეგობარი | 80 |

УКАЗАТЕЛЬ



Международный пакт об экономических, социальных и культурных правах

Владик Нерсесянц — Правовое государство: история и современность

14

Точка зрения

Валерин Чалидзе. — О социалистической конституции

31

Валерин Григалашивили — «Я опасаюсь» — говорит бывший дисидент или «перегревший котёл может взорваться»

51

Судебная практика

Кетино Луашвили — К правильной квалификации злостного хулиганства

54

Интервью

61

Письма редакции

Коба Харадзе — Топонимы тоже нуждаются в юридической защите!

64

Медея Чаподзе — Правосудие только на грузинском

73

Персоналии

Георгий Ткешелиадзе — Тинатин Церетели

75

Память

Коки Нармания — С чувством признательности

79

Михаил Кекелия — Незабываемый педагог и друг

80



© „სახელმწიფო და სამართლი“, 1990 წ.

გადაეცა შარმოებას 14. 03. 90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 04. 90 წ.
ფორმატი 70×108¹/16. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7,
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 6,5.

შეკვ. № 654

ტირაჟი 27.000

უკ 04440

၅

სამართლებულების პარტია

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების
გასახელი

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც

ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გამოცხადებული პრინციპების შესაბამისად ადამიანთა ოჯახის ყველა წევრი-სათვის დამახასიათებელი ღირსების, მათი თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება არის თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველი,

აღიარებენ, რომ ეს უფლებები გამომდინარეობენ ადამიანისათვის დამახასიათებელი ღირსებიდან,

აღიარებენ, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, თავისუფალი, შიშისა და გაჭირვებისაგან თავისუფალი ადამიანის პიროვნების იდეალის განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ შეიქმნა ისეთი პირობები, როცა თითოეული შეძლებს ისარგებლოს თავისი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით, ისევე როგორც თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებებით,

ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით სახელმწიფოები ვალდებული არიან წაახალისონ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემა და დაცვა,

ითვალისწინებენ, რომ თითოეული ცალქეული ადამიანი, აქვს რა ვალდებულებანი სხვა ადამიანებისა და იმ კოლექტივის მიშართ, რომელსაც ეკუთვნის, უნდა იღვწოდეს ამ პაქტით აღიარებული უფლებათა წახალისებისა და დაცვისათვის,

შეთანხმდნენ შემდეგი მუხლების გამო:

ნაწილი I

მუხლი 1

1. ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად აწესებენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფენ თავიანთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას.

2. ყველა ხალხს თავისი მიზნების მისაღწევად შეუძლია თავისუფლად მოიხმაროს თავისი ბუნებრივი სიმდიდრეები და ჩასურსები ისე, რომ ზიანი



არ მიაყენოს ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე რაიმე ვალდებულებას, არც ერთ ხალხს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წაერთვას საარსებო სახსრები, რომლებიც მას ეკუთვნის.

3. ამ პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფო, მათ შორის ის სახელმწიფოები, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა არათვითმმართველი და სამეურნეო ტერიტორიების მართვისათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად ხელს უწდა უწყობდნენ თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას და პატივს სცემდნენ ამ უფლებას.

ნაწილი II

მუხლი 2

1. ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას ინდივიდუალური წესით და საერთაშორისო დახმარებისა და თანამშრომლობის, კერძოდ ეკონომიკურ და ტექნიკურ დარგებში საერთაშორისო დახმარებისა და თანამშრომლობის წესით, არსებული რესურსების მაქსიმალურ ფარგლებში მიიღოს ზომები, რათა თანდათან უზრუნველყოს ამ პაქტით აღიარებული უფლებების სრული განხორციელება ყველა მართებული საშუალებით, მათ შორის, კერძოდ, საკანონმდებლო ონისძიებათ მიღებით.

2. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, უზრუნველყონ, რომ ამ პაქტით გამოცხადებული უფლებები განხორციელდება რაიმე დისკრიმინაციის გარეშე, როგორიცაა დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამისის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა გარემოების გამო.

3. განვითარებად ქვეყნებს შეუძლიათ აღამიანის უფლებებისა და თავისთი სახალხო მეურნეობის სათანადოდ გათვალისწინებით განსაზღვრონ თუ რამდენად უზრუნველყოფენ ამ პაქტით აღიარებულ უფლებებს იმ პირთავის, რომლებიც მათი მოქალაქენი არ არიან.

მუხლი 3

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ მამაკაცებისა და ქალების თანასწორი უფლება ისარგებლონ ამ პაქტით გათვალისწინებული ყველა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებით.

მუხლი 4

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ იმ უფლებათა გამოყენების მხრივ, რომლებსაც ესა თუ ის სახელმწიფო უზრუნველყოფს ამ პაქტის შესაბამისად, ამ სახელმწიფოს შეუძლია შემოიღოს ამ უფლებათა მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებსაც განსაზღვრავს კანონი, და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს შეეთავსება აღნიშნულ უფლებათა ბუნებას, და მხოლოდ იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს საერთო კეთილდღეობას დემოკრატიულ საზოგადოებაში.

1. ამ პაქტში არ შეიძლება არაფრის განმარტება ისე, თითქოს ნიშნავდეს რომ რომელიმე სახელმწიფოს, რომელიმე ჯგუფს ან რომელიმე პირს ჰქონდეს უფლება ეწეოდეს რაიმე საქმიანობას ან სჩადიოდეს რაიმე მოქმედებას, რომელთა მიზანია ამ პაქტით აღიარებული რომელიმე უფლებისა თუ ვალდებულების მოსპობა ან მათი შეზღუდვა უფრო მეტად, ვიდრე ეს პაქტი ითვალისწინება.

2. ადამიანის რაიმე ძირითადი უფლებები, რომლებიც აღიარებულია ან კანონის, კონვენციების, წესებისა თუ ზნე-ჩევეულებების ძალით არსებობს რომელიმე ქვეყანაში, არ შეიძლება შეიზღუდოს ან დაკინდეს იმ საბაბით, რომ ამ პაქტში ასეთი უფლებები აღიარებული არ არის ან აღიარებულია ნაკლები მოცულობით.

ნაწილი III

მუხლი 6

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც შეიცავს თითოეული ადამიანის უფლებას საარსებო სახსრები მოიპოვოს საკუთარი შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩივს ან თავისუფლად დათანხმდება და განახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს ამ უფლების უზრუნველყოფისათვის.

2. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა ღონისძიებანი ამ უფლების სრული განხორციელების მიზნით, შეიცავენ პროფესიულ-ტექნიკური სწავლებისა და მომზადების პროგრამებს, განუხრელი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისა და ისეთ პირობებში სრული საწარმოო დასაქმების გზებსა და მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის ძირითად პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისუფლებებს.

მუხლი 7

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეულის უფლებას ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელშემწყობი პირობები, მათ შორის, კერძოდ:

ა) ანაზღაურება, რომელიც ყველა მშრომელისათვის როგორც მინიმუმს უზრუნველყოფს:

i) სამართლიან ხელფასს და თანაბარ ანაზღაურებას ტოლფასოვანი შრომისათვის რაიმე განსხვავების გარეშე, ამასთან კერძოდ, ქალებისათვის გარანტირებული უნდა იყოს შრომის ისეთი პირობები, რომლებიც მამაკაცთა შრომის პირობებზე უარესი არ იქნება, და თანაბარი ანაზღაურება თანაბარი შრომისათვის;

ii) მათი და მათი ოჯახების დამაკმაყოფილებელი არსებობა ამ პაქტის დებულებათა შესაბამისად;

b) უსაფრთხოებისა და ჰიგიენის მოთხოვნების შესაბამისი შრომის პირობები;

c) ყველასათვის ერთნაირი შესაძლებლობა სამუშაოზე დაწინაურდეს შე-

საბამის უფრო მაღალ საფეხურზე მხოლოდ და მხოლოდ შრომითი სტუდენტის
და კვალიფიკაციის საფუძველზე;

დ) დასვენება, თავისუფალი დრო და სამუშაო დროის გონივრული შეზ-
ღუდვა და პერიოდული ანაზღაურებული შვებულება, ისევე როგორც ანაზ-
ღაურება უქმე დღეებისათვის.

მუხლი 8

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას
უზრუნველყონ:

ა) თითოეული ადამიანის უფლება თავისი ეკონომიკური და სოციალური
ინტერესების განხორციელებისა და დაცვისათვის შექმნას პროფესიული კავ-
შირები და შევიდეს ასეთ კავშირებში თავისი არჩევანით და ერთადერთი პი-
რობით რომ შეასრულებს შესაბამისი ორგანიზაციის წესებს. აღნიშნული უფ-
ლების გამოყენება არ ეჭვემდებარება არავითარ შეზღუდვებს იმ შეზღუდვე-
ბის გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და დემოკრატიულ სა-
ზოგადოებაში საჭიროა სახელმწიფო უშიშროებისა თუ საზოგადოებრივი წეს-
რიგის ინტერესებისათვის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების და-
საცავად;

ბ) პროფესიული კავშირების უფლება შექმნან ეროვნული ფედერაციები
ან კონფედერაციები და ამ უკანასკნელთა უფლება შექმნან საერთაშორისო
პროფესიული ორგანიზაციები ან შეუერთდნენ მათ;

ც) პროფესიული კავშირების უფლება იმუშაონ შეუფერხებლად რამე
შეზღუდვების გარეშე იმ შეზღუდვების გარდა, რომლებიც გათვალისწინებუ-
ლია კანონით და საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშ-
როებისა თუ საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებისათვის ან სხვათა უფლე-
ბებისა და თავისუფლების დასაცავად;

დ) გაფიცვების უფლება იმ პირობით, რომ ეს უფლება ხორციელდებო-
დეს თითოეული ქვეყნის კანონების შესაბამისად.

2. ეს მუხლი არ ეწინააღმდეგება იმას, რომ კანონიერი შეზღუდვები შე-
მოიღონ ამ უფლებების გამოყენებაზე იმ პირთა მიერ, რომლებიც შედიან
სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების, პოლიციისა თუ აღმინისტრაციის შე-
მაღენლობაში.

3. ამ მუხლში არაფერი არ აძლევს უფლებას იმ სახელმწიფოებს, რომ-
ლებიც მონაწილეობენ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1948 წლის
კონვენციის ასოციაციათა თავისუფლებისა და ორგანიზაციის უფლების დაც-
ვის შესახებ, მიიღონ საკანონმდებლო აქტები აღნიშნული კონვენციით გათ-
ვალისწინებული გარანტიების საზიანოდ ან გამოიყენონ კანონი ისე, რომ ზი-
ანი მიაყენონ ამ გარანტიებს.

მუხლი 9

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის
უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალური დაზღვევის ჩათვლით.

ამ პაქტში მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ:

1. ოჯახს, რომელიც საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჭრედი, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობის დაგვარად ყველაზე ფართო დაცვა და დახმარება, განსაკუთრებით მისი შექმნის დროს და სანამ ეკისრება პასუხისმგებლობა და ზრუნვა ბავშვებისა და მათი აღზრდისათვის, ვიდრე ისინი დამოუკიდებელი გახდებოდნენ. ქორწინება უნდა ხდებოდეს მექორწინეთა თავისუფალი თანხმობით.

2. განსაკუთრებული დაცვა უნდა ჰქონდეთ დედებს მშობიარობამდე და მის შემდეგ გონივრული პერიოდის მანძილზე. ამ პერიოდის მანძილზე მომუშავე დედებს უნდა ეძლეოდეს ანაზღაურებული შვებულება ან შვებულება, რომლის დროს მისცემენ საქმარის დახმარებას სოციალური უზრუნველყოფის ხაზით.

3. დაცვისა და დახმარების განსაკუთრებული ღონისძიებანი უნდა ხორციელდეს ყველა ბავშვისა და მოზარდის მიმართ ოჯახური წარმოშობის ნიშნისა თუ რაიმე სხვა ნიშნის მხედვით რაიმე დისკრიმინაციის გარეშე. ბავშვები და მოზარდები დაცული უნდა იყვნენ ეკონომიკური და სოციალური ექსპლოატაციისაგან. მათი ზნეობისა და ჯანმრთელობისათვის მავნე ან სიცოცხლისათვის საშიშ ან სხვა იმ დარგში მათი შრომის გამოყენება, რომელსაც შეუძლია ავნოს მათ ნორმალურ განვითარებას, კანონით უნდა ისჯებოდეს. გარდა ამისა, სახელმწიფოებმა უნდა დააწესონ ასაკობრივი საზღვრები, რომელთა ქვემოთ ბავშვთა ფასიანი შრომის გამოყენება აკრძალულია და კანონით ისჯება.

მუხლი 11

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეულის უფლებას ჰქონდეს სათანადო კვება, ტანსაცმელი და ბინა, აგრეთვე უფლებას განუწყვეტილივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს. პაქტის მონაწილე სახელმწიფონი, რომლებიც აღიარებენ, რომ ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს თავისუფალ თანხმობაზე დაფუძნებულ საერთაშორისო თანამშრომლობას, მიღებენ სათანადო ზომებს ამ უფლების განხორციელების უზრუნველყოფისათვის.

2. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, აღიარებენ რა თითოეული ადამიანის ძირითად უფლებას იყოს თავისუფალი შიმშილისაგან, ინდივიდუალურად და საერთაშორისო თანამშრომლობის წესით უნდა ახორციელებდნენ საჭირო ღონისძიებებს, მათ შორის ასრულებდნენ კონკრეტულ პროგრამებს. იმისათვის, რომ:

ა) გააუმჯობესონ სურსათის წარმოების, შენახვისა და განაწილების მეთოდები ტექნიკური მეცნიერული ცოდნის ფართოდ გამოყენების, კვების პრინციპების შესახებ ცოდნის გავრცელებისა და აგრძელების სისტემების ისეთი სრულყოფისა თუ რეფორმის გზით, რომ მიაღწიონ ბუნებრივი რესურსების ყველაზე ეფექტურ ათვისებასა და გამოყენებას; და

б) უზრუნველყონ სურსათის მსოფლიო მარაგის სამართლიანი განაწილება როგორც სურსათის იმპორტიორი, ისე ექსპორტიორი ქვეყნების მოთხოვნილებათა შესაბამისად და პრობლემების გათვალისწინებით.

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას ჰქონდეს ფიზიკური და ფინანსური ჭანმრთელობის უმაღლესი დონე.

2. ლონისძიებანი, რომლებიც ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ ამ უფლების სრული გამოყენებისათვის, შეიცავენ ლონისძიებებს, რომლებიც საჭიროა:

a) მკერძოდშობადობისა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისა და ბავშვის ჯანსაღი განვითარების უზრუნველყოფისათვის;

b) გარემოს პიგიენისა და მრეწველობაში შრომის პიგიენის ყველა ასპექტის გაუმჯობესებისათვის;

c) ეპიდემიური, ენდემიური, პროფესიული და სხვა დაავადებების თავიდან აცილებისა და მათს წინააღმდეგ ბრძოლისათვის;

d) ისეთი პირობების შექმნისათვის, რომლებიც ყველასათვის უზრუნველყოფენ სამედიცინო და მართვის მოვლას ავადმყოფობის შემთხვევაში.

მუხლი 13

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის განათლების უფლებას. ისინი თანახმა არიან, რომ განათლება მიზნად უნდა ისახავდეს ადამიანის პიროვნებისა და მისი ლიჩესების შეგნების სრულ განვითარებას და უნდა განამტკიცებდეს ადამიანის უფლებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემას. შემდეგ ისინი თანახმა არიან, რომ განათლებამ ყველას უნდა მისცეს შესაძლებლობა იყოს თავისუფალი საზოგადოების მონაწილე, ხელს უწყობდეს ყველა ერისა და ყველა რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას და ეხმარებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობას მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

2. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ამ უფლების სრულად განხორციელებისათვის:

a) დაწყებითი განათლება უნდა იყოს ყველასათვის სავალდებულო და უფასო;

b) საშუალო განათლება და მისი სხვადასხვა ფორმა, მათ შორის პროფესიულ-ტექნიკური საშუალო განათლება, უნდა იყოს ღია და ყველასათვის მისაწვდომი ყველა საჭირო ლონისძიებათა განხორციელების და, კერძოდ, უფასო განათლების თანდათან შემოღების გზით;

c) უმაღლესი განათლება უნდა გახდეს ერთნაირად მისაწვდომი ყველასათვის თითოეულის ნიჭის საფუძველზე, ყველა საჭირო ლონისძიების განხორციელების, და, კერძოდ, უფასო განათლების თანდათან შემოღების გზით;

d) შესაძლებლობისდაგვარად უნდა ხდებოდეს ელემენტარული განათლების წახალისება ან ინტენსიფიკაცია იმათვის ვისაც არ გაუგლია ან არ დაუმთავრებია თავისი დაწყებითი განათლების სრული კურსი;

e) აქტიურად უნდა ხორციელდებოდეს ყველა საფუძველის სკოლების ქსელის განვითარება, უნდა დაწესდეს სტაციონარული დამაკმაყოფილებელი სის-

ტემა და განუწყვეტლივ უმჯობესდებოდეს მასწავლებელთა პერსონალის მა-
ტერიალური პირობები.

3. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას
პატივი სცენ მშობლებისა და, შესაბამის შემთხვევებში, კანონიერი მეურვე-
ების თავისუფლებას თავიანთი ბავშვებისათვის პირჩიონ არა მარტო სახელ-
მწიფო ხელისუფალთა მიერ გახსნილი სკოლები, არამედ აგრეთვე სხვა სკო-
ლები, რომლებიც შეესაბამებიან განათლების მოთხოვნების იმ მინიმუმს,
რომელიც შეიძლება დაადგინოს ან დაამტკიცოს სახელმწიფომ, და უზრუნ-
ველყონ თავიანთი ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა თავიანთი
საკუთარი რწმენის შესაბამისად.

4. ამ მუხლის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება განმარტებული იყოს ისე,
რომ დაენინდეს ცალკეულ პირთა და დაწესებულებათა თავისუფლება შექ-
მნან სასწავლებლები და უხელმძღვანელობ მათ იმ უცვლელი პირობით, რომ
დაიცავენ ამ მუხლის I პუნქტში ჩამოყალიბებულ პრინციპებს და მოთხოვნას,
რომ ასეთ სასწავლებლებში მიღებული განათლება შეესაბამებოდეს მოთხოვ-
ნების იმ მინიმუმს, რომელიც შეიძლება დააწესოს სახელმწიფომ.

მუხლი 14

ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო, რომელმაც პაქტის მონა-
წილედ შესვლის დროისათვის თავისი მეტრობოლიის ტერიტორიასა თუ მის
იურისდიქციაში მყოფ სხვა ტერიტორიებზე ვერ დააწესა სავალდებულო
უფასო დაწყებითი განათლება, კისრულობს ვალდებულებას ორი წლის მან-
ძილზე შეიმუშაოს და მიიღოს ღონისძიებათა ვრცელი გეგმა, რათა თანდა-
თან — წლების გონივრული რაოდენობის მანძილზე, რაც აღნიშინული უნდა
იყოს ამ გეგმაში, — თანდათან განახორციელოს სავალდებულო უფასო საყო-
ველთან განათლების პრინციპი.

მუხლი 15

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული აღამი-
ანის უფლებას:

- a) მონაწილეობდეს კულტურულ ცხოვრებაში;
- b) სარგებლობდეს მეცნიერული პროგრესის შედეგებით და პრაქტიკუ-
ლად იყენებდეს მათ;

c) სარგებლობდეს იმ მორალური და მატერიალური ინტერესების დაც-
ვით, რომლებიც ჩნდება ყველა იმ მეცნიერული, ლიტერატურულ თუ მხატ-
ვრულ ნაშრომთან დაკავშირებით, რომელთა ავტორია.

2. ღონისძიებანი, რომლებიც უნდა მიიღონ ამ პაქტის მონაწილე სახელ-
მწიფოებმა ამ უფლების სრული განხორციელებისათვის, შეიცავენ იმ ღონის-
ძიებებს, რომლებიც საჭიროა მეცნიერებისა და კულტურის მიღწევათა დაც-
ვის, განვითარებისა და გავრცელებისათვის.

3. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას
პატივი სცენ თავისუფლებას, რომელიც უთუოდ აუცილებელია მეცნიერული
კვლევისა და შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

4. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ. რომ დიდად სასარ-



ნაწილი I

მუხლი 16

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას პაქტის ამ ნაწილის შესაბამისად წარადგინონ მოხსენებანი თუ რა ღონისძიებებს ასორციელებენ და რა პროგრესს მიაღწიეს ამ პაქტით აღიარებული უფლებების დაცვის გზაზე.

2. a) ყველა მოხსენებას წარუდგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც მათს ეგზემპლარებს განსახილვებად უზავნის ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს ამ პაქტის დებულებათა შესაბამისად.

b) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი სპეციალიზებულ დაწესებულებებს უგზავნის აგრეთვე ამ პაქტის მონაწილე იმ სახელმწიფოთა მოხსენებებს ან მოხსენებათა რომელიმე შესაბამის ნაწილს, რომლებიც ამ სპეციალიზებულ დაწესებულებათა წევრებიც არიან, რამდენადც ასეთი მოხსენებები ან მოხსენებათა ნაწილები მათი კონსტიტუციური აქტების შესაბამისად, ეხება ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა მოვალეობების ფარგლებში შემავალ რომელიმე საკითხს.

მუხლი 17

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ მოხსენებებს წარადგენენ ეტაპობრივად იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ ერთი წლის მანძილზე ამ პაქტის ძალაში შესვლის შედეგ უნდა დაადგინოს მონაწილე სახელმწიფოებთან და დაინტერესებულ სპეციალიზებულ დაწესებულებებთან კონსულტაციით.

2. მოხსენებებში შეიძლება აღინიშნოს ფაქტორები და სიძნელეები, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ პაქტით დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების ღონებზე.

3. თუ შესაბამისი ცნობები გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ან რომელიმე სპეციალიზებულ დაწესებულებას აღრე შეატყობინა ამ პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფომ, საჭირო აღარ არის ამ ცნობების განმეორება და საკმარისი იქნება ასეთნაირად შეტყობინებული ცნობების ზუსტი დამოწმება.

მუხლი 18

აღამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარგში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია შეუთანხმდეს სპეციალიზებულ დაწესებულებებს იმის თაობაზე. რომ წარუდგინონ მოხსენებანი ამ პაქტის იმ დებულებათა შესრულების გზაზე მიღწეული პროგრესის შესახებ, რომლებიც განეკუთვნება მათი საქმიანობის სფეროს. ეს მოხსენებები

შეიძლება შეიცავდნენ ასეთი განხორციელების შესახებ მათი კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა და რეკომენდაციათა დაწყრილებით ცნობებს.

მუხლი 19

ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია ადამიანის უფლებათა კომისიის განსახილველად და ზოგადი რეკომენდაციების მისაცემად ან, შესაბამის შემთხვევებში, ცნობად გადასცეს მოხსენებები, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებებს, და რომლებსაც სახელმწიფო ორგანიზაციები წარადგენენ მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად, აგრეთვე მოხსენებები, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებებს და მათ სპეციალიზებული დაწესებულებაზი წარადგენენ მე-18 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 20

ამ პაქტის მონაწილე დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანიზაციებსა და სპეციალიზებულ დაწესებულებებს მე-19 მუხლის თანხმად შეუძლიათ ეკონომიკურ, და სოციალურ საბჭოს წარუდგინონ შენიშვნები ყველა ზოგადი რეკომენდაციის გამო ან ადამიანის უფლებათა კომისიის რომელიმე მოხსენებასა თუ რომელიმე სხვა დოკუმენტში მითითებული ასეთი ზოგადი რეკომენდაციის გამო.

მუხლი 21

ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია დრო და დრო წარუდგინოს გენერალურ ასამბლეას მოხსენებები, რომლებშიც იქნება ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები და ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფო ორგანიზაციებისა და სპეციალიზებული დაწესებულებებისაგან მიღებული იმ ცნობების მოქლე შინაარსი, რომლებიც ეხება ამ პაქტით იღიარებული უფლებების საყოველთაო დაცვის უზრუნველყოფისათვის განხორციელებულ ღონისძიებებსა და მიღწეულ შემთხვევებს.

მუხლი 22

ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოების, მათი დამხმარე ორგანოებისა და ტექნიკური დახმარების სპეციალიზებულ დაწესებულებათა ყურადღება მიაქციოს პაქტის ამ ნაწილში აღნიშნულ მოხსენებებთან დაკავშირებით წამოჭრილ ყველა საკითხს, რომლებიც შესაძლოა სასარგებლო იყოს ამ ორგანოებისათვის, როცა თითოეულ მათგანს თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოაქვს გადაწყვეტილებანი, თუ რამდენად მიზანშეწონილია საერთაშორისო ღონისძიებანი, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ ამ პაქტის თანდათან და ეფუძნოს ხორციელებას.

მუხლი 23

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფო ორგანიზაციები შეთანხმდნენ, რომ ამ პაქტით იღიარებული უფლებების განხორციელების ხელშემწყობ საერთაშორისო ღონისძიებას.



ძებებს განეკუთვნება ისეთი საშუალებების გამოყენება, როგორიცაა კონკრეტული ციათა დადება, ჩეკომენდაციათა მიღება, ტექნიკური დახმარების გაწევა და კონსულტაციების მიზნით ჩეგიონალური თათბირებისა და ტექნიკური თათბირების მოწვევა, აგრეთვე დაინტერესებულ მთავრობებთან ერთად ორგანიზებული გამოკვლევები.

მუხლი 24

ამ პაქტში არაფერი არ უნდა იყოს განმარტებული როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სპეციალიზებული დაწესებულებების სხვადასხვა ორგანოს შესაბამის მოვალეობათა განმსაზღვრელ სპეციალიზებულ დაწესებულებათა წესდებების დებულებათა მნიშვნელობის დაკნინება იმ საკითხებში, რომლებსაც ეხება ეს პაქტი.

მუხლი 25

ამ პაქტში არაფერი არ უნდა იყოს განმარტებული როგორც დაკნინება შველა ხალხის განუყოფელი უფლებისა მთლიანად და თავისუფლად ფლობდნენ და სარგებლობდნენ თავიანთი ბუნებრივი სიმდიდრეებითა და ჩესურს ებით.

ნაწილი 4

მუხლი 26

1. ამ პაქტს შეუძლია ხელი მოაწეროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა ყველა სახელმწიფომ ან ყველა მისი სპეციალიზებული დაწესებულების წევრმა, საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის მონაწილე ყველა სახელმწიფომ და ყველა სხვა სახელმწიფომ, რომელსაც გაერთიანებული უჩების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა შესთავაზებს ამ პაქტში მონაწილეობას.

2. ეს პაქტი რატიფიცირებული უნდა იყოს. სარატიფიკაციო სიგელები დეპონირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივნთან.

3. ამ პაქტს შეუძლია შეუერთდეს ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული ყველა სახელმწიფო.

4. შეერთებისათვის საჭიროა შეერთების დოკუმენტის დეპონირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივნთან.

5. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ატყობინებს ყველა სახელმწიფოს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ პაქტს ან შეუერთდნენ მას, თითოეულ სარატიფიკაციო სიგელისა თუ შეერთების დოკუმენტის დეპონირების შესახებ.

მუხლი 27

1. ეს პაქტი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან დეპონირებული იქ-

ნება ოცდამეთხუთმეტე სარატიფიკაციო სიგელი ან შეერთების დოკუმენტის
 2. თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ პაქტის რატიფიკაციას
 ახდენს ან უერთდება მას ოცდამეთხუთმეტე სარატიფიკაციო სიგელისა ან
 შეერთების დოკუმენტის დეპონირების შემდეგ, ეს პაქტი ძალაში შედის სა-
 მი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა დეპონირებული იქნება მისი საკუთარი
 სარატიფიკაციო სიგელი თუ შეერთების დოკუმენტი.

მუხლი 28

ამ პაქტის დებულებანი ვრცელდება ფედერაციულ სახელმწიფოთა ყველა
 ნაწილზე რამე შეზღუდვისა თუ გამოკლების გარეშე.

მუხლი 29

1. ამ პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს გა-
 წორებანი და წარუდგინოს ისინი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გე-
 ნერალურ მდივანს. გენერალური მდივანი შემდეგ შემოთავაზებულ გასწო-
 რებებს უგზავნის ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს და სთხოვს შეატყო-
 ბინონ, მომხრე არიან თუ არა, რომ მოიწვიონ მონაწილე სახელმწიფოთა კონ-
 ფერენცია ამ წინადაღებათა განსახილველად და მათვის კენჭის საყრელიად.
 თუ მონაწილე სახელმწიფოთა სულ ცოტა მესამედი მხარს დაუჭირს ასეთ
 კონფერენციას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი
 იწვევს ამ კონფერენციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით.
 ყველა გასწორებას, რომელსაც მიიღებს ამ კონფერენციის დამსტრე და კენ-
 ჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა, დასამტკიცებლად წარუდ-
 გენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას.

2. გასწორებანი ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებს გაერ-
 თიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა და თავიანთი კონ-
 სტიტუციური პროცედურების შესაბამისად მიიღებს ამ პაქტის მონაწილე სა-
 ხელმწიფოთა უმრავლესობა — ორი მესამედი.

3. მას შემდეგ, რაც გასწორებანი ძალაში შევა, ისინი სავალდებულო ხდე-
 ბა იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მიიღეს, ხოლო სხვა
 მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულო რჩება ამ პაქტის დებულე-
 ბანი და მათ მიერ მიღებული ყველა წინა გასწორებანი.

მუხლი 30

26-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად შეტყობინებისაგან დამოუკიდებ-
 ლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ატყობი-
 ნებს იმავე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს შემ-
 დეგს:

a) 26-ე მუხლის თანახმად ხელმოწერების, რატიფიკაციებისა და შეერთე-
 ბების შესახებ;

b) 27-ე მუხლის თანახმად ამ პაქტის ძალაში შესვლის თარიღს და 29-ე
 მუხლის თანახმად ყოველგვარი გასწორების ძალაში შესვლის თარიღს.



1. ეს პაქტი, რომლის ინგლისური, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები ერთნაირად აუტენტურია, შესანახად უნდა გადაეცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არქივს.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამ პაქტის დამოწმებულ პირებს უგზავნის 26-ე მუხლში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს.

რის დასადასტურებლად ქვემოთ ხელის მომწერებმა, რომლებსაც აქვთ ზესაბამისი მთავრობების სათანადო რწმუნებანი, ხელი მომწერეს ამ პაქტს, რომელიც ხელმოსაწერად გაიხსნა ნიუ-იორქში, ათას ცხრას სამოცდა ექვსი წლის ცხრამეტ დეკემბერს.

„საგაოთა სოციალისტური რესპუბლიკამის კავშირის უზენაესი საბაზური უფასავზი“, № 17 (1881) 1976 წლის 28 აპრილი.

—
J.

ვლადიპ ნინოვიანცი

სამართლებრივი სახელმწიფო: ისტორია და თანამედროვეობა

სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის კონცეფციის შემუშავებისა და პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებლობა ჩვენი თეორიისა და პრაქტიკის წინაშე მრავალ ახალ საკითხს აყენებს. ამ პრობლემატიკაში უკეთესი ორიენტაციისათვის საჭიროა გავერკვეთ სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ მოძღვრებათა ისტორიაში, გავიაზროთ სახარო პოლიტიკური ხელისუფლების მოწყობისა და ფუნქციონიბის მოცემული ფორმისათვის დამახასიათებელი პრინციპები და სპეციფიური თვისებურებანი, გავისიგრძეგანოთ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეისადმი ჩვენი მიმართება, მიზნები და პერსპექტივები.

სამართლებრივ სახელმწიფოს, როგორც განსაზღვრულ თეორიულ კონცეფციას და შესაბამის პრაქტიკას, ხანგრძლივი და ყურადსაღები ისტორია აქვს. თვით ტერმინმა „სამართლებრივი სახელმწიფო“ (Rechtstaat) მტკი-

ცედ მოიკიდა ფეხი XIX საუკუნის პირველ ნახევარში გერმანულ იურიდიკულ ულ ლიტერატურაში (ფონ მოლის, ველქერის და სხვათა შრომებში), ხოლო შემდგომ ფართო გავრცელება პოვა რუსეთშიც, სადაც სამართლებრივი სახელმწიფოს თეორიის მომხრეთა შორის გამოირჩეოდნენ ჩიხერინი, კისტიაკოვსკი, ნოვგოროდცევი და სხვები.

თუმცა სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის, საზრისის, ცნების გამომსატველი სხვადასხვა თეორიული კონცეფციები გაცილებით აღრე ჩამოყალიბდა, ისინი იქმნებოდნენ ბურუუაზიული პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნების პროგრესული მიმართულებების წარმოშობის, ახალი (ანტიფეიდალური, საერო, ანტითეოლოგიური, ანტიკლერიკალური) იურიდიული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების და განვითარების, ფეიდალური განუკითხაობისა და უკანონობის, აბსოლუტისტური პოლიტიკური რეზიმის კრიტიკის, ჰუმანიზმის იდეების, ადამიანთა თავისუფლების და თანასწორობის პრინციპების, ადამიანის განუყოფელი უფლებების განტკიცების, საჯარო ხელისუფლების უზურპაციის, ინდივიდუებისა და საზოგადოების წინაშე მისი უპასუხისმგებლობის წინააღმდეგ მიმართულ სხვადასხვა სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი საშუალებების, კონსტრუქციებისა და ფორმების ძიების საერთო ნაკადში.

გროვიუსის, სპინოზას, ლოკის, მონტესკიეს, ჯეფერსონის და სხვათა მიერ შემუშავებული სამართლებრივი სახელმწიფოს იდეები, თავიანთი სიახლის მიუხედავად, ემყარებოდნენ წარსულის გამოცდილებას, წინამორბედი სოციალური, პოლიტიკური და სამართლებრივი თეორიებისა და პრაქტიკის მიღწევებს, ისტორიულად ჩამოყალიბებულ და აპრობირებულ ზოგადსაკაცობრიო ორიებულებებს და ჰუმანისტურ ტრადიციებს. სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის თეორიის, ხოლო შემდგომ პრაქტიკის ფორმირებაზე საგულისხმო გავლენა იქონიეს ძეველი საბერძნეთის და რომის პოლიტიკურ-სამართლებრივმა იდეებმა და ინსტიტუტებმა, დემოკრატიის, რესპუბლიკიზმისა და მართლწესრიგის ანტიკურმა გამოცდილებამ. სამართლისა და ხელისუფლების სათანადო ურთიერთდამოკიდებულების და შეთანხმებული ურთიერთმოქმედების დამყარებისათვის უკვე შორეულ წარსულშივე იწყება პრინციპების, ფორმებისა და კონსტრუქციების ძიება. სამართლებრივი და სახელმწიფოზე წარმოდგენების გაღრმავების პროცესში საკმაოდ აღრიანად ჩამოყალიბდა იდეა ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი პოლიტიკური ფორმის გონივრულობის და სამართლიანობისა, რომლის დროსაც სამართლი საჯარო ხელისუფლების აღიარებისა და მხარდაჭერის წყალობით, იქცევა ხელისუფლების ძალად (საყოველთაო საგალდებულო კანონად), ხოლო სამართლის ამოიარებელი იმავდროობულად შეზოუდული და გამართლებული საჯარო — ხელისუფლებითი ძალა — სამართლიან (ე. ი. სამართლის შესაბამისი) სახელმწიფო ხელისუფლებად. ამგვარი წარმოდგენების სიმბოლოდ იქცა მართლმსაჯულების ქალმერთის ზატება (თვალებაზვეული, მახვილითა და სასწორით), რომელშიც გამოისახა ძალისა და სამართლის ერთობა — ქალმერთისაგან დაცული მართლწესრიგი ერთნიარად სავალდებულოა ყველასათვის. ძეველი წარმოდგენებით მართლმსაჯულების ეს სახე, რომელიც დღესაც რჩება სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის ყველაზე შესაფერის სიმბოლოდ, გამოხატავს არა მხოლოდ სამართლიანი სასამართლოს, როგორც სპეციალური ორგანოს აზრსა და იდეას, არამედ საზოგადოდ სა-

სამართლებრივი სახელმწიფოს ბევრი საგულისხმო დებულება ჯერ კი-
დევ ანტიკურმა ავტორებმა შეიმუშავეს, მათ შორის დებულებები კანო-
ნის, როგორც ძალისა და სამართლის შესაბამის უზენაესობის (სოლონი,
არისტოტელე და სხვები), მმართველობის სწორი და უსწორო ფორმების გან-
სხვავების, შერეული მმართველობის სახელმწიფოს ფორმების ტიპოლოგი-
აში სამართლის როლის (სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, ციცერონი); ბუ-
ნებითი და ნებელობითი სამართლის თანაფარდობის (დემოკრიტე, სოფის-
ტები, არისტოტელე), ადამიანთა თანასწორობის შესახებ ბუნებითი სამართ-
ლის მიხედვით (ზოგიერთი სოფისტი, სტოიკოსები, რომაელი იურისტები),
სამართლის როგორც სამართლიანობის საზომის და პოლიტიკური ურთიერ-
თობის მოწესრიგებელი ნორმის შესახებ (არისტოტელე) სახელმწიფოს
(რესპუბლიკის) როგორც „სახალხო საქმის“, როგორც სამართლებრივი ურ-
თიერთობის და ზოგადი მართლწესრიგის (ციცერონი); კერძო და საჯარო სა-
მართლის სფეროების, თავისუფალი ინდივიდის, როგორც იურიდიული პი-
როვნების, სამართლის სუბიექტის შესახებ (რომაელი იურისტები) და სხვა.

ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის ეპოქაში გადამწყვეტ მნიშ-
ვნელობას იძენს პოლიტიკური ხელისუფლების და მისი, ფორმალურად ყვე-
ლასათვის თანასწორი, სამართლებრივი ორგანიზაციის პრობლემები დანაწი-
ლებული სახელმწიფო ხელისუფლების მოწესრიგებული სისტემის სახით, რო-
მელიც შეესბამება სოციალურ-კლასობრივი და პოლიტიკური ხალების ახ-
ლებურ თანაფარდობას და იმავდროულად გამოირიცხავს ხელისუფლების მო-
ნოპილიზაციას ერთი პირის, ორგანოს ან კავშირის ხელში. ახალი აღმავალი
კლასის იურიდიული მსოფლმხედველობა მოითხოვდა როგორც კერძო, ისე
საჯარო-პოლიტიკურ ურთიერთობებში სამართლის ბატონობის ჩეკიმის მეშ-
ვეობით ადამიანის თავისუფლების შესახებ ახალი წარმოდგენების დამ-
ცვიდრებას.

ლოკის გაგებით, რომელიც ქ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ფეო-
დალიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიული საზოგადოების სამართლებრივი წარ-
მოდგენების კლასიკური გამომხატველი“ იყო, სამართლის ბატონობის იდეა
ხორციელდება სახელმწიფოში, სადაც უზენაესობს ბუნებითი სამართლის
შესაბამისი და ინდივიდისაგან განუყოფელი ბუნებრივი უფლებებისა და თა-
ვისუფლებების ამოიარებელი კანონი და განხორციელებულია ხელისუფლების დანაწი-
ლება. ასეთ სახელმწიფოს, სამართლის ბატონობით, იგი უპირის-
პირებს დესპოტიზმს (მმართველობის ყველა დანარჩენ სახეებს).

ემყარება რა სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი საფუძვლის და
წყაროს შემქმნელი სახალხო სუვერენიტეტისა და საზოგადოებრივი ხელშეკ-
რულების იდეებს, ლოკი გამოღის ხელისუფლების ყოველგვარ უკანონო გა-
მოვლინებებთან წინააღმდეგობის გაწევის კანონიერების ღოქტრინის დასა-
ბუთებით. ლოკიდან გამომდინარეობს აგრეთვე სამართლებრივი სახელმწი-
ფოებრიობის პირობებში ინდივიდის უფლებებისა და თავისუფლებების კლა-
სიური ლიბერალური ღოქტრინის მრავალი დებულება. „მთავრობის ძალა-
უფლების ქვეშ მყოფი ადამიანების თავისუფლება — აღნიშნავდა იგი —
მდგომარეობს მასში, რომ ამ საზოგადოებაში ყველასათვის არსებობდეს სა-
კრიო და მასში შექმნილი საკანონმდებლო ხელისუფლებით დადგენილი

ცხოვრების მუდმივი წესი; არ თავისუფლება — იმოქმედო საკუთარი სურ-
ვილის მიხედვით ყოველთვის, როცა ამას კანონი არ კრძალავს და არ იყო
დამოკიდებული სხვა ძალიანის მუდმივ განუსაზღვრელ უცნობ თვითშპრობებით
ლურ ნებაზე¹. ლოკის მიერ აյ დასაბუთებული ინდივიდუალური თავისუფ-
ლების სამართლებრივი პრინციპი მხოლოდ სიტყვიერად თუ განსხვავდება
შემდგომ, ჩეკონტივისაც აქტუალური ფორმულისაგან „ნებადართულია ყველა-
ფერი, რაც კანონით აკრძალული არ არის“.

ხელისუფლების დანაწილების შესახებ ახალმა წარმოდგენებმა სისტემა-
ტური დამუშავება პოვეს მონტესკიეს შემოქმედებაში. ანსხავებს რა სახელ-
მწიფო ხელისუფლების სამ სახეს — საკანონმდებლოს, აღმასრულებელსა და
სასამართლოს, იგი აღნიშნავს, რომ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების
თავიდან ასაცილებლად საჭიროა ისეთი წესი, რომლის დროსაც სხვადასხვა
სახის ხელისუფლება შეძლებს ერთმანეთის ურთიერთშეკავებას. ხელისუფ-
ლებათა დანაწილება და ურთიერთშეკავება, მონტესკიეს თანახმად, მთავარი
პირობაა პოლიტიკური თავისუფლების უზრუნველსაყოფად. ამასთანავე იგი
აღნიშნავს, რომ პოლიტიკური თავისუფლება მდგომარეობს არა მხოლოდ
იმაში, რომ აქეთო რაც გსურს. „სახელმწიფოში, ე. ი. საზოგადოებაში, სა-
დაც კანონები არსებობენ, თავისუფლება შეიძლება მდგომარეობდეს მხოლოდ
იმაში, რომ იქნიო შესაძლებლობა აკეთო ის, რისი სურვილიც მართებუ-
ლია და არ იყო იძულებული აკეთო ის, რისი გაკეთებაც არაა მართებული...
თავისუფლება არის უფლება აკეთო ყველაფერი, რაც ნებადართულია კა-
ნონით. უკეთუ მოქალაქეს შეიძლება აკეთოს ის, რაც ამ კანონებით აკრ-
ძალულია, მაშინ მას არ ექნებოდა თავისუფლება, რადგანაც იგივეს გავ-
თება შეეძლებოდათ სხვა მოქალაქეებსაც²“.

ლოკისა და მონტესკიეს იდეებმა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდი-
ნეს არა მარტო შემდგომ თეორიულ წარმოდგენებზე სამართლებრივი სა-
ხელმწიფოებრიობის შესახებ, არამედ აგრეთვე აღრებურულუაზიულ კონსტი-
ტუციურ კანონმდებლობაზე და სახელმწიფო-სამართლებრივ პრაქტიკაზე.
ეს ზემოქმედება თვალნათლივ გამოვლინდა, მაგალითად, 1787 წელს აშშ
კონსტიტუციაში, 1789 წელს საფრანგეთში — დამიანის და მოქალაქის უფ-
ლებების დეკლარაციაში, მთელ რიგ სხვა სამართლებრივ აქტებში. ამასთან
დაკავშირებით საყურადღებოა აღნიშნული დეკლარაციის მე-16 მუხლი, რო-
მელიც გვაუწყებს, რომ „საზოგადოებას, რომელშიც არ არის უზრუნველ-
ყოფილი უფლებებით სარგებლობა და არ განხორციელებული ხელისუფლე-
ბის დანაწილება, კონსტიტუცია არ გააჩნია“. ჩეკინი თემისთვის დიდად საინ-
ტერესოა აგრეთვე ამ დეკლარაციის მე-5 მუხლი — „კანონს შეუძლია აკრძა-
ლოს მხოლოდ საზოგადოებისათვის მავნე ქმედობა. ყველაფერი რაც კანო-
ნით აკრძალული არაა, ნებადართულია და არ შეიძლება ვინმეს დაეძილოს
კანონით გაუთვალისწინებელი მოქმედება“. ესაა მოცემული სამართლებრი-
ვი პრინციპის პირველი ოფიციალური განმტკიცება. სამართლებრივი სა-
ხელმწიფოს თეორიის ფილოსოფიური დასაბუთებით გამოვიდა ი. კანტი. „სახელმწიფო, — აღნიშნავდა იგი, — არის სამართლებრივი კანონებისადმი
დაქვემდებარებული მრავალი აღმიანის გაერთიანება“³. სახელმწიფოს სიკე-

¹ Локк Дж. Избранные философские произведения. М., т. II, 1960, с. 116.

² Монтескье Ш. Л. Избранные произведения. М., 1955, с. 289.

³ Кант И. Соч., т. 4, ч. II, с. 233.



თე. კანტის მიხედვით, მდგომარეობს სახელმწიფო წყობილების სამართლება—
რივ პრინციპებთან უმაღლეს შეთანხმებულობაში და ასეთი შეთანხმებულობისაკენ
ბისაკენ სწრაფვას გვავალებს გონიერა კატეგორიული იმპერატივის მეშ-
ვეობით.

სხვადასხვაგარი ხელისუფლებების დახასიათებისას კანტი აღნიშნავს,
რომ მართლმსაჯულება უნდა ზორციელდებოდეს ხალხის მიერ არჩეულ ნა-
ფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ. მის თეორიაში განმსაზღვრელი მნიშ-
ვნელობა ენიჭება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების გა-
მიგვნას. „რესპუბლიკანიზმი, — წერდა იგი, — არის აღმასრულებელი ხე-
ლისუფლების (მთავრობის) საკანონმდებლობისაგან გამოყოფის სახელმწიფო
პრინციპი; დესპოტიზმი — თვით მის მიერ მოცემული სახელმწიფო კა-
ნონების თვითნებული აღსრულების პრინციპი; მაშასადამე, საჯარო ხელი-
სუფლება მმართველის კერძო ნების სახით გვევლინება“⁴. კანონმდებელ-
თან მიმართებით კანტი აყალიბებს მისი საქმიანობის შემდეგი შეზღუდვის
პრინციპს: ის, რაც ხალხს არ ძალუმს გადაწყვიტოს საკუთარი თავის მიმართ,
მას ვერც კანონმდებელი გადაწყვეტს ხალხის მიმართ.

თუ კანტთან სამართლებრივი კანონები და სამართლებრივი სახელმწი-
ფო ჯერაბსათ, ჰეგელთან ისინი სინამდვილეა, ე. ი. ადმინისტრაციული
უფის განსაზღვრულ ფორმებში გონის პრაქტიკული რეალიზება.

XX საუკუნეში ბევრი ლიბერალური ავტორი გამოვიდა სახელმწიფოს
და სამართლის ჰეგელისეული ფილოსოფიის წინააღმდეგ, მას აძლევდნენ ფა-
შიზმის, ნაციონალ-სოციალიზმის და საერთოდ თანამდებროვე დესპოტიზმის,
ტოტალიტარიზმის იდეოლოგიისა და პრაქტიკის ერთ-ერთი თეორიიული და-
საბუთების კვალიფიკაციას. მაგრამ სამართლებრივი სახელმწფოს ჰეგელისე-
ული კონცეფციის კვალიფიკაცია შინაარსი მოწმობს ამგვარი ბრალდებების
მცდარობას და უშედეგობას.

სახელმწიფო, ჰეგელის თანამად, იგივე სამართალია, კერძოდ, კონ-
კრეტული სამართალი, ე. ი. დიალექტიკური განმარტებით, ყველაზე მე-
ტად განვითარებული და შინაარსობრივად მდიდარი სამართალი, სამარ-
თლის მთელი სისტემა, რომელიც შეიცავს ყველა დანარჩენი, შედარებით ამ-
სტრუქტული უფლებების — პიროვნების, ოჯახის და საზოგადოების უფლე-
ბების აღიარებას. ამ გარემოებასთანაა დაკავშირებული ის, რომ უფლებების
დიალექტიკურ იერარქიაში სახელმწიფო, როგორც ყველაზე უფრო კონკრე-
ტული სამართალი სამართლებრივი პირამიდის მწვერვალზე დგას. ამასთანაა
დაკავშირებული ინდივიდებსა და საზოგადოებაზე სახელმწიფოს ჰეგელისე-
ული ამაღლება, მისი განდიდება და თითქმის გაღმერთებაც კი „სამყა-
როში ღმერთის მსვლელობის“⁵ სახით. ყოველივე ეს ადასტურებს, რომ
ჰეგელი ეტატისტია, მაგრამ ჰეგელი სამართლებრივი ეტატისტია, იგი ასა-
ბუთებს, განადიდებს და აღმერთებს მხოლოდ სამართლებრივ სახელმწიფოს,
ინდივიდების და საზოგადოების უფლებებს იგი უმორჩილებს (მათ უარყო-
ფის გარეშე!) სახელმწიფოს, არა როგორც ძალმომრეობის აპარატს, არა-
მედ როგორც უფრო მაღალ სამართალს — სამართლის მთელ სისტემას,
ხოლო „სამართლის სისტემა არის რეალიზებული თავისუფლების სამეფო“.
სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰეგელი ფილოსოფიურად განადიდებს სახელ-

⁴ Там же, т. 6, с. 269.

⁵ Гегель. Философия права. М.-Л., 1934, с. 268.

შეიფოს, როგორც თავისუფლების ყველაზე უფრო განვითარებულ სინამდებულების ვიღეს.

კონკრეტულ-ისტორიულ ჭრილში ჰეგელი, როგორც XIX ს. დასაწყისის მთაზროვნები, ვარაუდობდა, რომ თავისუფლების იდეამ თავის უდიდეს პრატიკულ განხორციელებას სწორედ კონსტიტუციურ მონარქიაში მიაღწია, რომელიც დაფუძნებულია ხელისუფლების, მთავრობის და საკანონმდებლო ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე. სახელმწიფოში ხელისუფლების სათანადო დანაწილება ჰეგელის მიხედვით, არის „საჯარო თავისუფლების გარანტია“. მა პოზიციებიდან იგი მწვავედ აკრიტიკებდა დასპოტიზმს — უკანონობის მდგრადარეობას, რომელშიც განსაკუთრებული ნება როგორც ასეთი, მონარქის იქნებოდა იგი თუ ხალხისა (ოქლოკრატია), იმენს კანონის ძალას ან უფრო სწორად, ცვლის კანონს.

მთლიანობაში სამართლებრივი სახელმწიფოს მთელი ჰეგელისეული კონსტრუქცია პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნადა მიმართული თვითინებობის, უუფლებობის და საერთოდ, კერძო პირების, პოლიტიკური გაერთიანებების და სახელმწიფო ხელისუფლებების მხრიდან ძალის გამოყენების უყვალი არასამართლებრივი ფორმის წინააღმდეგ. მართებული იქნება თუ კი ჰეგელისეულ ეტატიზმში ტოტალიტარიზმის არა იდეოლოგიურ მომზადებას, არამედ მისი საშიშროების ავტორიტეტულ ფილოსოფიურ გაფრთხილებას დავინახავთ.

აქედან, ჩა თქმა უნდა, სრულებითაც არ გამომდინარეობს იმ ნაულ-ვანებათა უარყოფა (სახელმწიფოს მეტისმეტი განლიდება ინდივიდებსა და საზოგადოებაზე), რომლებიც განპირობებულია ჰეგელის კრიტიკული დამოკიდებულებით სახალხო სუვერენიტეტის იდეისადმი, სამოქალაქო საზოგადოების, სახელმწიფოს ორგანიზაციისა და ფუნქციონის დემოკრატიული კონცეფციებისადმი, პიროვნების ავტონომიის ლიბერალური კონცეფციის ლირებულებებისადმი. მაგრამ სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის იდეების თვალსაზრისიდან მნიშვნელოვანია ალინიშნოს, რომ ჰეგელისეული ეტატიზმის როგორც სამართლებრივი ბუნება, ასევე მის მიერ სახელმწიფოს სუვერენობისა და საჯარო პოლიტიკური ხელისუფლების გამოხატვის, ორგანიზაციისა და მოქმედების სახელმწიფო ფორმების პრინციპის აღიარება არსებითად წარმოადგენს სამართლებრივ მოთხოვნასაც; იმავდროულად, სამართლისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ბატონობის კონცეფციის და პრაქტიკის აუცილებელ პირობას.

ზოგადად, სამართლებრივი სახელმწიფო შეიძლება განისაზღვროს როგორც სახელმწიფო, სადაც ბატონობს სამართლი. უფრო კონკრეტული განსაზღვრებით, სამართლებრივი სახელმწიფო არის საჯარო-პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაციისა და საქმიანობის და მისი ინდივიდებთან, როგორც სამართლის სუბიექტებთან, ურთიერთმიმართების სამართლებრივი

ფორმა. სამართლებრივი სახელმწიფოს დამახასიათებელ ნიშანთა რიცხვს, როგორც მინიმუმი, მიეკუთვნება: სამართლებრივი კანონის უზენაესობა, ინდივიდების უფლებებისა და თავისუფლებების რეალობა, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის საფუძველზე სახელმწიფო სუვერენიტეტის ორგანი-

ზაცია და ფუნქციობა, შინაარსობრივ ჭრილში მოცემულ ნიშნებს შეესაბა-
მება სამი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტი, რომლებიც თავიანთ ქრისტიანუ-
ლიანობაში გამოხატავენ სამართლებრივი სახელმწიფოს არსა და სპეციფი-
კას. სამართლებრივი სახელმწიფოს ამ კომპონენტებს (თეორიის და პრაქტი-
კის ელემენტებს) პირობითად შეიძლება ეწოდოს საკუთრივ სამართლებრივი
(ანუ იურიდიულ-ნორმატიული), ინდივიდუალურ-სამართლებრივი (ანუ ინ-
დივიდების უფლებებისა და თავისუფლებების კომპონენტი) და ორგანიზაცი-
ულ-სამართლებრივი (ანუ ინსტიტუციურ-სამართლებრივი). პირველი დასა-
ხელებული კომპონენტთავანი მდგომარეობს სამართალგაების ისეთ სახეში,
რომლის ფარგლებშიც მეტნაკლებად ტარდება სხვაობა სამართალსა და კა-
ნონს შორის. ამასთან სამართლის ქვეშ იგულისხმება განსაკუთრებული, კა-
ნონმდებლის ნებისაგან დამოუკიდებელი სოციალური ფენომენი თავისი
ობიექტური ნიშან-თვისებებით და რეგულატორული პრინციპით, ხოლო კა-
ნონში კი ოფიციალურ-ხელისუფლებრივი დადგენილებების მთელი ერთობ-
ლიობა, ისეულებითი (კანონიერი) ზემოქმედების მქონე საყოველთაო სავალ-
დებულო აქტები და ნორმები. ასეთი სხვაობის დადგენა ხდებოდა და ხდება
როგორც ბუნებით-სამართლებრივი, ასევე სხვა პოზიციებიდანაც. ამგ-
ვარი სხვაობის დასადგენად მთავარია სამართლის სპეციფიკის, მასში საკუ-
თარი განსაკუთრებული პრინციპის არსებობის, სხვა (მორალური, რელიგი-
ური, განმკარგულებელ-მმრდანებლური, გამთანაბრებელი და ა. შ.) რეგულია-
ტორებისაგან განსხვავების აღიარება.

სამართალი არის თავისუფლების საყოველთაო მასშტაბი და თანასწო-
რი საზომი (ნორმა). რა თქმა უნდა, თანასწორობის ამ სამართლებრივი პრინ-
ციპის კონკრეტული შინაარსი და მოცულობა (სამართლის სუბიექტთა წრე, სამართლებრივი ურთიერთობების სფერო) ისტორიულად იცვლება (თა-
ვისუფლებად და მონებად დაყოფილა საყოველთაო ფორმალურ თანას-
წორობამდე და თავისუფლებამდე), მაგრამ თვით ფორმალური თანასწო-
რობის პრინციპის, როგორც ასეთის იმანენტურია. სამართლიანობის სა-
მართლებრივი ხასიათის და არსის უარყოფას კი იქმდე მიყვავართ, რომ
სამართლიანობის პრინციპებზე აყალიბებენ არასამართლებრივ საწყისს —
პრივილეგიების ან გათანაბრების მოთხოვნებს, ამა თუ იმ მორჩალურ, რელი-
გიურ, მსოფლმხედველობით, ესთეტიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეროვ-
ნულ, ეკონომიკურ და სხვა წარმოდგენებს, ინტერესებს, მოთხოვნებს. ამით
სამართლიანობის სამართლებრივი, ე. ი. საყოველთაო და თანასწორი მნიშ-
ვნელობა იცვლება რაღაც განსაკუთრებული და კერძო ინტერესით, თვით-
ებური შინაარსით, პარტიულარული მოთხოვნებით. სამართლებრივი სა-
ხელმწიფოსათვის სამართალსა და კანონს შორის განსხვავების დადგენის
მნიშვნელობა გამოიხატება ერთი მხრივ, იმ იბიექტური პირობების და სა-
ფუძვლების გამოვლენაში, რომლებიც აუცილებელია სამართლისა და თვით-
ებობის ურთიერთგასამიჯნავად და დასაპირისპირებლად და მეორე მხრივ,
კანონის სამართლებრივობის, საჯარო ხელისუფლების ზოგადსავალდებუ-
ლო აქტების, მთლიანად ნორმატიული საქმიანობის სამართლის მოთხოვნებ-
თან შესაბამისობაში მოსაყვანად.

კანონის ნორმატიული დადგენილებისა და საჯარო ხელისუფლების მოქ-
მედებათა მიმართ ამგვარი მოთხოვნების წაყენება, რა თქმა უნდა, შეუძლე-
ბელია სამართალგაების ისეთი ტიპის პოზიციებიდან, როგორიცაა ლეგა-
ლიზმი ან იურიდიული პოზიციები. ასეთი სამართალგაების მომხრენი აიგი-

ვებენ სამართალს და კანონს და სამართალს წარმოაჩენენ როგორც ხელისუფლების სამართლებრივი იურიდიკური სამართლის ნორმატიული შემოქმედების შედეგს. ასეთი „სამართალი“ თავისი არსით, სავალდებულოა მხოლოდ ხელქვეთოებისათვის, მაგრამ არა მისი შემქმნელი ხელისუფლებისათვის, რომელიც არსებითად თავისუფალია სამართლებრივი შეკავებისა და შეზღუდვისაგან. ხელისუფლებამ უკეთეს შემთხვევაში ამა თუ იმ პრაგმატიული მოსახრებით შეიძლება შეიკავოს თავი თავისივე აქტების დარღვევისაგან. არსებითად სწორედ ესაა კანონის ბატონობის, „კანონიერების სახელმწიფოს“ იურიდიულ-პოზიტიური იდეების არსი, რომლებსაც სწორედ რომ მთავარი აკლიათ თვით ამ „კანონების“ და „კანონიერების“ მართლზომიერებისა და სამართლიანობის ობიექტური კრიტერიუმი, ძალაუფლების თვითნებობის, ხელქვეთთა უფლებობის და მორჩილების დეგალიზებული ფორმებისაგან მათი განსხვავების პრინციპი.

სამართლებრივი სახელმწიფოს თეორიის და პრაქტიკის მეორე კომპონენტი მდგომარეობს საჯარო ხელისუფლებასა და ხელქვეთოებს, როგორც სამართლის სუბიექტებს შორის ურთიერთობის სამართლებრივი ფორმის და ხასიათის განმტკიცებაში, ყველა ინდივიდის ფორმალური თანასწორობის, თავისუფლების, ადამიანისა და მოქალაქის უფლებების და თავისუფლებების აღიარებასა და სათანადო გარანტირებაში. ამასთან იგულისხმება, რომ ეს გამომდინარეობს უკვე პირველი კომპონენტიდან, რომ ინდივიდთა სამართლისუბიექტობა. მათი უფლებები და თავისუფლებები, ხელისუფლებასთან მათი ურთიერთობების სამართლებრივი ხასიათი როდის საჯარო ხელისუფლების ნება-სურვილის შედეგი, როდის მისი „წყალობა“ ან დათობა ადამიანებისათვის, არამედ მოცემულ საზოგადოებაში ობიექტურად ჩამოსაყალიბებელი სამართლის აჩვებითი შემადგენელი ნაწილია, რომლის დაცვა ყველასი და უპირველეს ყოვლისა, საჯარო ხელისუფლების, მისი წარმომადგენლების იურიდიული მოვალეობაა. ამაშია სამართლებრივი სახელმწიფოს იდეებისათვის ტრადიციული — ინდივიდის თანდაყოლილი უფლებების, მათი ბუნების, ფორდალურ წარმოდგენებთან დაპირისპირების არსი.

წინა ორი კომპონენტის რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ მესამე კომპონენტის არსებობისას ე. ი. მხოლოდ განსაზღვრულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ პირობებში, რომლებიც გამორჩეავენ ხელისუფლების მონოპოლიზაციას ერთი პირის, ორგანოს ან სოციალური ფენის ხელში და უზრუნველყოფენ საჯარო ხელისუფლების მთელი სისტემის (მისი ინსტრუმენტურ-ძალაუფლებრივი სტრუქტურების, ფუნქციებისა და უფლებამოსილების) შესაბამისობას სამართლის მოთხოვნებთან და მათ თანმიმდევრულ აღსრულებას. ამ პირობათავაგან მთავარია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების დანაწილების პრინციპის შესაბამისად სუვერენული სახელმწიფო ხელისუფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგლამენტაცია. არსებითი მნიშვნელობის გეონეა ამ ღროს ყველა ხელისუფლების ნორმატიულ აქტებსა და მოქმედების მართლზომიერებაზე კონსტიტუციურ-სამართლებრივი კონტროლის ინსტიტუტი.

საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური და ნორმატიული სისტემები იქმნებოდნენ რევოლუციის შემდგომდროინდელ რთულ და მძიმე პირობებში.

ძელი სახელმწიფო ბრიობის მსხვრევასთან ერთად მიმღინარეობდა პროცესუალებრივის დიქტატურის პოლიტიკურ-ნორმატიული სისტემის შექმნის პროცესი. ცნობილი მარქსისტული დებულებების თანახმად, თეორიაში და პრაქტიკაში, ბატონიშვილის (60-იანი წლების დასაწყისამდე, როგორც იყიდა ლურად გამოითქვა პროლეტარიატის დიქტატურიდან საერთო-სახალხო სახელმწიფოზე გადასვლის დებულება) წარმოდგენები, თითქოს სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ვიდრე სრულ კომუნიზმამდე (ე. ი. საერთოდ სახელმწიფოს კვდომამდე) არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფო ბრიობა, გარდა პროლეტარიატის დიქტატურისა, პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელების მისთვის ჩვეული პრინციპებით, ინსტიტუტებით, ნორმებით, მეთოდებით და რეჟიმით. პირველი წლებიდანვე, საბჭოთა კანონმდებლობის ინტენსიური განვითარების მიუხედავად, მაინც არ ასებობდა მკაფიო და თანმიმდევრული წარმოდგენები სოციალიზმის დროს სამართლის ადგილის და როლის შესახებ. ხანგრძლივი დროის განვალობაში (30-იანი წლების შუა პერიოდამდე) ითვლებოდა (სოციალიზმის დროს „ბურჟუაზიული სამართლის“ არსებობის შესახებ „გოთას პროგრამის კრიტიკის“ დებულებების გათვალისწინებით), თითქოს, სოციალისტური სამართლი როგორც ასეთი (სამართლის განსაკუთრებული ისტორიული ტიპი) შეუძლებელია ასებობდეს. სამართლი, მისი მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური თანასწორობით და ფაქტიური თანასწორობის უარყოფით, ძირითადად აღიმებოდა როგორც თავისი არსებით რაღაც ბურჟუაზიული, არასოციალისტური, კომუნიზმისაკენ წინსვლის მცხრუჭი.

სამართლებრივი ნიპილიზმი ეხამებოდა სახელმწიფო ბრივი ნიპილიზმს, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში სახელმწიფო-სამართლებრივი საწყისების, ინსტიტუტების, ნორმების, პროცედურების და გარანტიების როლისა და მნიშვნელობის შეუფასებლობას. ამგვარი სახელმწიფო ბრივი-სამართლებრივი ნიპილიზმი იყენებოდოდა და ვრცელდებოდა ძველი სახელმწიფო გებრიობის და სამართლის მიმართ მასების სიძულვილის, დემოკრატიულად ორგანიზებული სახელმწიფო ბრივი და სამართლებრივი ცხოვრების ღრმა ტრადიციების უქონლობის, მოსახლეობის პოლიტიკური და სამართლებრივი შეგნებისა და კულტურის დაბალი დონის, მსოფლიო რევოლუციის, სამხედრო კომუნიზმის, საყოველთაო გათანაბრების, წარმოების და განაწილების პოლიტიკური ცენტრალიზაციის გზებზე სახელმწიფოსა და სამართლის სწრაფი კვდომის და კომუნიზმზე გადასვლის შესახებ წარმოდგენების ნიადაგზე. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებდა საბჭოთა სახელმწიფო-სამართლებრივი აღმშენებლობის შინაარსზე, ფორმებზე, მეთოდებზე და ტემპებზე, აბრკოლებდა საბჭოთა ზალბის და საზოგადოების ნორმალიზებული და მოწესრიგებული ცხოვრების სათანადო დემოკრატიული სახელმწიფო-სამართლებრივი ფორმების, ინსტიტუტების და პროცედურების ფორმირებას.

სამხედრო კომუნიზმიდან ნებშე გადასვლა უკვე მოწმობდა რევოლუციური ძალადატანების საშუალებებისა და ხერხების სამხედრო-კომუნისტური და მბრძანებლური მეთოდების მოქმედების განსაზღვრული სოციალურ-ისტორიული და ეკონომიკური საზღვრების დაწესებას. პირადი ინტერესის გათვალისწინების აუცილებლობას.

თუ 30-იანი წლების შუა პერიოდამდე აღმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ინსტიტუტებისა და ნორმების ფორმირება ძირითადად სახელმწიფოსა და სამართლის „კვდომის“ დიდი ხნის ნანატრი პროცესის მომიზე-

ზებით აიხსნებოდა, შემდგომში, ამ სისტემის განმტკიცებასთან ერთად ფინანსურის სახელმწიფოსა და სამართლის ნამდვილ გამოხატულებად საღვებოდა. სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ნიჰილიშმი ადგინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის მიმიკრითა და კამუფლიაჟით შეიქმნა და შეინიღდა. ამაშია სახელმწიფოსა და სამართლზე იმ წარმოდგენების არსი, რომელიც დაკანონდა ვიშინსკის ხელმძღვანელობით „საბჭოთა სახელმწიფოს და სამართლის მეცნიერების საკითხების შესახებ თათბირზე“ (1938 წ.) და, სამწუხაროდ, დღემდე დომინირებენ მეცნიერებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პიროვნების კულტისა და მისი შედეგების კრიტიკა, 60-იანი წლების დასაწყისში პროლეტარიატის დიქტატურიდან საერთო-სახალხო სახელმწიფოზე გადასვლის დებულების წამოყენება, 1977 წლის კონსტიტუციაში საერთო-სახალხო სახელმწიფოზე, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ცხოვრების სამართლებრივ საფუძველზე, სოციალსტური დემოკრატიის და კანონიერების განვითარებაზე დებულებების განმტკიცება ახალ შესაძლებლობებს იძლეოდა. თუმცად, იმ პირობებში ეს შესაძლებლობები არ იქნა რეალიზებული. ხელმძღვანელობის წინანდელი პოლიტიკური სისტემა სულ უფრო აშკარად ვალენდა თავის უსუსურობას და უგარგისობას.

ჯერ კიდევ 70-იანი წლებში ჩვენს იურიდიულ მეცნიერებაში, მართალია საქაოდ მოკრძალებულად, მაგრამ მაინც დაიწყო საბჭოთა სამართლებრივი სახელმწიფოს, როგორც საერთო-სახალხო სახელმწიფოს განვითარებისა და იურიდიული გაფორმების მიმართულების განხილვა. ამ თემაში ფართო საზოგადოებრივი უღერადობა და პრაქტიკული მნიშვნელობა გარდაქმნის პირობებში მოიპოვა, განსაკუთრებით XIX პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებების შემდეგ.

საბჭოთა სამართლებრივი სახელმწიფოებრიობისაკენ წინსვლის აუკილებლობა, შეიძლება ითქვას, მთელი ჩვენი ისტორიული წარსულითაა ნაკარიახვი. ისტორიული გამოცდილება, რომელმაც დამაჯერებლად გვიჩვენა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის და განმკარგულებელი ნორმების განკირება, ადასტურებს საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის არა კვდომის პროცესს (მით უფრო კვდომას გაძლიერების მეშვეობით), არამედ, პიროვნით, იმას, რომ დროულად არ შექმნილა საბჭოთა საზოგადოების შესაბამისი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ფორმები და ინსტიტუტები, რასთანაც ბევრადაა დაკავშირებული უკანონობა და ტრაგიკული მოვლენები ჩვენს პოლიტიკურ ისტორიაში. მბრძანებლური სისტემა, როგორც პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაციის ფორმა, როდის გადაჭარბებული ეტატიზმი ან საზოგადოების სახელმწიფოებრივი დათრგუნვა, როგორც ხშირად მიიჩნევენ ხოლმე, არამედ სრულიად საჭინააღმდეგო მოვლენაა. ის უკიდურესი ანტიეტატიზმი და ანტიიურიდიზმი, რომელმაც პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელების სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ფორმები და პრინციპები შეცვალა, აფერხებდა ამ ფორმების მოწყობასა და საქმიანობას. ამ საკითხებზე უსწორო წარმოდგენები, საზოგადოების ყოველგვარი პოლიტიზაციის შერევა მის „გასახელმწიფოებასთან“, ყოველგვარი ძლიერი ხელისუფლების გაიგივება სახელმწიფოებრივთან, მბრძანებლური ფუნქციებისა — სამართალშემოქმედებასთან, ტოტალიტარიზმისა — ეტატიზმთან და უ. შ., საბოლოო ჯამში უკავშირდება სახელმწიფოს შინაგანი სუვერენიტეტის ანუ სახელმწიფოს, როგორც საჯარო პოლიტიკური ხელისუფლების მოწყო-

ბისა და განხორციელების სუვერენული (უზენაესი, საყოველთაო და სამარტინო თლებრივი) ფორმის უგულებელყოფას.



სამართლებრივი სახელმწიფოს სოციალისტური კონცეფცია ჩვენი აზრით, შეიძლება იყოს მხოლოდ სახალხო სუვერენიტეტის დემოკრატიული იდეის გამომსატველი პრინციპების, ინსტიტუტებისა და ნორმების ერთგვარი სისტემა. სახალხო სუვერენიტეტი არის სახელმწიფო სუვერენიტეტის, როგორც შინაგანის (ჩვენი აქ სწორედ შინაგანი სუვერენიტეტი გვაინტერესებს) საფუძველი და წყარო. ამიტომ ხალხს აქვს გაუსხვისებელი უფლება განსაზღვროს და შეცვალოს საკუთარი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ცხოვრების ფორმები და შინაარსი.

საბჭოთა სამართლებრივი სახელმწიფოს სუვერენიტეტი, როგორც სახალხო სუვერენიტეტის გამოხატვის ფორმა — ქვეყნის მთელ მოსახლეობასა და ტერიტორიაზე გავრცელებული კანონებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების საჯარო-პოლიტიკური წესის განმსაზღვრელი, სრულუფლებიანობის კონცენტრირებული ერთიანობაა. სახელმწიფო ხელისუფლების სუვერენულობის განმტკიცება და სამართლის უზენაესობის დამკვიდრება წარმოადგენს ორ მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულ პროცესს საბჭოთა სამართლებრივი სახელმწიფოებრიობისაქნ მიმავალ გზაზე.

ყველა ზოგადი აქტი (კონსტიტუცია, კანონი, კანონქვემდებარე აქტები) შინაარსითაც, მიღებისა და მოქმედების წესითაც და პროცედურითაც სამართლებრივი უნდა იყოს. სამართლებრივი სახელმწიფოებრიობისათვის აუცილებელია ყოველგვარი სამართლებრივის არა მხოლოდ ლეგალიზება (სამართლებრივი კანონების მეშვეობით), არამედ ყოველგვარი მართლსაწინააღმდეგოს ანტილეგალიზება (კანონით აკრძალვა).

სამართლებრივი სახელმწიფო და სამართლებრივი კანონი, როგორც საერთოდ სახელმწიფო და სამართალი, არა თვითმიზანი, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობებში ადამიანთა თავისუფლების გამოხატვის, ორგანიზაციის, მოწესრიგების და დაცვის სოციალურ-ისტორიულად განპირობებული საყოველთაო ფორმებია. თავისუფლების შინაარსი და ხასიათი, მისი სიგრძე-სიგანე და მოცულობა, მისი სუბიექტური და ობიექტური სტრუქტურები (თავისუფლების სუბიექტები და სფეროები), ერთი სიტყვით, მისი ოდენობა და ხარისხი განისაზღვრება საზოგადოების განვითარების მიღწეული ღონით. თავისუფლება მისი ფაქტობრივი დაუსრულებლობის, შინაარსის ისტორიული ცვალებადობის და განვითარების თვალსაზრისით შეფარდებითა, მაგრამ იგი ამსალუტურია როგორც უმაღლესი ღირებულება და პრინციპი და ამიტომ შესაძლოა ჩაითვალოს კაცობრიობის პროგრესის კრიტერიუმად, მათ შორის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ფორმების, საზოგადოებრივი ურთიერთობების, პიროვნების მდგომარეობის სფეროებშიც.

შეცვალა რა სახელმწიფოებრიობა, აღმინისტრაციულმა სისტემამ უკუაგდო მბრძნებლური ცენტრალიზებული ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ფორმები, სტრუქტურები და ინსტიტუტები და ინდივიდი აქცია უკონტროლო მექანიზმის უსახო „ჭანჭიკად“. გაძლიერდა ინდივიდების, სხვადასხვა სოციალური ფენის და ჯგუფის, ერებისა და ეროვნებების, მთლიანად საზოგადოების რეალური მოთხოვნების და ინტერესების,

აზრის და ნების უგულებელყოფა, თვითნებურად კონსტრუირებული „საყოველთაო მიზნებისა და ძოლცანების“ დიქტატი. ზოგადის, განსაკუთრებულის და ინდივიდუალურის დიალექტიკა შეიცვალა ყოვლისშემძლე „ცენტრის“ გეგმებითა და ბრძანებებით.

ამ მანკიერებათა დასაძლევად და საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ ფორმებზე გადასასვლელად აუცილებელია პიროვნების დამოუკიდებლობის სრული აღდგენა. ცხოვრების ყველა სფეროში ინდივიდების და საზოგადოების უფლებების აღიარება და გარანტირება. სამართლით დაცული თავისუფალი პიროვნების გარეშე შეუძლებელია სამოქალაქო საზოგადოების ისეთი განვითარება, რომელიც იქნება სამართლებრივი სახელმწიფოს რეალური საფუძველი. პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს ამ ურთიერთკავშირმა სათანადო გამოხატულება უნდა პოვოს სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციაში.

აუცილებელია, რომ საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სახელმწიფო ცხოვრების ყველა სუბიექტის (ინდივიდების, მათი კავშირების, შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი გაერთიანებების და მოძრაობების, საზოგადოებრივი აზრის, ბეჭდებითი სიტყვის, სახელმწიფოს, მისი ორგანოების, თანამდებობის პირების, სოციალური ფენების, ერების და ეროვნებების და ა. შ.) სამართლებრივი მდგომარეობა და ურთიერთდამოკიდებულება მკვეთრად განისაზღვროს სამართლებრივი კანონებით და უზრუნველყოფილი იქნას სახელმწიფო-სამართლებრივი გარანტიებით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი ურთიერთობის სხვადასხვა სუბიექტებს შორის დაგებისა და კონფლიქტების ობიექტური, სამართლიანი და დროული გადაწყვეტის ქმედითი იურიდიული მექანიზმის შექმნას.

ორგანიზაციულ-ფუნქციურ ჭრილში საბჭოთა სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია მოიცავს, როგორც სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი. (პარტიული, საზოგადოებრივი და ა. შ.) ინსტიტუტების, ფუნქციების, უფლებამოსილების გამიჯნას, ასევე თვით სახელმწიფო ორგანოების სისტემის სათანადო მოწყობას და ფუნქციობას ხელისუფლების სამ ძირითად შტო — საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქციების დანაწილების პრინციპის მიხედვით.

თოთოეულმა ამ ხელისუფლებათაგანმა თავისი ბუნების, ფუნქციების, ხასიათისა და დანიშნულების შესაბამისად თავისი ადგილი უნდა დაიკავოს სახელმწიფოდ ორგანიზებული ხელისუფლების საერთო სისტემაში და სახელმწიფო საქმეები წარმართოს სპეციფიური საშუალებებით მათვის შესაბამის ფორმებსა და ჩარჩოებში. ხელისუფლების დანაწილება მოიცავს მათი ურთიერთმოქმედების, ერთმანეთის შეზღუდვისა და შეკავების ორგანიზაციულ-სამართლებრივ მექანიზმს თოთოეული მათვანის უფლებამოსილების ფარგლებში შეკავების და იმავდროულად სხვა ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. ხელისუფლების დანაწილება არის სამართლის და სახელმწიფოს განვითარების რეზიუმე და მაჩვენებელი, სახელმწიფოს და სამართლებრივი ზასიათის ორგანიზაციული გამოხატულება, სამართლის და სამართლებრივი კანონების ბატონობის აუცილებელი წინაპირობა. ხელისუფლების დანაწილების გარეშე არ შეიძლება არსებობდეს სამართლებრივი სახელმწიფო და სამართლებრივი კანონები.

ჩვენს პირობებში საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანიზაციისა და საქმიანობისათვის საკვანძო მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების წარმომადგენ-

ლობითი ორგანოების საბჭოების სისტემის უზენაესობის უზრუნველყოფა ფარმოადგენს ამავდროულად სხვა ფაქტის უზრუნველყოფა წარმოადგენს ამავდროულად სხვა აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების სწორი მოწყობის აუცილებელ პირობას. სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის ფორმირება რთული და ხანგრძლივი პროცესია. ამ პროცესში უზენაესი წარმომადგენლობითი ორგანოები, როგორც სახალხო სუვერენიტეტის ავტორიტეტული გამომდატვენი, მოწოდებული არიან გამოვიწენ არა უბრალოდ საკანონმდებლო, არამედ, არსებითად, დამფუძნებელი ორგანოების სახით, რომლებიც ადგენენ სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის ინსტიტუტების, ნორმების ადგენენ სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის ინსტიტუტების, ნორმების ადგენენ სამართლებრივი სისტემას. ამ გზით ისინი შეძლებენ იქცნენ საბჭოთა საბაზისტურებრივი სახელმწიფოებრიობის დაფუძნებისა და რეალური ფუნქციონირების სუვერენულ-ხელისუფლებრივ გარანტიებად.

უწყებრივი „სამართლშემოქმედება“ საჯარო-პოლიტიკური ხელისუფლების დაუნაშილებლობის ლოგიკური შედეგი და ბუნებრივი დანამატია. იგი განაგებს მბრძანებლური უფლებამოსილების მოელ კომპლექსს. მას ვერ უწყებთ „სახელმწიფოს სახელმწიფოში“, რადგანაც სინამდვილეში იგი არის „სახელმწიფო“. სახელმწიფოს ნაცვლად, უწყებრიობა (თავისი ქვაზი-სახელმწიფოებრიობით, ხალხისა და საზოგადოებისაგან განდგომით, კარჩა-სახელმწიფოებრიობით, მოსახლეობის წინაშე უპასუხისმგებლობით) სუვერენული საჯარო ხელისუფლების პარტიკულარიზაციის სწორედ რომ დემონსტრირებას ახდენს.

უწყებრიობის და კუთხურობის მანკიერებას და საერთოდ, აღმასრულებელი ხელისუფლების ნაკლოვანებებს ხშირად ჩინოვნიერებს, ბიუროკრატებს და ბიუროკრატიზმს მიაწერენ. ამ დროს მიზეზს ვერ ასხვავებენ შედეგისაგნ, ბიუროკრატიზმი კი კრგავს თავის კონკრეტულ-ისტორიულ და სოციალურ-პოლიტიკურ განსაზღვრულობას, იქცევა მისტიკურ მოვლენად. სწორედ აქედანაა მის წინაღმდეგ ხმაურიანი თმის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე რაიმე საგრძნობი წარუმატებლობაც.

ხელისუფლების მოელი აპარატის საქმიანობა უნდა მოექცეს მკაცრ სამართლებრივ ჩარჩოებსა და პროცესუალურ ფორმებში, შეიზღუდოს სუვერენული ხელისუფლების და სამართლებრივი კანონის ბატონობით, იურიდიულად იქნეს ცივილიზებული, დაექვემდებაროს სასამართლოს და საზოგადოებრივი აზრის კონტროლს.

ერთ-ერთი ძირითადი ხელისუფლება — სასამართლო არის სამართლის კოველვარი ხელყოფისაგნ დაცვის ორგანო.

სასამართლო ხელისუფლების არსებითი ნაწილი, რომელიც აუცილებელია სახელმწიფო ხელისუფლების დანაშილებისა და ზოგადი სამართლდაცვითი ფუნქციის უზრუნველსაყოფად, მდგომარეობს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმატიულ აქტებზე საკონსტიტუციო-სამართლებრივი კონტროლის განხორციელებაში. ამ კონტროლის შინაარსი გამოიხატება სამართლის დაცვაში მისი ნორმატიული ხელყოფის ყოველგვარი შესაძლო გამოვლინებისაგან. სასამართლო მოწოდებულია სამართლი დაიცვას, როგორც ნებისმიერი კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედობებისაგან, ასევე ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო ნორმებისაგანაც.

ამ ფუნქციების პირობების შექმნას უნდა ემსახურებოდეს, ჩვენი აზრით, სასამართლო სისტემის მომავალი რეფორმა, რომელიც შეიძლება წარმატებით განხორციელდეს მხოლოდ მთლიანი სამართლებრივი და პოლიტი-

კური სისტემის რეფორმის კონტექსტში. სასამართლოს დამოუკიდებლად გადასცვალდა აუცილებელი თვით სასამართლოს და მთელი მისი სისტემის ჯერვანი სამართლებრივი მოწყობა. ამ თვალსაზრისით საგულისხმო ღონისძიება იქნებოდა ჩვენში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოლება, რა გორც მართლმსაჯულების ორგანოების ობიექტურობის და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა; კველაზე აღევატური ფორმა. სამართლებრივი საქელმწიფოსთვის საჭირო ზოგადსავალდებულო ნორმატიული აქტების იურიდიზაცია ნიშანას მათი შინაარსიდან უპირველს ყოვლისა, აღმინისტრაციულ-მმრდანებლური სისტემისათვის დამახასიათებელ გათანაბრების პრინციპის და მმრდანებლური ნორმების განლევნას. ამავე დროს სამართლის საჭირალმდევნები გათანაბრება მის მიერ პრივილეგიების გარდაუვალი წარმოქმნა და მმრდანებლური ნორმები განუყრელად არიან ურთიერთდაკავშირებული, რადგანაც გათანაბრების პრინციპი თავისი შინაარსით თვითნებურია და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ძალადობის გზით, ძალისშიერი ნორმების სახით.

აქ საყურადღებო პრინციპული სხვაობა ერთი მხრივ, გათანაბრებების დაშვებასა და აკრძალვას და მეორე მხრივ, სამართლებრივ დაშვებასა და აკრძალვას შორის.

გათანაბრების თვითნებურად შეზღუდული ზომა შეიძლება ნორმატიულად გამოიხატოს მხოლოდ იმის შესაბამისი შეზღუდული ზომის დადგენით, რაც უკვე ნებადართულია და ყველა დანარჩენის პირდაპირი თუ ირიბი აკრძალვით, რაც ასე თუ ისე პირდაპირ ნებადართულის ვიწრო ფარგლებს სცილდება. ამრიგად, ნებადართულის მინიმუმი და აკრძალულის მაქსიმუმი გამათანაბრებელი რეგულიაციის არსის აუცილებელი გამოვლინებაა და არა ესიმე სუბიექტური თვითნებობა. ეს, შეიძლება ითქვას, პასუხია ყოფასა და პრესაში ხშირად წარმოჭრილ კითხვაზე: „ვინ აკრძალა?!“ საერთოდ, გათანაბრების ვითარებაში პოპულარული ფრაზა — „არ შეიძლება“, თუმცა ბოროტებას ქმნის, მაგრამ სიკეთის იდეით არის შთაგონებული. როგორც ჰერელი აღნიშნავდა, სამყაროში ყველაფერი არა უბრალოდა გაფუჭებული, არამედ გაფუჭებულია კარგ საფუძველზე...

ზოგადი სახით გავრცელებული წარმოდგენების საჭირალმდევოდ, სამართლებრივი რეგულიაციის ლოგიკა და მექანიზმი ისეთია, რომ სამართლებრივი თავისუფლების მეტი ზომის გამოსახვისათვის სამართლებრივი რეგულიაციის მეთოდის (საშუალების, წესის, რეჟიმის) სახით საჭიროა გამოყენებული იქნეს სამართლებრივ აკრძალვა; ხოლო თავისუფლების ნაკლები ზომის გამოსახვისათვის — სამართლებრივი ნებადართულობა (დასაშვებითობა). აქედან გამომდინარე კარგად ჩანს, რატომაა გათანაბრების დროს რეგულიაციის ამოსავალი და განმსაზღვრელი მეთოდი ნებადართულობა, ხოლო მეორადი და განპირობებული, თუმცა ასევე ფართოდ გამოყენებული — აკრძალვა. საქმე ისაა, რომ საერთოდ რეგულიაციის ნებისდამრთველი მეთოდის დროს პირდაპირ და უშუალოდ, გადაჭრით და კონკრეტულად, დანართება ნებადართულის მკაცრად განსაზღვრული შინაარსი და მოცულობა. ასეთი რეგულიაციის მიზანია — დადებოთის სახით უკვე წინასწარ მოცემულის სფეროდან რაიმეს შერჩევა და დაშვება, და არა შემოქმედებისათვის, პროგრესისათვის, ახლისათვის, გრძელებისათვის საჭირო ასპარეზის აღიარება და გარანტირება. რამდენიმე რეგულიაციის ნებისდამრთველი წე-

სის დროს, ყოველივე ჩაც პირდაპირ არაა დაშვებული აკრძალულია, ახლა აქ არსებითად აკრძალვის ქვეშ იმყოფება, როგორც რაღაც ნეგატიური.

თუმცა სამართლშიც ნებისძამრთველ (დასაშვებ) მეთოდს დიდი მომწერიგებელი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამოსავალ და განმსაზღვრელ როლს აქ სწორედ აკრძალვის მეთოდი უნდა ასრულებდეს. გათანაბრებისას აკრძალვები პირდაპირ კავშირში იმყოფება ნების დართვისთან და არსებითად, მოწოდებულია თავიანთი რეგულიატორული დუბლირებით უზრუნველყოს ნებაბართულის მინიმუმის დაცვა და რეალიზაცია. პირიქით, სამართლში აკრძალვებს აქვს ამოსავალი, ფუნდამენტულური ხასიათი და გამოხატავს სამართლის და სამართლებრივი რეგულიაციის არს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ამომწურავად, მკვეთრად და პირდაპირ აკრძალოს ყოველივე ნეგატიური (საზოგადოებრივად მავნე ადამიანთა ქცევებში და ურთიერთებებში) და ამ გზით აღიაროს და დაცვის ქვეშ იყვანოს ყველაფერი დანარჩენი დადებითის, საზოგადოებრივად უნდა მდგომარეობს იმაში, რომელიც საზოგადოებრივად მავნე ადამიანთა ქცევებში და ურთიერთებებში) და ამ გზით აღიაროს და დაცვის ქვეშ იყვანოს ყველაფერი დანარჩენი დადებითის, საზოგადოებრივად უნდა მდგომარეობს იმაში, რომელიც საზოგადოებრივად მავნე ადამიანის (და შესაბამისი სასჯელის) წყალობით სამართლი ასრულებს თავის განსაკუთრებულ შემოქმედებით როლს, რადგანაც საზოგადოებრივად სასარგებლოს წარმოადგენს აღიარების და დაცვის მხრივ ასე გაშუალებული და არაპირდაპირი ფორმა, საზოგადოების წევრთა მოთხოვნებისა და ინტერესების შესაბამისი, საზოგადოებრივი პროგრესისათვის აუცილებელი თავისუფლების მაქსიმალურად შესაძლო ზომა.

სამართლებრივი აკრძალვის განმსაზღვრელი ხასიათიდან გამომდინარეობს შემდეგი არსებითი იურიდიული წესიც: ნებადართულია ყველაფერი, რაც სამართლით არ არის აკრძალული. აუკრძალველის მართლზომიერების ასეთი პრეზუმაცია, რა თქმა უნდა, არ არის და არც შეიძლება იყოს გამარანტიული რეგულიაციის დროს, სადაც ხშირად ისიც კი იკრძალება, რაც ენდადართულია.

თავისუფლების ლეგალიზებული მასშტაბის მაქსიმალური სიდიდისათვის აბიექტურ, სოციალურ-ისტორიულად განპირობებულ მიზნას წარმოადგენს საზოგადოებრივად საზიანოს კრიტერიუმი, რისგანაც სამართლმა მთლიანობაში უნდა დაიფაროს და დაიცვას საზოგადოებრივი ცხოვრება. ეს მაქსიმალური მიზნა, რომელიც ცნობს და აწესრიგებს საზოგადოებისათვის ყოველი უნდა მდგრადი არის ასეთი აუკრძალებელი, არა უნდა მართლიანობის და შემოიფარგლება. ეს უნდა მდგრადი არის ასეთი აუკრძალებელი, არა უნდა მართლიანობის და შემოიფარგლება. თავისუფლების სამართლებრივი მასშტაბის მინიმალური სიდიდე, რომელიც აბიექტურადაა განპირობებული (ამა თუ იმ ქმედების, მდგომარეობის, ურთიერთობის და ა. შ.), საზოგადოებრივი სარგებლიანობის პირდაპირი და არაპირდაპირი კრიტერიუმით, შესაბამისად გამოიხატება სამართლებრივ ნებადართულობებში შემდეგი პრინციპით: აკრძალულია ყველაფერი, რაც სამართლით არ არის დაშვებული. ამასთან სამართლებრივი ნებადართულობიდან გამომდინარე ეს არაპირდაპირი აკრძალვები, არ უნდა სცდებოდნენ პირდაპირი სამართლებრივი აკრძალვების ფარგლებს (სამართლისათვის სახელდიდრი ამ აკრძალვების პირველადობის და ფუნდამენტურობის გამო). ნათევაშიდან, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ გამომდინარეობს, თითქოს ყოველთვის სამართლებრივი აკრძალვები სამართლებრივ ნებადართულობებს უნდა ვამჯობინოთ. პირიქით, ცხადია, რომ სამართლებრივი თავისუფლების აღიარებული მაქსიმუმის დასაცავად ზოგჯერ საჭიროა სამართლებრივი თავისუფლების მინიმუმის დადგენა. სწორედ ასეთი გზით აიგება უფლებების

და თავისუფლებების იურიდიული გარანტიების სისტემა. ამდენად საზოგადო დოკუმენტის ცხოვრებაში საჯარო-ხელისუფლებიზე უფლებამოსილების განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო და აქედან გამომდინარე, საჯარო-პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაციისა და უუნჯციონის მკაცრად განსაზღვრულ სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევის საჭიროების, ამ ურთიერთობათა წრის (სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციის, თანამდებობის პირთა უფლებამოსილების განსაზღვრა და ა. შ.) სამართლებრივი მოწესრიგების სათანადო მეთოდს სწორედ სამართლებრივი ნებადართულობანი წარმოადგენს შემდეგი პრინციპით: აკრძალულია ყველაფერი, რაც სამართლით არ არის ნებადართული. იქ კი, სადაც ლაპარაკია უბრალოდ, საზოგადოების წევრების, სოციალური ჯგუფების, შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი კავშირებისა და გაერთიანებების მოქმედებების მოწესრიგებაზე უფრო ადეკვატურია სამართლებრივი აკრძალვების მეთოდი შემდეგი პრინციპით: ნებადართულია ყველაფერი, რაც სამართლით არ არის აკრძალული.

ამავე დროს, ცხადია, რომ სამართლებრივი აკრძალვების და ნებადართულობის ზოგადი არის დაკონკრეტებული უნდა იქნეს ზოგადსავალდებულო ცტების ზუსტად განსაზღვრულ სამართლებრივ ნორმებში. სამართლის ზოგადმომწესრიგებელი პრინციპების ასეთი კონკრეტიზაცია კი დამოუკიდებელი შემოქმედებითი. სამუშაოა, რომელიც მოითხოვს გარკვეული უფლებების და იურიდიული მოვალეობების, მათი რეალიზაციის ფორმების და პროცედურების დაცვის საშუალებების ურთიერთკავშირების ადეკვატურ ნორმიულ ასახვას. ამიტომ თითოეული ზუსტი სამართლებრივი ნორმა, მოხერხებული სამართლებრივი კონსტრუქცია, თანმიმდევრული პროცედურა, სათანადო პროცესუალური ფორმა, მოქმედი იურიდიული გარანტია არის სამართლებრივი რეგულიაციის შესაბამისი სფეროს მნიშვნელოვანი სოციალური ღირებულება და დიდი მონაბოგარი.

ახალი სამართლებრივი აქტებით და ნორმებით მოქმედი კანონმდებლობის გაფრება უნდა ეხმაბოდეს ყოველგვარი არასამართლებრივი მასალისაგან მისი (სასურველია წინასწარი) გაწმენდა, რომელსაც თავისი გამოხატვის ყველა ფორმებში (უწყებრივში და არაუწყებრივში) მთლიანად უნდა ჩამოერთვას იურიდიული ძალა. მთელი სოციალური სივრცე უკვე მციდობოდ და მყარადა „ზედმეტად რეგულირებული“ არასამართლებრივი ხასიათის ზოგადსავალდებულო ნორმებით, ასე, რომ სამართლის პრინციპების და ნორმების მოქმედებისათვის საჭიროა აღმინისტრაციულ-მბრძანებლური აქტებით და ნორმებით უკვე დაკავებული რეგულიაციის სივრცეების მოპოვება.

არასამართლებრივი ნორმების წინააღმდეგ ბრძოლის შექმნილ ნორმატიულ სიტუაციაში, კანონმდებელი (საკონსტიტუციო კონტროლის ორგანიზ), სამართლის ინტერესებისათვის, ხელმძღვანელობს რა პრინციპით — სამართლებრივი ხარვეზები უმჯობესია ვიდრე ანტისამართლებრივი უხარვეზობა, შეგნებულად და თამამად უნდა მიღიოდეს სამართლებრივ ხარვეზებზეც. ხარვეზები სამართლებრივ რეგულაციაში მართლსაწინააღმდეგო „ზედმეტ რეგულირებაზე“ უმჯობესია. ამ სამართლებრივი ხარვეზების ოფიციალურად იქმნება არ უნდა გვეშინოდეს თუნდაც იმიტომ, რომ ისინი ფაქტობ-

რიგად ისედაც არსებობენ ყველგან, საღაც სამართლის ადგილი დაკავებულია მოქმედი არასამართლებრივი ნორმებით. შესაბამისი კონკრეტული სამართლებრივი ნორმების შესაძლო დროებითი უქონლობისას (ჯეროვანი სამართლებრივი განმარტებით) უნდა (და მართებო კიდევაც) იმოქმედონ კანონების და კონსტიტუციის უფრო ზოგადშა სამართლებრივმა ნორმებმა, თვით სამართლებრივმა პრინციპებმა.

არსებითია ისიც, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობების განთავისუფლება მათი ნორმალური განვითარების დამაბრკოლებელი არასამართლებრივი ნორმებისაგან, აუცილებელ პირობებს შექმნის მოქმედი სამართლებრივა პრინციპების საფუძველზე და საზღვრებში, ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში ი) ახალი კონკრეტული სამართლებრივი ნორმების, ფორმების და ურთიერთობების აღმოცენების, მოწიფების ობიექტური პროცესისათვის, რომლებიც კონკრეტულ სამართლებრივ ნორმებში ჯერჯერობით გარდაუვალი ხარვეზების შემდგომი საკანონმდებლო შევსების სათანადო წყაროდ და ბაზად იქცევიან.

კანონმდებლობის მეცნიერული საფუძვლების სრულყოფა მთლიანობაში მოწოდებულია უზრუნველყოს სამართლებრივი კანონის ბატონობა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სამართლებრივი სახელმწიფოს ფარგლებში.

გალერი პალიძე

სოციალისტური კონსტიტუციის შესახებ

საბჭოთა საზოგადოების გარდაქმნა, როგორც ჩინს, ახალი კონსტიტუციის შემუშავებას მოითხოვს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი უფრო სერიოზული და ნაკლებად პროპაგანდისტული დოკუმენტი იქნება, ვიდრე ამჟამად მოქმედი კონსტიტუცია.

აյ განვიხილავ სოციალიზმის მთავარი პრინციპების კონსტიტუციურ ფორმულირებასთან დაკავშირებულ საკითხებს. გზადაგზა შევეხები ზოგიერთ სხვა საკითხსაც.

წერილის მთავარი მიზანია იმის ჩვენება, თუ როგორ წარმომიდგენია კონსტიტუციის ერთ-ერთი თავი — სოციალიზმის შესახებ; მინდა დავასაბუთო, რომ საგვებით შესაძლებელია სოციალიზმის პრინციპების იურიდიული ფორმულირება, რომ ეს საკითხი, როგორც აქმდე იყო მიჩნეული, არ მოითხოვს პროპაგანდისტული და იდეოლოგიური თეზისების აუცილებელ შერევას. წერილს ვწერ საბჭოთა კავშირზე ფიქრით. ჩემი აზრით, სოციალიზმის საერთო პრინციპები შეიძლება მისაღები იყოს ყოველი ქვეყნისათვის, რომელიც ისურვებს აირჩიოს არა აკრძალვების, არამედ უფლებების სოციალიზმი.

სტაგილურობის შესახებ

კონსტიტუციაში რაც შეიძლება ბევრი უნდა ითქვას, თუ — რაც შეიძლება ცოტა? იგი რაც შეიძლება სტაბილური უნდა იყოს, თუ მისი შეცვლის წესიც უნდა განისაზღვროს, რითაც გათვალისწინებულ იქნება მოსალოდნელი სოციალური ცვლილებანი?

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თითოეული ქვეყანა აკეთებს საკუთარ არჩევანს. მაგალითად, შევიცარის 1925 წლის კონსტიტუცია იმასაც აწესებს, თუ სამხედრო მოსამასურის ფორმა ვინ შეიძლება შეკეროს. სხვა ქვეყნები ამჯობინებენ კონსტიტუცია ასეთი დეტალებით არ გადატვირთონ. ამ მხრივ ამერიკული კონსტიტუცია საკმაოდ სტაბილურია: მისი არა მხოლოდ შეცვლა, არმედ მასში უმნიშვნელო ცვლილების შეტანაც კი დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამ კონსტიტუციაში ნათქვამია ცოტა, მაგრამ იგი არსებობს დიდხანს. ზოგადი ფორმით პასუხს ვერ გასცემ კითხვას, რამდენად სტაბილური უნდა იყოს კონსტიტუცია. კონსტიტუციის ავტორებს თუ კი ესმით, რომ საზოგადოებრივი ინსტიტუტები სტაბილურები არ არიან

მაშინ კონსტიტუციაში გათვალისწინებული უნდა იყოს მისი შეცვლის სამართლის მოქნილობა, რომელიც ტივე ან სხვა სახით უნდა უზრუნველყონ კონსტიტუციის მოქნილობა, რომელიც კონსტიტუციამ შეძლოს შეცვლილ პირობებთან შეგუება.

შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციის სტაბილურობა საზოგადოებრივი ინსტიტუტების სტაბილურობის პროპრიეტეტის უზრუნველყოლია. კონსტიტუცია, რომელიც დაწერილებით დეტალებს არ ითვალისწინებს ცვლილებების გარეშე დიდხანს არსებობს, ხოლო ის კონსტიტუცია, რომელიც არ ითარგლება მთავარი პრინციპების გამოყვეთით — ცვალებადია. საზოგადოებრივი ინსტიტუტების ცვლილება ვერ შეარყევს კონსტიტუციურ პრინციპებს, თუ ისინი ლაკონურად და შორსმცვერეტელურად არიან ჩამოყალიბებულნი.

შეიძლება შემცირონ, კონსტიტუციის სტაბილურობას აქვს კი ისეთი მნიშვნელობა, რომ მასზე ამდენი ვილაპარაკოთ? რა არის ცუდი იმაში, რომ ყოველ ხუთ წელიწადში ვცვალოთ კონსტიტუცია? პასუხი, როგორც ჩანს, მოცემულია თვითონ კაცობრიობის ბუნებაში. სტაბილურობა ხალხს უბრალოდ იმისათვის სჭირდება, რომ ბევრი მათგანი წინასწარ გეგმავს საკუთარ მოქმედებას. აგრეთვე იმისთვისაც, რომ ხალხს ახასიათებს შემგუებლობა და კონსერვატიულობა. თუ მკითხველებს არ აქმაყოფილებთ ასეთი სოციობილოგიური განმარტება, შევნიშნავ, რომ კანონის პატივისცემა, როგორც ჩანს, მისი სტაბილურობის პროპრიეტეტია, ხოლო კონსტიტუციის სტაბილურობა ფუნდამენტია კანონების სტაბილურობისა.

აღნიშნავ კიდევ ერთ მიზეზს თუ რატომ უნდა მივისწრავთ სტაბილური კონსტიტუციისაკენ. ყოველ საზოგადოებაში საქმაოდაა გამთიშვაი, „ცენტრიდანული“ ფაქტორები. განსაკუთრებით ძლიერია ისინი ისეთ საზოგადოებაში, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა რასის, ეროვნებისა და რელიგიური რწმენის ხალხს. წარსულში, შიში ტირანის ძალისა და სისასტრიკის მიმართ, საქმარისი მაინტეგრირებელი ძალა იყო, მაგრამ მაშინაც ეცემოდნენ იმპერიები. რესპუბლიკებში, სადაც პატივს სცემენ ადამიანის უფლებებს, ძალა და სისასტრიკე უკვე ვერარ იქცევა მთავარ ინტეგრატორად. საჭიროა რაიმე სხვა ფაქტორი ძალმომრეობით გაერთიანებული ფედერაციების შემაკავშირებელ ძალად შეიძლება იქცეს ფედერაციული ნაციონალიზმი. მაგალითად, საფრანგეთის ტერიტორიაზე ათასი წლის წინათ ცხოვრობდა ხალხი, რომელთავისაც საფრანგეთის საერთო სახელმწიფოებრიობის იდეა საქმარისი არ იყო, რომ თავი ჩაეთვალით ფრანგებად. ახლა, როგორც წესი, ეს საქმარისია. სხვა შემთხვევაში მაკავშირებელი ძალა შესაძლებელია სულ სხვა ფაქტორი საერთო მტერი, ან რელიგიის იგივეობა, თუნდაც საერთო ისტორია. შემაკავშირებელი ძალა ფედერაციისათვის ყოველთვის საჭიროა და სასურველია იყოს არა ერთი, არამედ რამდენიმე.

სტაბილური სახელმწიფო წყობილება თვითონ შეიძლება იქცეს ისეთ მაინტეგრირებელ ძალად, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფლებების დაცვასა და ეკონომიკურ სიძლიერეს. რამდენადც სტაბილური სახელმწიფო წყობილება დაფუძნებულია სტაბილურ კონსტიტუციურ პრინციპებზე, იმდევ წყობილება დაფუძნებულია სტაბილურ კონსტიტუციურ პრინციპებზე. ამენად კონსტიტუცია შეიძლება მოგვევლინოს ინტეგრატორად. მაგალითად, ამენად რიკელები კონსტიტუციას უდიდეს თაყვანს სცემენ. უმაღლესი თანამდებობის პირები ფიცს სდებენ კონსტიტუციაზე. ამერიკის მოქალაქეობის მიღებისას თვითონ კითხვა თითქმის რელიგიურად უდერს — „თქვენ გწამთ კი აშშ-ის კონსტიტუციისა?“

საბჭოთა კავშირში კონსტიტუციის სტაბილურობა კანონების სიმყარის უზრუნველყოფის საწინადარია. სამართლებრივი კულტურის ორგანიზაციებისათვის უს ერთობ აუცილებელია. კონსტიტუციის სტაბილურობა დღეს-დღეობით შეიძლება გახდეს საბჭოთა საზოგადოების ინტეგრაციი, საზოგადოებისა, რომელშიც აშენად შეიმჩნევა მაინტეგრირებელი ძალების დეფიციტი. სტაბილურია, კონსტიტუციურად გარანტირებულმა ადამიანის უფლებებმა შეიძლება უზრუნველყოს მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლება. დამოლოს, ასეთი სტაბილურობა დაიცავს საზოგადოებას ჩელისუფლების მერყევი განწყობილებისაგან, რაც ესოდეს საჭიროა საზოგადოებაში დემოკრატიული პრინციპების დასამკვიდრებლად.

ისმის კითხვა — ხომ არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის სტაბილურობა, იმას, რომ საზოგადოების განვითარებას ღაა შესაძლებლობები დარჩეს? კითვა სერიოზულია. საბჭოთა საზოგადოება რეალურად არა მარტო ვითარდება, არამედ გარდაიქმნება კიდევ, მაგრამ რადგანაც დაგროვილია ძალზე ბევრი პრობლემა და შინაგანი წინააღმდეგობები, ერთი ხელის მოსმით ყველა პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია. ამისათვის მრავალი ათეული წელია საჭირო. საკითხის სწორად გადასაწყვეტად ვფიქრობ, თუ გზა არსებობს, რომელიც ხელს არ შეუშლის კონსტიტუციის სტაბილურობის პრეტენზიას.

პირველი ეს არის, კონსტიტუციაში ყველაზე მთავარი პრინციპების გამოცხადება, ხოლო სხვა აქტებსა და კანონებში ყოველივეს დაწერილებით გადმოცემა, რამეთუ, მათი შეცვლის პროცედურა მარტივია. ეს საშუალებას მოგვცემს კონსტიტუციის შეცვლის გარეშე, საჭიროების შემთხვევაში, შევცვალოთ დადგენილება საზოგადოებრივი ინსტიტუტების შესახებ.

მეორე — კონსტიტუციაში განსაზღვრულ ფარგლებში, დაშვებული იქნას არაამომწურავი ფორმულირებები. ეს მოსაზრება ზოგიერთს გააკვირვებს, განსაკუთრებით იმათ, ვინც ფიქრობს, რომ არაზუსტმა სამართლებრივმა გარანტიამ, ზოგჯერ, შეიძლება ხელი შეუწყოს სამართლის დარღვევას. ეს სწორია. მაგრამ ზოგჯერ არაამომწურავ კონსტიტუციურ გარანტიებსაც ვერ გავეჭივით.

განვიხილოთ ეს დებულება ისეთ მაგალითზე, როგორიც დემონსტრაციის უფლებაა. აშშ-ში ეს უფლება ალიარებულია კონსტიტუციით. მაგრამ კონსტიტუციის არ შეიძლია გაითვალისწინოს კოლიზიური სიტუაციის ყველა შესაძლებლობა რა მოტივით აწყობს დემონსტრაციას ხალხი, პოლიცია ამ საკითხში არ ერევა. ეს დემონსტრაციების საქმეა. მაგრამ ქუჩაში წესრიგის დაცვა, ისევე, როგორც საზღვარგარეთის წარმომადგენლობის დაცვა — პოლიციის ვალდებულებაა. აშშ-ში გარკვეულად შეზღუდული უფლება არსებობს დემონსტრაციაზე, მაგრამ ამის შესახებ კონსტიტუციაში არაფერია ნათქვამი. თუმცა, ეს შეზღუდვა ისეთია, რომ საქმაოდ ბუნებრივადაც ითვლება. თუ სადმე პოლიცია გადააჭარბებს დადგენილ შეზღუდვას, მოქალაქეები თავიანთი უფლებების აღსაღენად მიმართავენ სასამართლოს. ასეთი დავის გადაჭრის საბოლოო ინსტანციას აშშ-ის უზენაესი სასამართლო წარმოადგენს. რომელიც საბოლოოდ წყვეტს კანონების კონსტიტუციურობასა და სასამართლო გადაწყვეტილებების სამართლიანობას. პოლიციისთან დავის დროს, გამორიცხული როდია, რომ ჭეშმარიტების დასადგენად მოქალაქენი უზენაეს სასამართლომ-დე მივლენ და არც ამ სასამართლოს გადაწყვეტილება დააკმაყოფილებთ მათ. ეს ნიშნავს, რომ კონსტიტუციის გარანტიამ, კონკრეტული სიტუაციიდან გამოშ-

დანარე, კველასათვის აუცილებელი განმარტება მიიღო. მათ ვინც წააგეს ეს საქმე, ასეთი განმარტება, ცხადია, არ მოეწონებათ. მაგრამ დემოკრატია მიზნად არ ისახავს, რომ ყოველი კანონი და კანონიერი გადაწყვეტილება ყველასმო-ეწონოს. დემოკრატიის მიზანია უზრუნველყოს ადამიანის უფლების განხორ-ცელება ისეთი ხარისხით, რომელიც მისაღებია საზოგადოების, როგორც მთლიანის არსებობისა და კეთილდღეობისათვის. დემოკრატია რაც უფრო ლამაზადა ორგანიზებული, რაც უფრო მაღალია ამ უფლების განხორციელებ-რივი კულტურა, მით უფრო მაღალია ამ უფლების განხორციელების ხარისხი, ე. ი. ხალხის თავისუფლება მით უფრო უმაღლესი ხარისხისაა.

ახლა მოვიყვანთ ანალოგიური მაგალითი საბჭოური ცხოვრებიდან. საბ-ჭოთა კავშირის ამჟამად მოქმედ კონსტიტუციაში არ არის დემონსტ-რაციის უფლების არავითარი შეზღუდვა. თავდაპირველად საერთოდ არ ყო-ფილი გამოქვეყნებული ამ უფლების შემზღვდავინორმები. 1988 წელს მი-იღეს კანონი ამ უფლების შეზღუდვაზე. აღნიშნული კანონი იმ კანონებთან შედარებით, რომლებიც მიღებულია განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებ-ში, ბევრად უფრო ზღვდავს დემონსტრაციის უფლების. კანონმა ხელისუფ-ლებას მისცა უფლება, შეაფასოს დემონსტრაციის მიზანი.

ძნელი არ არის დავინახოთ, რომ დემონსტრაციის უფლება ამჟამად პრაქტიკაში უკეთ ხორციელდება, ვიდრე მაშინ, როცა 1977 წლის კონსტიტუ-ცია მიიღეს, რადგან მაშინ დემონსტრაციის ჩატარების უფლების მიღების პრო-ცედურაც კი არ არსებობდა.

ეს მიგალითი გვიჩვენებს, რომ კონსტიტუციის გარანტია თავისი ბუნებით ეშირად შეიძლება ამომწურავი არ იყოს, რომ მისი გონივრული შეზღუდვა ხშირად აუცილებელია. უფრო მეტიც, სწორედ ეს უზრუნველყოფს თუნდაც ყველაზე სტაბილური კონსტიტუციის მოქნილობას. ამერიკის უზრუნავს სასა-მართლოს შეუძლია ზემოთ მოყვანილი პიპოთეზური მაგალითიდან გამომდი-ნარე გადასინჯოს თავისი გადაწყვეტილება, განსაკუთრებით მაშინ, თუ შეიც-ვლება საზოგადოებრივი პირობები. კონსტიტუციის შეცვლის გარეშე საბჭოთა კანონმდებელიც უფლებამოსილია შეცვალოს ნორმები დემონსტრაციის შესა-ხებ თუ მოქალაქეები ამას მოითხოვენ და ქვეყნის ძირითად კანონს დაიმოწ-მებენ.

ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ კონსტიტუციის გადაჭარბებული მოქნი-ლობა სახითათ იქნება, იმდენად სახითათ, რომ პრაქტიკულად შესაძლე-ბელია კონსტიტუციის გარანტიების ანულირებაც კი გამოიწვიოს. ამიტომ სა-ჭიროა თვით კონსტიტუციაში იყოს ჩაწერილი შეზღუდვის თაობაზე. მაგა-ლითად, დადგინდეს, რომ კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა დასაშვებია მაშინ, როცა ეს აუცილებელია განსაზღვრული მიზნით და უნდა მოხდეს მხო-ლოდ კანონის ნებართვით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

ვამთავრებ რა მსჯელობას სტაბილური კონსტიტუციის სარგებლიანობი-სა და თავისებურებების შესახებ, აღვნიშნავ, რომ სსრკ-ში დაგროვილია არას-ტაბილური კონსტიტუციით ცხოვრების დიდი გამოცდილება. მეოთხეველს ახ-სოვს, თუ რაოდენ ხშირად იცვლებოდა ამ ქვეყანაში ძირითადი კანონი. ხე-ლისუფლება კონსტიტუციას უყურებდა როგორც ლამაზ ვარდს ან როგორც პროპაგანდისტულ პროკლამაციას. არც ხელისუფლებას, არც ხალხს არ ჩა-მოყალიბებია აზრი, რომ კონსტიტუცია ისეთი სახელმწიფოს აგების საფუ-დოლია, რომელშიც სიმართლე ზეიმობს და არა თვითნებობა, სახელმწიფოს მართვის კანონები და არა ხალხი.

კონსტიტუცია, როგორი გონივრულიც არ უნდა იყოს, ვერ უზრუნველი. უფოს ვერც დემოკრატიას, ვერც სიმართლეს, თუ არ იქნება ხალხის ნება მიმართული კონსტიტუციის გარანტიების განსახორციელებლად. მხოლოდ გონივრული და სტაბილური კონსტიტუცია, შეხამებული ხალხის მზადყოფნასთან — დაიცვას მისი მონაპოვარი, — არის რეალური დასაწყისი დემოკრატიისა.

ვფიქრობ, უპრიანი იქნება, რომ ახალი საბჭოთა კონსტიტუცია ჩამოყალიბდეს ხანგრძლივი პერიოდის გათვალისწინებით, დაცული იყოს ხშირი ცეკვილებებისაგან სპეციალური პროცედურის მეშვეობით, რომელიც გააჭიანურებს მისი შეცვლის ან გაუქმების შესაძლებლობებს. კონსტიტუციის სტაბილურობისათვის საჭიროა მისი შემოფარგლუ მხოლოდ ფუნდამენტური პრინციპებით. კონსტიტუციაში კანონმდებლის შეხედულებისამებრ უნდა დარჩეს ისეთი საკითხები, როგორიცაა აღმინისტრაციული დაყოფა, მთავრობის სტრუქტურა. არჩევნების ორგანიზაცია, წარმომადგენლობის ნორმები, სახელმწიფო სიმბოლიკის დაწესება და სხვა.

კონსტიტუციის მიზანი

საბჭოთა კონსტიტუციის ყველა ავტორი, სამწუხაროო, უფრო დიდ ყურადღებას აქცევდა სსრკ-ში დამყარებული წყობილების უპირატესობის პრინციპებისას, ვიდრე იმას, რომ შეექმნათ რეალურად მოქმედი დოკუმენტი, რომლის პრინციპების მიხედვით შეიძლებოდა საზოგადოებაში სამართლებრივი ურთიერთობების წარმატებით დანერგვა. აქედან გამომდინარე, ახალი კონსტიტუცია ძალზე მნიშვნელოვანია იყოს სერიოზული და სრულებით თავისუფალი პროცესისტული ელემენტებისაგან.

კონსტიტუცია უნდა იყოს მოქმედი იმ თვალსაზრისით, რომ მისი გარანტიების განხორციელება პრაქტიკაში უზრუნველყოფილი იყოს, მიუხედავად იმისა, სხვა კანონებში გადმოცემულია თუ არა ეს გარანტიები. ჯერჯერობით კონსტიტუციური ნორმა მიიჩნევა სერიოზულად, თუ ის გამორჩეულია კანონში. ხშირად კანონის ნორმა ჰაერშია გამოკიდებული მანამ, სანამ ინსტრუქცია, ზოგჯერ გამოუქვეყნებელი, არ ახსნის, თუ როგორ გამოვიყენოთ კანონი, ან გამოვიყენოთ თუ არა საერთოდ.

1977 წლის კონსტიტუციის 58-ე მუხლი — თანამდებობის პირის მოქმედების გასაჩივრება სასამართლოში — დიდხანს არ გამოიყენებოდა, რაღაც არ იყო კანონი, თუ როგორ განხორციელებულიყო აღნიშნული უფლება. ახლა, როცა ასეთი კანონი მიღებულია, შემოიზღუდა იმათი წრე, ვისი მოქმედების გასაჩივრების უფლებაც აქვთ მოქალაქეებს. კონსტიტუციაში ლაპარაკია თანამდებობის პირებზე მრავლობით რიცხვში, ხოლო კანონი უშვებს მხოლოდ ერთპიროვნული გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლებას.

მოვიყვან მეორე მაგალითს ჩემი პირადი პრაქტიკიდან იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება არ მუშაობდეს კონსტიტუცია. 70-იან წლებში მოსკოვის ერთ-ერთი რაიონის სასამართლოში მე შევიტანე სასაჩიელო განცხადება პეტიციაზე ხელის მოწერისათვის ერთი სტუდენტის ინსტიტუტიდან გარიცხვის გამო. სარჩელი, ბუნებრივია ემყარებოდა განათლების უფლების კონსტიტუციურ გარანტის. მოსამართლემ სარჩელი წაიკითხა თუ არა, ზუსტად შემდეგი სიტყვები მითხრა: „განათლების უფლება კონსტიტუციური უფლებაა, სასამართლო მას არ იცავს“.

ძალიან მნიშვნელოვანია და საჭირო, რომ სასამართლომ დაიცვას კონსტიტუციური უფლებები, ხოლო თუ კანონი კონსტიტუციას ეწინააღმდეგება სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა დაეფუძნოს კონსტიტუციას. საზოგადო-ებაში, სადაც რთული სოციალური ურთიერთობებია, ვერსად წაუვალო იერარქიულ კანონმდებლობას, მაგრამ მთავარია კონსტიტუცია პრაქტიკულად ედგეს სათავეში ამ იერარქიას და არა თეორიულად.

ჩემი აზრით, საბჭოთა კონსტიტუციაში ფორმულირებული უნდა იყოს პრინციპების ოთხი ჯგუფი. ესენია:

ფედერაციის პრინციპი ანუ პრინციპი იმისა, თუ რესპუბლიკები როგორ სამართლებრივ საფუძველზე გაერთიანდებიან საბჭოთა კავშირში და როგორ შეიზღუდება კავშირის უფლებები.

დემოკრატიის პრინციპი ანუ ხალხის მიერ მთავრობის ფორმირების სამართლებრივი საფუძველი და მთავრობის ძალაუფლების საზღვრები.

ადამიანის უფლებები ანუ ცივილიზაციული ქვეყნებისათვის დამახსათებელი ზოგადი ნორმები სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლებების შესახებ.

სოციალიზმის პრინციპი ანუ სოციალისტური ქვეყნების სპეციფიკური გარანტია სოციალურ-ეკონომიკური უფლებებისა და განსაზღვრული ხარისხით ამ უფლებების უზრუნველყოფის პრინციპი.

მთავარია გავიგოთ ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების არსი. საყოველთაოდ მიჩნეულია, რომ დემოკრატია განუყრელ კავშირშია ადამიანის უფლებებთან. ფედერაცია, ან სახელმწიფო კავშირი, სავსებით შესაძლებელია არსებობდეს დემოკრატიისა და მით უფრო სოციალიზმის გარეშე. თავის მხრივ, დემოკრატია, ფედერაციისა და სოციალიზმის გარეშე საქმიანდ კარგად გრძნობს თავს, მაგრამ სადაცო საკითხი — შესაძლებელია თუ არა სოციალიზმი არსებობდეს დემოკრატიის გარეშე. ბევრს მიაჩნია, რომ სსრკ-ში სოციალიზმი უკვე აშენებულია, საჭიროა მხოლოდ დემოკრატიული პრინციპებით მისი გაუმჯობესება.

მე არ ჩავერევი ამ დავაში, რადგან ბოლოსდაბოლოს ყველაფერი დამოკიდებულია სოციალიზმის განსაზღვრებაზე, თუმცა, უბედურება ისაა, რომ სოციალიზმის ზუსტი იურიდიული განმარტება არ არსებობს. სწორედ სოციალისტური სახელმწიფოს კონსტიტუციამ უნდა მოგვცეს ასეთი განსაზღვრება. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება გავითვალისწინოთ საბჭოთა კონსტიტუციაში ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპები, ამას მოითხოვს სამწერაო ისტორიული გამოცდილება. სოციალიზმის ბუნდოვანი განსაზღვრებით მოქმედდება და ისინი, ვინც უკანმოუხედავად მბრძნებლობდნენ ხალხის ნებაზე. მათ შერყვნეს დემოკრატიისა და ფედერაციის არსი, შემოიღეს ტერმინები — სოციალისტური დემოკრატია და სოციალისტური ფედერაცია. დემოკრატიის უგულებელყოფას, ადამიანთა უფლებების დარღვევას და უკიდურეს ცენტრალიზაციას ამართლებდნენ სოციალიზმით, რომელიც თითქოს ისეთი უმაღლესი სიკეთეა, რომლის მისაღწევად ლირს, რომ ადამიანებმა დათმონ ყოველგვარი ამქვეყნიური ლირებულებანი.

ასე რომ, საბჭოთა სოციალისტური კონსტიტუციის მიზანი, ჩემი აზრით, უნდა იყოს ფედერაციის, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და სოციალიზმის პრინციპების გამოცხადება და შესაბამისად კონსტიტუციაში შეტანა, თანაც ისე, რომ ერთი პრინციპის სასაჩვენებლოდ არ დაიჩაგროს მეორე პრინციპი.

ამ შერილში როგორც ავღნიშნე, ძირითადად საუბარი ჩენებას კოტიალიზ-
მის, პრინციპებზე.

შეართველი პარტია

მიმაჩნია, რომ არ არსებობს ისეთი ურჩეული, როგორც ერთპარტიული
დემოკრატია, თუმცა ნუ ვიჩქარებთ. საზოგადოებრივი წყობის მრავალგვარი
ფორმა, როგორც ჩანს, გაუთვალისწინებელ შედეგებს იძლევა, მით უფრო
დემოკრატიული ფორმა, რადგან დემოკრატია თავისთვალ მრავალფეროვნებას
გულისხმობს.

ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ ამ ურჩეულზე სხვადასხვაგვარად
შეიძლება ვილაბარაკოთ. სინდისიერებაა, როცა ადამიანი გულწრფელად ფიქ-
რობს მრავალფორმიანობაზე, საზოგადოებრივი ფორმების აგების ამოუწურავ
შესაძლებლობებზე. ხოლო უსინდისობაა, როცა ვინმე, თუნდაც საყვეთესო
სურვილების გამო, გადაწყვეტს დემოკრატია დაარქვას ყველაფერს, რასაც გარ-
დაქმნა მოიტანს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთპარტიულობა სახეზეა, ვერ-
სად გავექცევით, მაგრამ თუ მივაღწევთ არსებული დიტატურის ლიბერა-
ლიზაციას და მას შეიძლება თითქოს დემოკრატია დაერქვას, გარდაქმნამ მოვა-
კა შესაძლებლობები არა მხოლოდ ახალი საინტერესო სტრუქტურების შესაქ-
მნელად, არამედ წარმოიშვა ახალი სახითათო ტალღების საშიშროებაც. ეს
უნდა გვასრულეს და ამას უნდა ვერიდოთ.

განვსაჯოთ სინდისიერად, ოღონდ შევთანხმდეთ ერთ რამეში. რაც წი-
ნათ საყველთაოდ ალიარებულად ითვლებოდა, მაში ეჭვი უნდა შევიტანოთ
და ნუ მივიჩნევთ ჭეშმარიტებად. საჭიროა ახლებურად გავაანალიზოთ ყო-
ველივე, რასაც ძველად აპრიორულ ჭეშმარიტებად მივიჩნევდით. მე გთავა-
ზობთ ჩემს მოსაზრებას.

საბჭოთა პარტია, სკკპ, პარტია იყო მაშინ, როცა ქვეყანაში მოქმედებ-
დნენ სხვა პარტიებიც. პარტია პოლიტიკურად აქტიური ჯგუფია, რომელიც ხალ-
ხის ნაწილს წარმოადგენს, აქედან წარმოსადგება თვითონ სიტყვა პარტია —
ნაწილი.

ბოლშევიკების პარტია, სხვა პარტიების განდევნის შეიძლებაც შეიძლე-
ბოდა ჩაგვეთვალი პარტიიდ, რადგანაც ის პრეტენზიას აცხადებდა, რომ წარ-
მოადგენდა ხალხის ნაწილს — მუშათა კლასს. ამჟამად, საბჭოთა პარტია,
პრეტენზიას აცხადებს, რომ ის წარმოადგენს მთელ საბჭოთა ხალხს. აქედან
ჩანს, რომ ეს არ არის პარტია. ეს რალაც სხვა რამ არის. თუმცა, წარმოად-
გენს თუ არა საბჭოთა პარტია მთელ ხალხს? როგორც ჩანს, არა. რამეთუ
წარმომადგენლობითი დემოკრატიის სისტემაში, ისეთ სისტემაში, რომელიც
ფორმალურად გვევლინება საბჭოთა კავშირში, არცერთი ჯგუფი არ შეიძ-
ლება წარმოადგენდეს მთელ ხალხს. ხალხი თვითონ წარმოადგენს თავის თავის
დეპუტატების საბჭოებში. საბჭოთა ისტორიის უკანასკნელი სამოცდათი წელი,
ეს არის ცნებათა ცვლილების ზეიმი და „პარტია“ ერთი იმ ცნებათაგანია,
რომელიც დაექვემდებარა შეცვლას. საბჭოთა კავშირში, ზუსტად რომ ვთქვათ,
არ არის არცერთი პარტია. იქ არის კარგად ორგანიზებული ხელისუფალთა
ელიტა, რომელიც ტრადიციულად უწოდებს თავის თავს პარტიას. კაცობრი-
ობის ისტორიისათვის უცნობია ანალოგიური ხასიათის ელიტა. ეს ელიტა
შეიძლება შეგადაროთ რაინდული ან რელიგიური ორდენის თავადაზნაურო-

ბას. მაგრამ ვერავითარი ანალიზია ვერ მოგვცემს მთლიან სურათს. ეს კი კარად ახალი წარმონაქმნია, ამიტომაც ხალხმა ვერ შეიცნო მისი არსი და მას არასწორად მოიხსენებს პარტიად.

მთავარია გავიგოთ — საბჭოთა პარტია მარტო ელიტა კი არ არის, რომელიც შექმნილია ხელოვნური ნიშნის მიხედვით, არმედ ესაა აქტიური ხალხის ფენა. ნება მიბორჯეთ შეგახსენოთ, რომ სხვადასხვა დროს ზოგიერთ ქვეყანაში არსებობდა ისტორიულად ჩამოყალიბებული ელიტა, რომელიც საზოგადოებრივი მმართველობის საქმიანობაში აქტიურ როლს ასრულებდა და ყოველთვის ხელს არ უშლიდა დემოკრატიის განვითარებას. ასეთი იყო ინგლისის თავადაზნაურობა, მიწათმფლობელების ფენა შერეთებულ შტატებში. მათი მოღვაწეობა ზოგჯერ ანელებდა დემოკრატიის აღმავლობას, მაგრამ განსაზღვრულ დროს მასზე სასიკეთო გავლენას ახდენდა. არცერთი პარტია, არც ერთი ფენა ხელისშემშლელი არ უნდა იყოს დემოკრატიზაციისათვის და თუ ეს ასე არ არის, მაშინ რა პარტია ან რა ფენა იგი? მზად იქნება კი ეს სოციალური ფენა შინაგანი დემოკრატიზაციისათვის?

1983 წელს, ჩემს წიგნში „რუსეთის მოგაცალი“, საბჭოთა პარტია მოგიხსენიე, როგორც სახალხო დექტატორი, რადგან ის თავის რიგებს ავსებს საზოგადოების ყველა ფენის განსაკუთრებით აქტიური ხალხისაგან. ამ ბოლო დროს იმედი გამიჩნდა, რომ ეს სხვადასხვა ფენის აქტიური ხალხი, რომელიც პარტიაშია გაერთიანებული, წარმატებით გაართმევს თავს დემოკრატიზაციის ამოცანას, გარკვეული ხარისხით შეიცვლება პარტიის დექტატორული როლი და მოგვევლინება ის სახალხო ძალის განმსახიერებლად.

საბჭოთა პარტია — ელიტის დღევანდელი სახით არსებობა, არ გამორიცხავს დემოკრატიზაციის შესაძლებლობას. მკაცრად რომ ვთქვათ, უნდა ვიმსჯელოთ არა ერთპარტიულ დემოკრატიაზე, არამედ უპარტიობების დემოკრატიაზე, რადგან ქვეყანას მართავს არა პარტია, არამედ ტადიციული ელიტა. ისმის კითხვა, მოისურვებს, თუ არა ეს ელიტა ძალაუფლების ხალხისთვის განაწილებას. პარტკონფერენციის შემდგომ, მათ სურთ სასიკეთო ცვლილებები, მაგრამ არ სურთ ხელისუფლების დამობა.

განსაკუთრებით გონივრულად მიმაჩნია ამ პირობებში დღეისათვის ნაწილობრივ გამოყენებული შემდეგი ღონისძიებები:

პირველ რიგში პარტიის საქმიანობის დამორჩილება სახელმწიფოს კანცენტრი, ე. ი. ისეთი პირობების შექმნა, როდესაც მმართველი პარტია, ელიტა, ქვეყნის მართვაზე გავლენას ახდენს არა კანონების უგულებელყოფის საშუალებით, არამედ კანონიერი საშუალებებით, თუნდაც აგიტაციით. ეს პრობლემა ძალზე რთულია, რადგან ქერქერობით ხალხი ვერ მიეჩვია მქაფით კნონების აუცილებლობას, პარტია კი კანონების დამორჩილებას. პარტიული ნომენკლატურის მთავარი არსი ამ პრობლემაში ძევს: ისინი ენდობიან თავისიანებს, ენდობიან მათ, ვისთანაც უხიდათოა კანონის დარღვევა, მხედველობაში მაქვს არა კორუფცია, არამედ მათი ყოველდღიური მმართველობითი შემოქმედება. ლენინი, როგორც ცნობილია, კანონებს მაინცდამაინც დიდ ანგარიშს არ უშევდა. ის უპირატესობას ანიჭებდა რევოლუციურ სინდისს, მაგრამ მშინაც კი, გამოცემული იქნა დეკრეტი, იმ პირობების შესახებ, რა დროსაც შეიძლებოდა კანონის დარღვევა. ახლა კანონებს არღვევენ არა დეკრეტით, არამედ პირადი შეხედულების მიხედვით. უბრალოდ, არ ფიქრობენ, რომ მათი მოქმედება კანონსაწინააღმდეგოთ.

რაც შეეხება შინაპარტიულ დემოკრატიას, არის სულ ცოტა საში პრობ-

ლემა, რომელთა უგულებელყოფა არარეალურს გახდის. შინაპარტიული დემოკრატიზაციის იმედს, პირველი ეს არის ხელმძღვანელი კადრების შერჩევის მომენტი. პარტია გვევლინება საზოგადოებაში თანამდებობრივი იქრარქიულის მონიპოლისტური. ხალხს უნდა მიყცეს საშუალება — აღნიშნული იქრარქიის თვითდაკომპლექტებისა, შესაძლებლობა — წინ წასწიოს ისინი, ვინც იმსახურებენ ხალხის პატივისცემასა და ნდობას. ამის შესახებ ახლა მიდის საშუალო, მაგრამ ძნელი დასაჭერებელია, რომ პარტიამ დიდი ბრძოლის გარეშე დათმოს თავისი პოზიციები, ყოველივე ეს მოითხოვს საკითხისადმი გონივრულ მიღ- გომას. დასაწყისისათვის შეიძლება დაწესდეს ზოგიერთი თანამდებობის უპარ- ტიო მოქალაქეების მიერ დაკავების უფლება. პირველ რიგში ეს ეხება მო- სამართლებს და თუ მოსამართლები იქნებიან უპარტიონი, ეს საშუალებას მოგვცემს. რომ პარტია დავუმორჩილოთ კანონებს.

შეორე პრობლემა, პარტიის დემოკრატიზაციასთან დაკავშირებით გახლავთ საკუთარი წევრების პატივისცემა. ამ საკითხზე ჯერჯერობით საუბარი არ წარმოებს. შექმად, პარტია თავისი წევრების მიმართ ასრულებს პოლიტიკური პოლიციის ფუნქციებს: პარტიის ყავს ინფორმატორები, პარტიის წევრებზე იქმნება პირადი საქმეები, რომელშიც იწერება მათი გაუფრთხილებელი, უნებ- ლიე გამონათქვამები და სხვადასხვა დარღვევები. ცივილიზებულ საზოგადო- ებაში ეს შეურაცხმყოფელია და მისი დაშვება არ შეიძლება. როგორ შეიძ- ლება მოვახერხოთ პოლიტიკური პოლიციის დემოკრატიზაცია? მხოლოდ ერ- თადერთი საშუალებით, პარტიამ საერთოდ უნდა დაანებოს თავი პოლიტიკურ პოლიტიკობას.

მესამე პრობლემა გახლავთ დემოკრატიული ცენტრალიზმი. პარტიას ჯერჯერობით არ აქვს დაგეგმილი მისგან თავის დაღწევა, მაგრამ სულ მალე ცხოვრება აიძულებს მას ამის გაკეთებას. აღნიშნული პრინციპის ერთგუ- ლებამ პარტია და ქვეყანა მრავალ უბედურებამდე მიიყვანა. ამ პრინციპის ბუნებას ვერ ცვლის ისეთი ეპითეტი, როგორიცაა დემოკრატია. ეს არის ხელმძღვანელის დიქტატურის პრინციპი. რაღაც არა სჩანს, რომ გარდაქმნის მსვლელობისას, ხალხი სერიოზულად მიუდგა მას. პარტია, შესაძლებელია განდევს ცოტათი უფრო დემოკრატიული და ნაკლებად ცენტრალიზებული, მაგრამ ვინ გაბედავს ამ პრინციპის უარყოფას? ეშინიათ ანარქიის, ეშინიათ იმისა, რომ პარტიის მართვა შეუძლებელი გახდება. ფედერალიზმი ანარქია როდია, ფედერალიზმი პარტიაში, მარტივად რომ ვთქვათ, ნიშნავს იმას, რომ პარტიის ცენტრალურმა ორგანოებმა, პარტიის ყრილობმა გაღაწყვეტილებები უნდა მიიღოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, რომელიც სავალდებულო იქნება შესასრულებლად პარტიის ყველა წევრისათვის. ეს ნიშნავს ადგილობ- რივი ორგანოების საქმიანობაში ჩაურჩევლობას: ადგილობრივი ორგანოს მდივ- ნის არჩევისას, ზემდგომი პარტიიული ორგანიზაციის ბრძანებისა თუ რეკო- მენდაციის დაუშევებლობას. ყოველივე ეს, ე. ი. პარტიიული დემოკრატია, აუ- ცილებელ გმოძახილს პოვებს მთელ ქვეყანაში, ვინაიდან საეჭვო არაა. რომ ქვეყანა კიდევ დიდხანს წაბაძავს თავის ელიტის ჩვეულებას. და ამ თავის მიბაძვით გამოიცობს ხელსუფალთა განწყობილებას, მანამ ვიღრე თავის აზრს გამოსთქვამდეს. ასე იქნება მაშინაც, როცა მათ აზრის თავისუფლად გაცხადების საშუალების შესაძლებლობას მისცემენ.

შევეცდები პრობლემა სხვა კუთხით განვიხილო. გავაანალიზოთ ისეთი ტერმინი, როგორიცაა ზნეობრივი განვითარება. გამარჯვებული რევოლუციური

პარტიის ეკოლუცია, შეიძლება აღვწეროთ შემდეგი ზნეობრივი შეფასებაზე
კაჭით: გმირი, ფანატიკი, ცინიკი. ამ კაჭის შეერთება შეუძლიათ გუშინდელ
ცინიკოსებს, რომლებიც შეცვლილი საზოგადოებრივი პირობებისა და საზო-
გადოებაში იღორძინებული კულტურის გავლენით, ზნეობრივად მიიჩნევენ,
საზოგადოებს გაუნაწილონ დაბყრობილი ძალაუფლება. თუ ეს ასეა, პრაგმა-
ტული თვალსაზრისით, იმის იმედი, რომ რაც ხდება ყველაფერი სასურველია,
ერთობ დიდია. რადგანაც გარდაქმნის პრაგმატული საჭე, თუ ზნეობრივად არ
არის მოტივირებული, სასიკეთო ცვლილებების ნაცვლად, საჭირო შედეგების
ბრძან ძიებისას, შეიძლება შემობრუნდეს საპირისპირო მიმართულებით.

რა ხასიათის ძიება მიმდინარეობს საბჭოთა კავშირში? ვფიქრობ, შეიძ-
ლება განვსაჭოთ შემდეგნაირად: თუ ეს ზნეობრივი ხასიათის ძიებაა, მაშინ
გარდაქმნა საბჭოთა კავშირში ყოველნაირი მერყეობის და თუნდაც უკანდა-
ხევის ღრუს, კულტურის გამარჯვების ტოლფასი იქნება. თვითონ გარდაქმნა
ცვლილებების აუცილებელ გამარჯვებას არ ნიშნავს და თუ ის კულტურის
გამარჯვებაა, მაშინ საზოგადოებაში პლურალიზმის დასაწყისიც ყოფილა.
რამდენადაც პლურალიზმი აუცილებელი პირობაა დემოკრატიისა, ამ პოზიციი-
დან, ბუნებრივია, ის დემოკრატიის დასაწყისადაც მოგვევლინება. სხვა საკით-
ხია, როგორ ჩატარდება არჩევნები, როგორ სწრაფად იქცევა ის ნამდვილ არ-
ჩევნებად. სხვა საკითხია ის, რომ რამდენიმე ათწლიანი კრიტიკის შემდეგ, აღი-
არებენ რომ სსრკ-ში დამყარდა დემოკრატია. მთავარია პლურალიზმის ზრდის
ტემპი ქვეყანაში, რადგან ეს არის დემოკრატიის მთავარი ინდიკატორი.

თუ რა იქნება მნიშვნელოვანი ზრდა პლურალიზმისა, მოწოდება გარ-
დაქმნისაკენ დარჩება მხოლოდ მოწოდებად. პლურალიზმი უნდა იყოს ყველა-
ფერში: იდეებში, ორგანიზაციულ ფუნქციებში, ხალხის მიერ იერარქიის თვით-
განსაზღვრაული.

საზოგადოება არ უნდა იმედოვნებდეს, რომ ყოველი რანგის მმართვე-
ლის ზნეობრიობა იდეალურის ტოლფასი უნდა იყოს. მან თვითონ უნდა
შექმნას ისეთი საზოგადოებრივი ინსტიტუტების წყობა, რომელიც უზრუნ-
ველყოფს ზნეობრივ მართვას, უზნეო მმართველის ხელშიც კი. ამჟამად, შე-
დარებით მაღალია ხელისუფლების მქონეთა ზნეობრიობა, ვიდრე ეს იყო
არცთუ დიდი ხნის წინათ.

დემოკრატიის განვითარების ელიტარული გზა გამოცადა კაცობრიობამ. და როგორც ვხედავთ მიმდინარეობს წარმატებით. ოდესრაც ბუნებრივად მეჩ-
ვენებოდა ელიტის მიერ თანდათანობით მონაწილეობის მიღება განვითარე-
ბული დემოკრატიული წყობის შექმნაში. თანდათანობით დემოკრატიულ პრო-
ცესში ერთვებან სულ ახალი ფენები. ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს
თანდათანობითობა დღევანდელ დღემდე მოვიდა. შავ მოსახლეობას მხოლოდ
ახლა ეძლევა საშუალება საზოგადოების მართვის პროცესში ჩართვისა. რაც
შეეხება რუსეთს, იქ არც ისე ადვილი იქნება აღნიშნული პროცესის გან-
ხორციელება.

საბჭოთა კავშირში თანასწორობის იდეა საკმაოდ დიდი ხანია გამოცხად-
და. მიუხედავად ამისა, იქ არ შეიძლება მოსახლეობის სხვადასხვა ფენები
თანდათანობით ჩავჩოთოთ დემოკრატიულ პროცესში, რადგან იქ, ყველაფერი,
რაც გაიცემა, ყველას ერთდროულად სურს მიიღოს. ამიტომ დემოკრატიული
თანდათანობითობა უნდა შევცვალოთ მთელი ხალხის ქვეყნის მართვაში მო-
ნაწილეობის მოცულობის გაზრდით, ეს უნდა დავიწყოთ ხალხის ქვეყნის

ბართვაში მონაშილეობის აუცილებელი მინიმუმით, რაც კონსტიტუციით უქმდის და იყოს გარანტირებული. ვფიქრობ, ეს გონიერულია და შესაძლებელიც.

შემდგომი დემოკრატიზაციისათვის, ერთამარტიულობა, ქვეყნის ელიტა რული მართვა შესაძლებელია ხელის შემსლელი განხდეს. მაგრამ მანამდე ვფიქრობ შორსაა, ამჟამად, დემოკრატიული განვითარების დასაწყისში, პარტია შეუძლია წარმატებით უხელმძღვანელოს დემოკრატიზაციას, მაგრამ უნდა შეძლოს ტოტალური შინაგანი სტრუქტურისაგან თავის დაღწევა.

საბჭოთა პარტია, საზოგადოების ელიტად რომ დარჩეს, ვფიქრობ თავისუფლად შეძლებს ითანამშრომლოს სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, პარტიებთანაც კი, თუ ისინი სერიოზულად წარმოიქმნებიან. აღრე ფორმალურად ასეთი სიტუაცია არსებობდა. პარტია თანაარსებობდა სხვადასხვა სტრუქტურებთან, რომელთაც საბჭოთა ენაზე უწოდებენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მაგრამ საერთო და პარტიული კონტროლი აღნიშნულ სტრუქტურებზე ისეთი ყოვლისმომცველი იყო, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნაცვლად უმჯობესია ის სხვა სიტყვებით მოვიხსენიოთ. ამჟამად სსრკ-ში შექმნილია აურაცხელი რაოდენობის არაფორმალური ორგანიზაციები. ე. ი. საზოგადოებრივი გაერთიანებები. იბადება კითხვა: მმართველ პარტიის ეყოფა გამბედაობა და სიბრძნე, რომ მათთან თანაარსებობდეს და არ შეეცადოს მათ გაკონტროლებას ან სხვა სახით წინაღუდეს ამ გაერთიანებების საქმიანობას?

საბჭოთა პარტია, შესაძლებელია, რომ დაუშვებს საზოგადოების მიერ ორგანიზებული პარტიების არსებობას. ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა ეწოდებათ საზოგადოებრივ გაერთიანებებს, მთავარია, რომ მათ გამოხატონ საზოგადოების ამა თუ იმ ჯგუფისა და ფენის ინტერესები. მნიშვნელოვანია, რომ მათ ჰქონდეთ პოლიტიკური გავლენა საზოგადოებაში, არჩევნებში კანდიდატების წამოყენების უფლების ჩათვლით. არა აქვს მნიშვნელობა, თუ კონსერვატორული მოსაზრებებით აკრძალული იქნება ამ გაერთიანებების პარტიებად მოხსენიება. თუმცა, ასეთი აკრძალვა, ცოტა არ იყოს, საცილოდ გამოიყენება.

მთელი ეს მსჯელობა მმართველი პარტიის შესახებ, ბუნებრივია, წარმოშობს კითხვას: საჭიროა თუ არა პარტიის მმართველი როლის კონსტიტუციით გამაგრება? ვფიქრობ არ არის საჭირო, რადგან ეს იქნება კიდევ ერთი ბიძგი პარტიული ორგანოებისათვის კანონის დასარღვევად. თუ კონსტიტუციაში გამოვვეთ პარტიის მმართველი როლის აუცილებლობა, ამით პარტიას გზა ეხსნება დაარღვიოს კანონი, როცა საჭიროდ ჩათვლის და თავისი უკანონო მოქმედება გაამართლოს იმით, რომ ის არღვევს კანონს მხოლოდ საქმის სასარგებლოდ. ეს იყო და იქნება მომავალშიც კონსტიტუციის პირდაპირი ან არაპირდაპირი დარღვევა. კონსტიტუციის დარღვევა თავიდან რომ იქნეს აცილებული, მასში არა მარტო არ უნდა ჩაეჭროთ, არამედ მინიშნებაც კი არ გვმართებს იმისა, რომ რომელიმე ორგანიზაცია შეიძლება კანონზე მაღლა დადგეს.

თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ კანონში იყოს აღნიშნული, პარტიის როლი საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში. თუ შემორჩია, სახალხო დეპუტატების არჩევნების ახლანდელი წესი, რომელიც საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ნებას რთავს წარგზვნოს ყრილობაზე თავისი დეპუტატები, ეს უკვე არის პარტიის ლიდერობის აღიარება, რადგან პარტია კომკავშირთან ერთად ერთადერთი პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც პირდაპირ აგზავნის დეპუტატების სახალხო დეპუტატების ყრილობაზე.

თუ მე შემოგვევაში, თუ კონსტიტუციაში დარჩება მუხლი პარტიის წარმმართვის მიერთების მიუღიანების შესახებ, მაშინ აუცილებელია სპეციალური ნორმი, რომელ მიუღიანება, რომ არცერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, პარტიის ჩათვლით, კანონის დარღვევის უფლება არა აქვს.

სოციალიზაციი

(ზოგადი შენიშვნები)

მე სოციალისტი არ გახლავართ. მიყვარს თავისუფალი კონკურენცია და თავისუფალი ეკონომიკა. მაგრამ დემოკრატიული კაპიტალიზმის პირადი სიმპათიები ხელს არ მიშლის შევიცნ საზოგადოებაში სოციალისტური იდეაბის გარღვევალობა და აუცილებლობა. შეიძლება ითქვას, ხალხმა კაპიტალისტური იდეას წყალობით ააშენა დასავლური ცივილიზაცია, მაგრამ სწორედ სოციალიზმის იდეებმა გახდა კაპიტალისტური ცივილიზაცია უფრო ადამიანური. სკე რომ იდეების, უნდაც ურთიერთსაწინააღმდეგო იდეების შეჯიბრება ავითარებს კაცობრიობას — ეს არის წინსვლის შემოწმებული და წარმატებული შეთოდი.

ვფიქრობ, საბჭოთა კავშირს სურს გახდეს სოციალისტური და არა კაპიტალისტური და სოციალისტური იდეების თავისუფალი შეჯიბრების ქვეყანა. უნდა შევიგნოთ, რომ ასეთია სოციალიზმი. ბავშვობიდან მასშავლიდნენ, რომ სოციალიზმი არის სახელმწიფო მონოპოლია ყველაფერზე, რაზედაც შეიძლება მონოპოლია. თორმეტი წლის ვიყავი, როცა აღფრთოვანებული უფროსების მიბაძვით შევისწავლე სტალინის „ეკონომიკური პრობლემები“. მაგრამ მათგან განსხვავებით ვერ გავიგე, თუ თნდათანობით რატომ გაიზრდება უფრო მეტად სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში.

ხალხი მხოლოდ ახლა იწყებს იმის გაგებას, რომ სტალინმა მათ სოციალიზმის მაგივრად თავს მოახვია დიქტატურა, თავისი ეკონომიკური მონოპოლიით. თუმცა, ამას ახლაც ბევრი ვერ გებულობს. იური აფანასიევი მკაცრად გააკრიტიკეს გაზეთ „პრავდაში“, როცა მან ამჟამინდელ სოციალისტურ საზოგადოებაში სოციალიზმი ვერ დანახა.

მრავალი ტომია დაწერილი იდეალისტებისა და ანგარებიანი ხალხის მიერ სოციალიზმის შესახებ. ბოლოსდაბოლოს რა არის სოციალიზმი? ।

წარმოვიდგინოთ, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ღერძი. დავუშვათ, რომ მარცხნივ ამ ღერძზე უკანასკნელ წერტილს წარმოადგენს თეორიული კომუნიზმი, რომელიც ლენინის აზრით არის მატერიალურად აბსოლუტურად გამთანაბრებელი. იქ ყველა მუშაობს თანაბრად და შემოსავალიც თანაბარი აქვთ. ახლა წარმოვიდგინოთ ღერძის მარჯვენა მხარეს წერტილი. დავუშვათ, რომ ის კაპიტალისტურ სისტემას აქვს დაკავებული. ისეთ სისტემას, რომლის საზოგადოება ხასიათდება ძალებისა და შემოსავლის მეტად თუ ნაკლებად თავისუფალი განაწილებით. ღერძის მარცხენა და მარჯვენა წერტილებს შორის მოთავსებულ სპექტრს ე. ი. თეორიულ კომუნისტურ წერტილსა და კაპიტალისტურ წერტილს შორის მოთავსებულ აღვილს, შეიძლება უწინდოთ სოციალიზმი. საზოგადოება, რომელშიც აქტიური, საქმიანი ხალხი შეზღუდული არიან, მათ იკიან წინასწარ თუ რა ხარისხით უნდა გამოავლინონ აქტიურობა, ხოლო ხალხის დიდი ნაწილი ანუ პასიური ხალხი დაცულნი არიან აქტიურების შევიწროებისაგან.

ვფიქრობ, რომ ჩვენს წარმოსახვით ღერძზე უნდა ვიპოვოთ წერტილი, როცა შელიც აღნიშნავს არა მხოლოდ სოციალიზმს, არამედ მომუშავე სოციალიზმს, მოქმედი ეკონომიკით, რომელშიც გარკვეული თანაფარდობა იქნება დაცული, აქტიური, საქმიანი ხალხის მისწრაფებასა და უმოქმედო, პასიურ ადამინთა მისწრაფებას შორის. კაცობრიობის გამოცდილება გვიჩვენებს; რომ ასეთი წერტილი უნდა ვეძებოთ ჩვენი წარმოსახვითი ღერძის მარჯვენა წერტილთან, რადგან ეკონომიკის წარმატება დამოკიდებულია ხალხის აქტიურობაზე.

როგორც ჩანს, ეს არ იქნება წერტილი, ეს იქნება თანაფარდობის ადგილი, მატერიალურ თანასწორობასა. და უთანასწორობას შორის თანაფარდობისა, რომელშიც უზრუნველყოფილი იქნება სოციალური სამყარო და მომუშავე ეკონომიკა.

ამ ადგილის მდგომარეობა დამოკიდებული იქნება მრავალ პარამეტრზე, ამიტომ მისი ცალმხრივი განხილვა საქმარისად არ მიმაჩნია. საჭიროა შემოვიტანოთ საკითხის ამომტურავი განხილვისათვის სახელმწიფოს როლის დამახასიათებელი მეორე ღერძი. თუ სახელმწიფო მონოპოლისტია და ამავე ღრმული აცხადებს, რომ ის არის სოციალისტური, მაშინ, აქედან გამომდინარე, შეიძლება ვილაპარაკოთ ყაზარმულ სოციალიზმზე. ამ ტერმინს ხშირად იყენებენ თანამედროვე საბჭოთა საზოგადოების დასახასიათებლად. ეს, მე ვიტყოდი, შემთხვევით აღმოცენებული შემთხვევა სოციალიზმისა, არც კი ღირს სოციალიზმად რომ იწოდებოდეს, ბოლოსდაბოლოს ეს არაა ის საზოგადოება, რომლისთვისაც მილიონობით ადამიანი დაიხოცა. ამავე ღრმუს, როგორც ჩანს საბჭოთა გამოცდილებიდან, მონოპოლიზმი ვერ მიგვიყვანს საქმიან ეკონომიკასთან. მაშინ, სახელმწიფოს ეკონომიკაში მონაწილეობის როგორი დონე მივჩინოთ საქმარისად?

ამ კითხვას შეიძლება ვუპასუხოთ მხოლოდ მრავალწლიანი ცდებისა და შეცდომების გათვალისწინებით. ვფიქრობ, მომხიბვლელია პოზიცია სახელმწიფოს როლის მინიმუმამდე შეზრუდვისა: მიეცით მიწა გლეხებს, მიეცით შშრომელ აქციონერებს ფაბრიკები და ქარხნები. ხოლო მომსახურებისა და მეცნიერების სფერო გადააბარეთ კოოპერატივებს. ადრე თუ გვიან, ასეთი სისტემა შეიქმნება, მაგრამ ამ სისტემის შექმნამდე გარდამავალი პერიოდი უცილებლად მტკიცნეული იქნება, არა მხოლოდ სოციალურ ურთიერთობებში, არამედ ქვეყნის მომავალი ეკონომიკის ინვესტიციაშიც. სწორედ აქ არის სახელმწიფოს როლი შეუცვლელი. მხედველობაში მაქვს სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის დაფინანსება, ეკოლოგიური სიტუაციის გაჯანსა-ლება და სხვა საერთო ეროვნული საჭიროებანი. ამასთანავე, როგორც ჩანს, ვერსად გავეცეცით სახელმწიფოს მონაწილეობას ეროვნული სიმდიდრის გადანაწილების შექნიზმის უზრუნველყოფაში. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სახელმწიფოს როლის სწრაფ და არსებით შეზღუდვის უახლოეს მომავალში არ უნდა ველოდიოთ. ყოველი ნაბიჯი ამ მიმართულებით, იქნება წარმატებული სვლა საქმიანი, მოქმედი სოციალიზმისაკენ.

მაგრამ ორი ღერძიც არაა საქმარისი სოციალიზმის ადგილის გამოსახებნად სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სივრცეში. ჩვენს მიერ განხილული ღერძები საქმაოდ ვერ გამოხატავენ აქტიური ინიციატივიანი ხალხის თვითდაგერებულობას, თვითდაგერებულობას იმაში, რომ აზრი აქვს აქტიურობის გამომუდონებას. ტატიანა ზასლავსკაიამ ამას ხომ არ დაარქვა ადამიანური ფაქტორის გათვალისწინება? დაე, ეს იყოს ჩვენი მესამე ღერძი, ღერძი აქ-

ტიური ხალხის უსაფრთხოებისა. ვერავითარი მოწოდება, ვერავითარი სახულების ბანკო კრედიტები ვერ შესძლებენ მთლიანად აქტიური ხალხის აქტიურობის გამოყენებას, თუ მტკიცე საკანონმდებლო ღონისძიებამ არ გაფანტა ათწლეულების გამამავლობაში გამომუშავებული ეჭვიანობა. ხალხს ძალიან დიდხანს ატყუებდნენ და არც ისე ადვილი იქნება, რომ მათ დაუბრუნდეთ სახელმწიფოსადმი ნდობა.

ამ თვალსაზრისით უნდა გადავსინჯოთ მთელი კანონმდებლობა. ვნახოთ რა აშინებს ხალხს, მათ წინააღმდეგ რა შეიძლება იყოს ბოროტებაზრაპულად გამოყენებული. ხალხი თანდათანობით ამჟღავნებს აქტიურობას, სახავა მიზნებს. ეს ხდება არა იმისათვის, რომ გაახარონ გორბაჩივი ან სხვა რომელიმე ძია, თუმცა ღრრო თავი დავანებოთ იმაზე ლაპარაქს, რომ თითქოს საზოგადოებრივი ინტერესები პირადულზე უპირატესია.

კარგად ორგანიზებულ საზოგადოებაში, ხალხი ჩვეულებრივ პირად ინტერესებს მიყვება და ამით ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესებს. ეს არ ესმის საბჭოთა ხალხს, აღზრდილებს რომანტიკაზე — ემსახურონ სახელმწიფოს. ვფიქრობ მოვიდა დრო, რომ ეს მათვის გასაგები გახდეს. თეზისი საზოგადოებრივი ინტერესების უპირატესობის შესახებ, მოფიქრებული იქნა იმისათვის, რომ გაეუფასურებინათ და დაემცირებინათ ადამიანთა პირადი ინტერესების სიმიღიძრე და შრავალფეროვნება.

თითოეული ადამიანის პირად ინტერესებს პატივისცემით უნდა მოვეკილოთ, დავიცვათ მათი უფლებები და მათი პირადი ინტერესების კანონიერი საშუალებებით მიღწევის გზები. მხედველობაში მაქვს პირადი ინტერესების მთელი მრავალფეროვნება: იქრარქიის თვითგანსაზღვრა, ოჯახზე ზრუნვა, არჩევინის თვისეულება და, უპირველეს ყოვლისა, საკუთრების უფლება, როგორც არ უნდა უწოდებდნენ მათ, პირადს თუ კერძოს.

მნიშვნელოვანი გახლავთ პრობლემა მათი დაცვისა, ვინც კარგად გამოიმუშავებს. ასეთი კატეგორიის ხალხი დაცული უნდა იყოს არა მარტო მოშურნეთაგან, არამედ იდეოლოგებისგანაც. ამ წლის გაზაფხულზე (ე. ი. 1989 წლის, მთარგმ.) სსრკ-ში მოხდა პატარა, მაგრამ დიდი მნიშვნელობის მქონე რევოლუცია. კანონში კოოპერაციის შესახებ, ჩართეს ფრაზა, რომ ხელფასის უმაღლესი საზოგარი არ არის განსაზღვრული. კანონის შემდგენლებმა აღნიშნული ფრაზა უპირვესობის თოხვერდიან ტექსტში ჩაძირეს. ამ ფრაზის აღილი უფრო უპრიანია „აგიტატორის ბლოკნოტში“, ვიდრე კანონში. მე საკანონმდებლო ტექნიკაში ეკონომიკის მოხსერე ვარ. მაგრამ ამ შემთხვევაში ვიგრძენი, რომ ეს ისტორიული ფრაზა უცულებლად პროპაგანდისტულ ტექსტში უნდა ჩაძირულიყო, რადგან ძნელია გონივრული ღონისძიების შეღწევა ძველი აზროვნების ლაპირინთებში.

ამასთანავე, აქტიური ხალხის თვითდაჭრებულობის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია მიცემთ მათ შესაძლებლობა იგრძნონ, რომ ისინი არ არიან გაძევებული საზოგადოებისაგან და საზოგადოება მომდევნო გენერალური ხაზის მოსახვევში არ აპირებს მათ თავიდან მოცილებას. მათ უნდა იგრძნონ, რომ ისინი არიან სრულფასოვანი მოქალაქეები და მათი მომეტებული წვლილი მეურნეობაში შეფასებული როდია მხოლოდ იმის ნებართვით, რომ პქონდეთ შრომის საფასურად ცოტა მეტი ფული, ამ ხალხს აუცილებელია ჰქონდეს საკუთარი ხმა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

კონსტიტუციის პროექტის ამ თავიდან, თითქმის ყველაზე მუხლი ნორმის ლურადა ჩამოყალიბებული და არ საჭიროებს კომენტარს. მაგრამ ვფიქრობ, რომ ვისაუბრო სოციალიზმის განსაზღვრების შესახებ და შევაჩროობის ყურადღება ისეთ მუხლზე, რომელიც ექსპლუატაციას ეხება. რომ იმულები ჩემთვის ნათელია მოსაზრება, რომ თუ სოციალიზმი ზუსტი ფორმულირებით არ გადმოსცემს ადამიანის უფლებებს, მაშინ არც ღირს ასეთი სოციალიზმისათვის ბრძოლა.

ამ უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში სოციალიზმის შესახებ ბევრი რამ ითქვა და ბევრმაც გამოაცხადა თავი სოციალისტად. საქმაოდ ხშირად სოციალიზმისაკენ მისწრაფებით ამართლებდნენ ადამიანთა უფლებების უგულებელყოფას. სოციალიზმის იდეები თავის საფუძვლებში საქმაოდ გასაგებადაა ჩამოყალიბებული. მიუხედავად ამისა, მას საქმაოდ ხშირად ურევდნენ იდეოლოგიურ სიტყვათა კორიანტელში, რათა ხალხი მოეტყუებინათ და გაემართლებინათ არსებული მათხოვრობა და მონობა.

მაგრამ, თუ ჩვენ ასეთ სოციალიზმს გადავაძრობთ იდეოლოგიურ სარჩულს და ზუსტი ფორმულირებით გამოვხერწავთ სოციალიზმის იდეებს, რომლის შესრულებაც შესაძლებელი იქნება რომ შევამოწმოთ, მაშინ სოციალიზმი მოვცევლინება არა იმ სისტემად, რაც საბჭოთა კავშირშია, არამედ ეს იქნება სულ სხვა რამ. შესაბამისი გარანტიებითა და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების გათვალისწინებით გადანაწილდება საზოგადოებრივი სიმდიდრე. გადანაწილების ფარგლები განისაზღვრება არა იდეოლოგიური ფანტაზიით, არამედ, რეალური, ეკონომიკური შესაძლებლობებით, მეურნეობის განვითარების სტიმულის უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

ზემოთ ვახსენ ფორმულირებები, რომელთა შემოწმებაც შესაძლებელია. ვფიქრობ ეს ფრაზა გასაგებია იმის ასახსნელად, თუ რატომ არის სოციალიზმი ასეთი იდეოლოგიური ბურუსით გარშემორტყმული. არაზუსტი, გაურკვეველი გარანტიების დროს, ბურუსით მოცული დაპირებების შემოწმება პრაქტიკული შეუძლებელია. სწორედ ამ მიზნითაა გაბუნდოვანებული ფრაზეოლოგია და დამახინჯებულია, დაფარულია სტატისტიკა. მიმომა მეცნიერებაში გამოცხადებული მოჩვენებითი ომი ფორმალიზმთან (გავიხსენოთ, თუ როგორ იძრძოდნენ მათემატიკაში ფორმალიზმის წინააღმდეგ, სამართლის შესახებ რომ არაფერი ვთქვათ).

მოკლედ რომ ვთქვათ, ხშირად ლაპარაკობდნენ უსინდისოდ სოციალიზმის შესახებ. მე არ მსურს რომ ეს უსინდისობა გრძელდებოდეს. ხალხმა კკუა ისწავლა, ისტორიულ გამოცდილებას ტყუილად არ ჩაუვლია. დროა ვიქტორ ფორმალისტებად და კონსტიტუციით გარანტირებულად ვაქციოთ მხოლოდ ის, რისი განხორციელება და შემოწმებაც შესაძლებელია. ასე რომ:

სოციალიზმი წარმოადგენს საზოგადოებრივ წყობას, რომლის დროსაც სახელმწიფო მოქალაქეებს აძლევს სოციალურ-ეკონომიკურ უფლებების დაცვის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს მათ იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით.

მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური უფლებების უკეთ უზრუნველყოფის მიზნით კავშირი და რესპუბლიკები მოვალენი არიან ზომები მიიღონ სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. მოქალაქეთა თვითშემოქმედებითი



მეურნეობის ჩათვლით, ხელი შეუწყონ კონპერაციულ და ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას.

მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების უზრუნველყოფის მიზნით კავშირი უფლებამოსილია დაბეგროს მოქალაქეთა შემოსავალი და მათი სამეურნეო გაერთიანებები პროგრესიული გადასახადით, აგრეთვე ამოილოს მოქალაქებიდან სამართლიან სადაზღვევო გამოსალები. პროგრესული გადასახადი ისეთი ანგარიშით უნდა იყოს დადგენილი, რომ არ დააბრკოლოს მოქალაქების შრომითი და სამეურნეო ინიციატივა.

კავშირი და რესპუბლიკური, კანონით დადგრილ ფარგლებში უფლებამოსილი არიან არეგულირონ სოციალურ-ეკონომიკური უფლებების უზრუნველყოფის ხარისხი მოქალაქეთა საჭიროებისა და სახალხო მეურნეობაში მათი წვლილის მიხედვით.

პირველ აბზაცში ფორმულირებულია სოციალისტური იდეის არსი — სოციალურ-ეკონომიკური უფლების უზრუნველყოფა. მასში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ოქროს მთებსა და რძის მდინარეებს არ უნდა ველოდოთ. საზოგადოებას არ შეუძლია იმაზე მეტის გაცემა, რაც გააჩნია. თუ მოქალაქეები საქამარისად არ არიან უზრუნველყოფილნი, დაე ეძებონ მიზეზი, დაე იმუშაონ კარგად და აირჩიონ კარგი ხელმძღვანელობა. თუ ეს არ უშველით, დაე იჯიქრონ ახალი ეკონომიკური მექანიზმების შექმნაზე და თუ ესეც არ უშველით, მაშინ უნდა მიხვდნენ, რომ მიაღწიეს ზღვარს არსებული სიმდიდრის განაწილებაში. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალია მხოლოდ ის, რომ მოთმინებით აღჭურვილებმა შეამცირონ განაწილება და ამით საჭირო კაპიტალით დააფინანსონ მეურნეობის განვითარება.

ქალალზე ამის გაეტება აღვილია, მაგრამ ეს რომ პრატიკაში განხორციელდეს, საჭიროა საბჭოთა მოსახლეობის შეგნებაში მოხდეს რევოლუცია. მთავრობა ათწლეულების განმავლობაში იმდენ დაპირებებს არიგებდა, რომ ქვეყანაში შეიქმნა სხვის კმაყოფაზე მყოფთა განწყობილება.

წარმოიშობა საკითხი ისეთი მექანიზმის შექმნის შესახებ, რომელიც შეამცირებს განაწილებას და აქტიურს გახდის მეურნეობის დაბანდებას. კაპიტალიზმის პირობებში თეორიულად ასეთ როლს ბაზარი ასრულებს. საბაზრო რეგულირების შუამავალია გამომუშავებული ხელფასი, სააღრიცხვო განაკვეთი და ფასი. რადგან სახელმწიფო და პროფესიონალური ბაზრის როლის ძლიერ დეფორმირებას ახდენენ, სოციალიზმის დროს სახელმწიფოს დემოკრატიული მექანიზმის როლი მეტად დიდია, რადგან სახელმწიფოს მოვალეობაა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების უზრუნველყოფაც. მაგრამ თუ ბაზარი თვითონ ვერ უზრუნველყოფს ავტომატური გადაწყვეტილების მიღების მექანიზმს, მიუხედავად ამისა, ის მაინც ინარჩუნებს ერთგვარი ინდიკატორის როლს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფოს გზას უჩვენებს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადანაწილება.

მეორე აბზაცი მიუთითებს მოქალაქეთა უფლებების უზრუნველყოფის გაუმჯობესების საშუალებებზე. გამოკვეთავს მეურნეობის ახალი ფორმების ძიების აუცილებლობას და მიგვანიშნებს, რომ არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ არსებული ფორმების გამოყენებით.

კონსტიტუციის პროექტში ამ აბზაცის შეტანა არ მოგვიწევდა, წარსულის მძიმე გამოცდილება რომ არ გვქონოდა. იმ წარსულისა, რომელშიც სა-

ხელმწიფოს მიერ აკრძალული იყო სამეურნეო თვითშემოქმედებისა და აზა-
ლი ფორმების ძიების ყოველგვარი შესაძლებლობა.

მესამე აბზაცში მოცემულია შემოსავლის წყაროს უზრუნველყოფის სა-
კითხი. ცნობილია, რომ ამჟამად შემოსავლის მთავარ წყაროდ ითვლება სა-
ხელმწიფო საწარმოებიდან მიღებული სახსრები, მაგრამ სწორედ ეს წყარო არ
მივუთით პროექტში, ვინაიდან კონსტიტუციაში არ უნდა იყოს არაფერი, რაც
შეაფერებს სახელმწიფო მონაბოლისაგან თავის დაღწევის ეს აბზაცი გამოკ-
ვეთავს საზოგადოებაში შემოსავლის გადანაწილების კანონიერებას. ითვალის-
წინებს მის აუცილებელ შეზღუდვის, რათა არ დაიჩაგროს აქტიური, საქმიანი
ხალხი.

რაც შეეხება მეოთხე აბზაცს, ის თვითონ ლაპარაკობს თავის თავზე. სა-
ზოგადოებაში თუ აკრძალულია იძულებითი შრომა, მაშინ საჭიროება მოით-
ხოვს შემოვიღოთ ეკონომიკური საშუალებები უსაქმოდ დარჩენილთა დასა-
ცავად. ამავე დროს, სოციალიზმია რეაგირება უნდა მოახდინოს საზოგადოე-
ბის ზოგიერთი წევრის მომეტებულ გასაჭირზე, მიუხედავად მათი წვლილისა
საერთო მეურნეობაში.

ამ წერილის მიზანი სოციალიზმის საერთო პრინციპების გამოცხადებაა,
რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებას მოქმედი სოციალიზმის მოდელის ძიე-
ბაში. როგორც მკითხველი ხედავს, სოციალიზმის იურიდიულ განსაზღვრებას
არ მივდგომივართ ჩვეული იდეოლოგიური პოზიციებიდან: არ შევხებივარ მე-
ურნეობის გეგმიანობას, საწარმოო საშუალებებზე ე. წ. საზოგადოებრივი
საკუთრების საკითხს, მიწათსარებლობის ხასიათს და სხვა საკითხებს. კონს-
ტიტუციაში მათი ადგილი არაა. ყოველივე ეს მიეკუთვნება სამეურნეო ორ-
განიზაციის პრინციპების რიცხვს და უნდა გადაწყვდეს ისე, როგორც მეურნე-
ობის საჭიროება მოითხოვს. შეგახსენებთ, რომ მოქმედი სოციალიზმის მო-
დელი ჯერჯერობით არ არსებობს, ამიტომ საჭიროა მისი ძიება, ხოლო ძიე-
ბისათვის, საჭიროა კონსტიტუცია, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება საქ-
მარისი მოქნილობით.

ექსპლუატაციის საწინააღმდეგო მუხლი შეიძლება მოგვეჩვნოს იურიდი-
ულ ტრიუკად: კავშირმა და რესპუბლიკებმა უნდა დაადგინონ შრომის დაც-
ვის ისეთი გარანტიები, რომლის დროსაც დაქირავებული შრომა არავითარ
შემთხვევაში არ მოგვევლინება მშრომელების ექსპლუატაციის წყაროდ. (ჩ. პროექტის ტექსტი).

გამოდის რომ შრომის პირობებს უზრუნველყოფს გონივრული კანონები.
მხედველობაში მაქვს ის, რომ არავითარი დაქირავებული შრომა არ წარმო-
ადგენს ექსპლუატაციას. ზოგიერთი იდეოლოგი და დემაგოგი პირიქით ფიქ-
რობს და აცხადებს დაქირავებულ შრომას ექსპლუატაციად. თუ ეს ასეა, მაშინ
მათ უნდა აღიარონ, რომ ექსპლუატაციაა სახელმწიფოს მიერ დაქირავებული
შრომაც. სახელმწიფო მონაბოლიზმის იდეოლოგები ამას უარყოფენ.

აღნიშნულ მუხლს სიმეტრიაში მოჰყავს ექსპლუატაციის საკითხის განმარ-
ტება ხსნის შესაძლებლობას დაქირავებულ შრომისათვის, მიუხედავად იმისა,
თუ ვინ იქნება დაქირავებელი. ამასთან ერთად, შრომა ოფიციალურად უნდა
იყოს გარანტიებით დაცული, რათა აღიკვეთს სამუშაოს მიმცემის თვითნე-
ბობა. განურჩევლად იმისა თუ ის ვინ იქნება. ეს მუხლი კრძალავს იძულებით
შრომას, განსხვავებით 1977 წლის კონსტიტუციისაგან, რომელიც ერთი შტრივ,
ამტკიცებს შრომის უფლებას და მეორე მხრივ, შრომის აცხადებს სავალ-



დებულოდ, რაც ჩემი აზრით, წარმოადგენს აშკარა უაზრობას, ისევე როგორც
იმის მტკიცება, რომ მოქალაქე ვალდებულია გამოიყენოს თავისი უფლებები.

პონსტიტუციის პროექტის შეხვედი

თავი სოციალიზმის შესახებ

სოციალიზმი

სოციალიზმი წარმოადგენს საზოგადოებრივ წყობას, რომლის დროსაც
სახელმწიფო მოქალაქეებს აძლევს სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაც-
ვის გარანტისა და უზრუნველყოფის მათ იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლე-
ბელია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით.

მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური უფლებების უკეთ უზრუნველ-
ყოფის მიზნით, კავშირი და რესპუბლიკები მოვალენი არიან მიიღონ ზომები
სახალხო მეურნეობის განვითარების მიზნით, მოქალაქეთა თვითშემოქმედე-
ბითი მეურნეობის ჩათვლით, ხელი შეუწყონ კოოპერაციულ და ინდივიდუა-
ლურ შრომით საქმიანობას.

მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების უზრუნველყოფის მიზ-
ნით, კავშირი უფლებამოსილია დაბეგროს მოქალაქეთა შემოსავალი და მათი
სამეურნეო გაერთიანებები პროგრესული გადასახადით. აგრეთვე, ამოიღოს
მოქალაქეებიდან სამართლიანი საღაზღვევო გამოსალები. პროგრესული გადა-
სახადი ისეთი ანგარიშით უნდა იყოს დადგენილი, რომ არ დააბრკოლოს მო-
ქალაქეების შრომითი და სამეურნეო ინიციატივა.

კავშირი და რესპუბლიკები, კანონით დადგენილ ფარგლებში, უფლება-
მოსილნი არიან არეგულირონ სოციალურ-ეკონომიკური უფლებების უზრუნ-
ველყოფის ხარისხი, მოქალაქეთა საჭიროებისა და სახალხო მეურნეობაში მათი
წვლილის მიხედვით.

შრომის უფლება

თითოეული მოქალაქე გარანტირებულია შრომის უფლებით, რომელიც
მოიცავს:

1. პროფესიის ან სხვა საქმიანობის თავისუფალ არჩევანს პროფესიული
და საერთო განათლების შესაძლებლობების შესაბამისად და სახალხო მეურ-
ნეობის მოთხოვნილების გათვალისწინებით.

2. მშრომელებისათვის გამომუშავებული თანხის მიღების გარანტიას,
რომლის მოცულობა განისაზღვრება ეკონომიკური მიზანშეწონილობით, ამას-
თან, ის არ უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე
ნაკლები.

3. სახელმწიფო და სადაზღვეო დაზმარების მიღებას დროებით შრომის-
უნარიანობის დაკარგვისა და დროებით უმუშევრობის შემთხვევაში.

4. თვითოეული მოქალაქის შესაძლებლობას მიიღოს და გაიუმჯობესოს
პროფესიული მომზადება და აიმაღლოს შრომითი კვალიფიკაცია თავისი ნიჭისა
და უნარის შესაბამისად.

5. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის, კოოპერაციული ორგანიზაცი-
ების შექმნის უფლებებს, სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციული ფორმების
ძიებისა და შექმნის უფლებებს. ამ პუნქტში აღნიშნული უფლებები შეიძლება

შეიზღუდოს მხოლოდ კავშირის კანონებით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს აუცილებელია სახელმწიფო და საზოგადოებრივი უშიშროებისათვის კერძოდ, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და ხალხის ზნებრივი ხასიათის მოთხოვნის დაკმაყოფილების გამო.

კანონები შრომის შესახებ

კავშირი და რესპუბლიკები მოვალენი არიან დააწესონ შრომის დაცვის ისეთი გარანტიები, რომ დაქირავებული შრომა არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენდეს მშრომელთა ექსპლუატაციას.

ასეთი გარანტიები შეიძლება იყოს:

1. იძულებითი შრომის აქტამდე იმ შემთხვევის გარდა, როცა ასეთი შრომა გამოიყენება, როგორც სისხლისამართლებრივი დასჭის ლონისძიება, რომელიც დანიშნულია სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილებით: აგრეთვე იძულებითი შრომის გამოყენება საომარი მდგომარეობისა და საზოგადოებრივ უძედურებათა უამს, თუ ეს კანონით არის გათვალისწინებული. სამხედრო მოსამასახურის მიერ შესრულებული სამუშაო არ ითვლება იძულებით შრომად, თუ მეთაურის კანონიერი ბრძანებით სრულდება;

2. სამუშაო დღის ხანგრძლივობის განსაზღვრა, დასასვენებელი დღეებისა და ყველწლიური შვებულების გარანტია;

3. შრომის უსაფრთხოებისა და შრომის ჰიგიენის უზრუნველსაყოფად ქმედითი ზომების მიღება. სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი კონტროლის შესაძლებლობა ამ ზომების დაცვისათვის;

4. მშრომელებისა და მათი ოჯახებისათვის სამართლიანი კომპენსაციის მიცემა: დასახიჩრების, სიკვდილის ან სხვა ზიანის შემთხვევაში, რომელიც მიაღდა საწარმოში საქმიანობის დროს.

5. მშრომელების თავისუფალი ნება, სამუშაოს მიმცემთან დადონ ინდივიდუალური ან კოლექტიური ხელშექრულება, იმ პირობით, რომ ასეთი ხელშექრულება, კანონით დადგენილ მშრომელის უფლებას არ შეზღუდავს.

6. შრომითი დავის გადაწყვეტის მოქმედი პროცედურის დაწესება, სასამართლოში მიმართვის შესაძლებლობის ჩათვლით.

პროფესიული კავშირების შექმნის უფლება

მოქალაქეები უფლებამოსილნი არიან გაერთიანდნენ პროფესიულ კავშირებში და სრული უფლებით აღჭურვონ ეს კავშირი წარმოადგინოს მათი ინტერესები სამუშაოს მიმცემთან ურთიერთობისას.

გაფიცვის უფლება

მოქალაქეებს აქვთ გაფიცვის უფლება სამუშაოს მიმცემთან კონფლიქტის შემთხვევაში. ამასთან, კანონით შეიძლება დაწესდეს ამ უფლების შეზღუდვა, გამომდინარე სახელმწიფოს უშიშროების ინტერესებიდან, საზოგადოებრივი სიმშვიდის აუცილებლობიდან, ხალხის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვიდან; განსაზღვრული კატეგორიის მშრომელებისთვის გაფიცვის სრულ აკრძალვამდე. კანონით შეიძლება გათვალისწინებული იყოს შერიგების პროცედურა, რომლის გამოყენება სავალდებულოა მშრომელებისათვის გაფიცვის გამოცხადებამდე.

მოქალაქეებს აქვთ ჯანმრთელობის დაცვის უფლება, უფასო სამედიცინო მომსახურების ჩათვლით. კავშირი და რესპუბლიკები ზომებს იღებენ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ხელს უწყობენ სამედიცინო გამოკვლევებს, კონპერაციული და კერძო პრაქტიკის განვითარებას.

გარემოს ჰიგიენა

მოქალაქეებს უფლება აქვთ ჯანმრთელ გარემოში ცხოვრებისა. კავშირი და რესპუბლიკები მოვალენი არიან ზომები მიიღონ ბუნების დაცვისათვის, კონტროლი გაუწიონ გარემოს გაჭუჭყიანებას. მოქალაქეებს უფლება აქვთ სამართლიანი კომპენსაციისა, იმ შემთხვევაში, თუ გაჭუჭყიანებულმა გარემომ განაპირობა ჯანმრთელობის მოშლა.

განათლების უფლება

მოქალაქეებს გააჩნიათ განათლების მიღების უფლება, სკოლაში ეროვნულ ენაზე სწავლის ჩათვლით, მშობლების ან შესაძლო შემთხვევაში მეურვეების გადაწყვეტილებით.

უმაღლესი და პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა აქვს ჟველა მოქალაქეს მიუხედავად უნარისა და განათლების დონისა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

კავშირი და რესპუბლიკები უფლებამოსილი არ არიან შეაფერხონ კოოპერატიული სკოლების, პროფესიონალური სასწავლებლებისა და უნივერსიტეტების ორგანიზაცია და საქმიანობა თუ ამ დაწესებულებებში სწავლების დონე აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს, შესაბამისი სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებისათვის.

პენსიისა და დახმარების უფლება

მოქალაქეებს უფლება აქვთ მოხუცებულობის, ხანგრძლივი ავადმყოფობის ან ინვალიდობის, აგრეთვე მარჩენალის დაკარგვის დროს საპენსიო უზრუნველყოფისა.

კავშირი და რესპუბლიკები ეხმარებიან გაჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩენილ მოქალაქეებს.

ბინის უფლება

მოქალაქეებს უფლება აქვთ საცხოვრებელ ფართზე. კავშირი და რესპუბლიკები მოვალენი არიან ითანამშრომლონ საბინაო მშენებლობის დარგში კონპერაციული და ინდივიდუალური მშენებლობის ჩათვლით.

1. კავშირი და რესპუბლიკები მოვალენი არიან უზრუნველყონ პირობები დედებისა და ბავშვების დასაცავად.

2. მშობლებს და შესაბამის შემთხვევაში კანონიერ მეურვეებს გამოიყენოთ უფლება უზრუნველყონ ბავშვის ორიგიური და ზეობრივი აღზრდათავისი საკუთარი მრჩამისის შესაბამისად. ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონებით და მხოლოდ ბავშვის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე ზრუნვის მზნით.

1988-89 წელი

** * *

წერი

..ეს ვეიმობა“—აგგრეს ყოფილი აისილატი ანუ „გადახერაგული ქავი შეიძლება ავათადას...“

ზარბოდგენილი პუბლიკაციის ავტორი ვალერი ჭალიძე გახლავთ ამერიკული გამომცემებით, პუბლიცისტი და პოლიტოლოგი. მეითხერის საკუთარი ალბათ ინტერესმოქლებული არ იქნება იმის გაგება, თუ როგორ აღმოჩნდა ქართველი სწავლის ამერიკაში.

ორიოდე სიტყვით გადმოგცემით მის ბიოგრაფიას.

ვალერი ჭალიძე ფართო პროფილის მოღვაწეა. იგი უზრუნველისი, უილოსონის, სოციო-ლინგიც გახლავთ. განათლება მიიღო თბილისესა და მოხვევში. სამოციანი წლების ბოლოს სახელი გაითქვა, როგორც დიდად ნიჭიერება ფიზიკოსმა. 1970 წელს მოსკოვში ანდრეი სახაროვთან და ანდრეი ტვერდოლებოვთან ერთად ჩამოაყალიბა ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტი. მათ მოღვაწეობას, მოგზეხენებათ, თურა სირთულეები შეუქმნა იმ დრომ, რომელიც ამჟამად უძრაობის პერიოდად არის მონათლული.

ვალერი ჭალიძე, რუსეთის დისილენტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, 1979 წელს, 34 წლის ასაკში, იძულებული გახდა დაერთვებინა საბჭოთა კავშირი. იმავე წელს საზოგადოებრივი შემოწირულობის წყალმისათ მან დაარსა თვითგამოცემა „ქრონიკა პრესი“, ხოლო 1979 წელს—კომერციული გამომცემლობა „ჭალიძე

პუბლიკებშეწი“. დღესაც ამ გამომცემლობის მფლობელია.

ვალერი ჭალიძის პუბლიცისტური წერილები, ბოლო დროს, ხშირად ქვეყნდება რუსულ პრესაში. ამ წერილებში იგი ხოტბას ასხამს საბჭოთა ადმინისტრაციის თანამდებოვე კურსს და მიმდინარე გარდაქმნას. ყოველივე ეს, რუსეთის რადიკალურ-დემოკრატიული, ფორმალური და არაფორმალური ორგანიზაციების ორაზროვან რეაგირება იწვევს. ამ საყიდების თაობაზე ვალერი ჭალიძემ „მოსკოვსეი ნოვოსტის“ ფურცლებშე შემდეგი განაცხადა: „გამოვიდა ისე, რომ მთავრობის ქებისათვის საჭიროა არანაკლები გამშედვობა, ვიდრე მისი კრიტიკისათვის. ჩემს მიერ გარდაქმნის რამდენიმე წლიანი ქება ხავერდული იწვევს, ხოლო რადიკალების კრიტიკა, საქმეს მიიყვანს იქნდე, რომ მე ჩამოვლიან „დერუიმორდალ“.“

ჩემი საზოგადოებრივი აქტიურობის მანძილზე, მე ვიყავი იმაზე შეტაც რადიკალი, ვიდრე რეგიონთა შორის ჯუფის დეპუტატების უმრავლესობა. მათზე შეტაც რადიკალი, ვისაც ახლა მე მოცურდებ მოთმინებისა და წინდანებულებისაკნ.

როგორ აღმოჩნდა, რომ დისილენტი, იმათვე მეტ თავშეკავებულობას იჩინს, ვიდრე ისინი, ვისაც ადრე აუტოციალური პოსტები ეკავათ და სიურობლეს იყვნენ მიჩვეულნი?

პასუხი მარტივია: მე კშიშობ...

კარგად შევიწავლე ქვეყანაზი არხებული და-
ძაბული შინაგანი წინააღმდეგობი და ვიცი
გადახურებული ქვაბი შეიძლება „აფეთქდეს“.
„მოხუცეს კერძო მოვასტრი“-ს მრავალმილიონიანი
მკითხველი მშეაგა: „გაჭეთი გამოის რამდენი-
მე უცხო უნაშე, და ალბათ, ვალერი ჭალიძის
შიში და გადამეტებული ზრუნვა, იმისათვის,
რომ „გადახურებული ქვაბი არ აფეთქდეს“, არ
დაიშალოს, მკითხველს უნდაურად ალუძრავს
ფიქრებს: „პირდაპირ საინტერესო ხალხია ეს
ქართველები. ერთი „დიდი ქართველი“ იყო
და მთელს სიცოცხლე თავისი ერთს საზიანოდ
რუსული იმპერიის შექმნასა და გაძლიერებას
მთამარა, მეორემ ამ იმპერიის ერთგულების
დასამტკიცებლად საკუთარი საშშობლო დაპყ-
რო და კოლონიად აქცია, ხოლო მესამეები
ცდილობენ დრომოქმული იმპერიისათვის ახალი
სიცოცხლის ჩადგმასა და მის გადარჩენას“-ი.

ვალერი ჭალიძის კალაშ ეკუთვნის ნაშრო-
მები: „რუსეთის მომავალი“, „კომუნიზმიც გა-
მარტვებული“, (ქლოვნება სტალინის საქმია-
ნობას). „ადამიანის უფლება და საბჭოთა კავ-
შირი“, „ეროვნული პრობლემები და გარდაქ-
მნა“, „სოციალისტური კონსტიტუციის შეხა-
ხებ“ და სხვ.

სტატია „სოციალისტური კონსტიტუციის შე-
სახებ“, ვიცირობთ, მკითხველისათვის საინტე-
რესო იქნება. საინტერესო იქნება იმდენად,
რამდენადაც მასში საბუარია სოციალისტურ
კონსტიტუციაზე. განხილულია კონსტიტუციის
მიზანი და მისი სტაბილურობის აუცილებ-
ლობა, გააჩირებულია კომუნისტური პარტიის
როლი და ადგილი საბჭოთა საზოგადოებაში.
მოცულია სოციალიზმის განმარტება და სხვა
საკითხები. ყოველივე ეს თეორიულად საინ-
ტერესო იმდენად, რამდენადაც მისი პრაქტი-
კული სორცებს სოციალიზმს წინ წატრევდა.

ვალერი ჭალიძე ყოველ საკითხს განიხილავს
ადამიანის უფლებებთან მიმართებაში. მას წინა
პლაზე აქვს წამოქეული ადამიანის, პიროვნე-
ბის უფლების დაცვა, ცდილობს დამტკიცოს,
რომ „სოციალიზმი ეს არის ადამიანისათვის
უფლებების მიზნებებით და არა, ამჟრალავი“.
მაგრამ ცნობილია, რომ პიროვნების თავისუფ-
ლება არ არსებობს ეროვნული თავისუფლების

გარეშე. „გადახურებული ქვაბის მუცელება“ განაპირობებს არამარტო ის ფაქტი, რომ ქვემო
ყანაზი ადამიანის უფლებები მინიმუმამდეა დაყ-
ვანილი, არამედ ერთს უუფლებობა, რამეთუ
კერძო პირი შეიძლება „შეეგუოს, მიეჩიოს
ადამიანის უფლების დაკარგვასა და მონობას,
ერთ კი ამას ვერასოდეს შეეგუება. თვითეული
პიროვნების თავისუფლების საწინდარი, მთ-
ლოდ ერთს თავისუფლება, აი ამას აღარ ით-
ვალისწინებს დიდად განათლებული, მაგრამ
„ეს შეცდომილი“ აეტორი.

სტატიაში განხილულ სხვა მრავალ საკითხთა-
ვან მინდა გამოვყო ვალერი ჭალიძის მოხაზუ-
ბა უფლებაციათან დაკავშირებით. ის მინჩევს,
რომ იძულებით გაერთიანებული უდერაციის
შემაკაზირებელ ძალად, ცხადია, იგულისხმება
ძალმომრეობა. მაგრამ რადგანაც მეოცე საუკუ-
ნის მიწურულს მხოლოდ საზოგადოების აჭ-
რი ძალასა და იარაღის უდარწნის უქვე უდარ
ეგუება, სსრკ-ში საჭიროა შეიქმნას ანდო უ-
დერაცია, რომელზიც შემავალ სახელმწიფოებს
გააერთიანებს სხვადასხვა ფაქტორი. მაგალითად
„საერთო მტერი ან რელიგიის იგივეობა, თუნ-
დაც საერთო ისტორია. შემაკავშირებელი ძალა
უდერაციისათვის ყოველთვის საჭიროა და სა-
სურველია იყოს არა ერთი, არამედ რამოდე-
ნიმე“.

ამ სიტყვებში აშკარად იგრძნობა ვალერი
ჭალიძის მოწადინება საბჭოთა უდერაციის
შენარჩუნებისათვის. ამ პრინციპით თუ ვიხელ-
მძღვანელოთ, ერთ „ქაბში“, შესაბამის შემაკავ-
შირებელი უაქტორის მოძებნის შემდგომ, შე-
საძლებელი ყოფილა ნებისმიერი ერთს გაერთი-
ანება. ვალერი ჭალიძის ერთობების საბჭოთა უდე-
რაციის მოდელი თავისი არსით მომგავს მინი-
ცე უფროსი მეგობრის, ცნობილი მოლვაწის
ანდრეი სახაროვისეულ მოდელს.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის
მოხუცის გაფილი ყოფილ მოღაწის ვალერი
ჭალიძის სტატია, რომელსაც ახლა გაცემით,
მისი დასტურია, თუ როგორ სხვადასხვაგარად
ესმით ადამიანის უფლებების დაცვა რუს „დი-
სიდენტებს“ და ამავე გაფილი ქართველ წარ-
მომატებლებს.

ვალერი გრიგორიაშვილი.

რეაქციისაგან:

წერილი „სოციალისტური კონსტიტუციის შესახებ“ რედაქციის გადმოსცა
საქართველოს სოციოლოგთა ასოციაციის სწავლულმა მღივანმა გიორგი თარჩან-
მოურავს. ჩვენი პუბლიკაცია წარმოადგენს ამერიკული გამოცემის თარგმანს,
რომელიც შეასრულა იურისტმა ვალერი გრიგორიაშვილმა. გამოქვეყნების ნებარ-
თვა უშუალოდ ავტორისაგან მივიღეთ. მკითხველისათვის ინტერესმოქლებული
არ უნდა იყოს ბარათი, რომელიც ჩვენ პუბლიკაციასთან დაკავშირებით გიორგი
თარჩან-მოურავს ამერიკიდან მიიღო:

“କେବେଳେ ଲକ୍ଷମୀତିରେ ଦୋହାଲଙ୍ଘ ଶବ୍ଦରଥି”

... සිංහල ජ්‍යෙෂ්ඨ මධ්‍යම ප්‍රසාදය
..... සිංහල ජ්‍යෙෂ්ඨ මධ්‍යම ප්‍රසාදය

სახიამოვნო იყო თქენები წერილის მიღება. საქართველოს მმართველობა განსპაულობულ პრინციპზე დები გამარინა და მოხატული ვარ, რომ მანდ ვიღაცის ვახსოვანობის მიღები კულტურულ სამწერლა, რომ ნიკოლოზ მიხეილის ძე (იგულისხმება პაროუსორი ნიკოლოზ, პრინცესპ-ტოვ-ნიკოლაძე რჩდ.) გარდაიცვალა. მე მისი სტუდენტი ვიყავი და მრავალგზას მიიღოდა. სისა მოვნება მასთან ზიანურის საუბრით უკილობლად, იგი იყო ჩემი უსაყვარლეხი პრიორესის რი (თუმცადა, იგი ჯერ კიდევ დოკონტაგ ჰყავდათ, მაგრამ მისი გონება შეუდარესელი იყო იმი გარემოცვაში).

ხალისით დაგენერაციით როთაც შემძლია, პუბლიკაციებითა და სხვა კულტურული წამოწევებით, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ქართული არ ვიცი და სრულიად არ ვიცნობ ხაჭაზოველზე არსებულ ამჟამინდელ სიტუაციას. ჩემი ნაწერები საბორის კავშირს ენება ხარისფეროდ. ხაჭაზოველ მაინტერესებს პირადად და ვგრძენობ, რომ ამჟამად სწორედ კულტურის განვითარება წარმატებების მიმღებობის აღითვაშიგავან და საშუალებას.

„სოციალური კონსტიტუციის შესახებ“ სტატია შემოყვაბით დაინტერი-
ცია“, 17.1989 (იგულისხმება საკავშირო უწრენალი. რედ). ცხადია, წინააღმდეგი არ ვარ მისი
ქართულად გამოკვებულისა, მაგრამ თარიღიად 1988-89 წლები დაუხვით, რამეთუ მოვლენები
ვითარდებიან.

გაგზავნით ჩემს წიგნებს. „იერარქიული ადამიანი“ — ეს არის ჩემი მთავარი ნაშრომი ხა-
ზოგადოების შესხებ. მაგრამ რთული ენით არის დაწირილი და მეტყველა ვინებმ მისი გადა-
თარგმნა ისურვოს. წინააღმდეგი არა ვარ ნებისმიერი თარგმნისა და რა თქმა უნდა, საქართვე-
ლოდან დოლარებს არ ველი. და ხერთოდ, სტატიისბისათვის პონორაზე ნუ შეწყვეტდებით.
სანდახან „მოსკოვები“ ნოროსტში“ ვიძეოდები. შეგიძლიათ იქიდანაც თარგმნოთ, ვფიქრობ, იხინი
წინააღმდეგი არ იძინიან.

კუნალ „სახელმწიფო და სამართლისათვის“ ცალქე გზშიანით ადამიანის უზრუნველყოფის კომიტეტისადმი 1971 წელს წარდგენილ ჩემს მოხსენებას. პრობლემები უმეტესად იგივეა, რაც დღეისათვის არის დასასრულო იქნება ოუ შეკახებულება, რომ ისინი განიხილებოდნენ ადრე-ამას გარდა, გაგზავნით ნაწილებს რეფორმების სიძნელეებისადმი მიძღვნილ ეს-ებაა დამთავრებული წიგნიდან—„სამართლებრივი რეფორმების განთიადი“. წიგნს ერთი თვის შემდეგ გამო-აიგზავნით, რომელც კი გამოვა.

უნივერსიტეტი — ეს ძალიან კარი ჩანაფიქრია. ჭრი არ ვიცი რომ შემიძლია დაგეხმაროთ, მაგრამ გთხოვთ შემატყობინოთ, თუ როგორ ვითარდება საქმე, შესაძლოა რაღაც იღებოთ გამოიჩინდეს. პუნადიტარული განათლება ამჟამად უმეტესად დასავლეთიდან უნდა მიიღონთ, თუმცაა უნდა გვასწოვდეს, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებაშიც ბევრი პოლიტიკისტებული სპეციულანტია. ასეთი უნივერსიტეტისათვის შემიძლია საჩუქრად გამოგზავნოთ უკელა წიგნი, რომელსაც კი ჩემი გამომცემლობა გამოსცემს, მხოლოდ მეთოდი უნდა გამოვნახოთ, რომ წიგნები არ დაიკრიზოს.

მომწერლთ, კერძოდ, შემატყობინეთ მიიღეთ თუ არა წიგნები (სულ 8 პაკეტი გამოიგინდნეთ).

გისურვებთ ყოველივე კარგს

ବାଲ୍ମୀକି ପାଲିପା.

წერილი ხელმოწერილია ქართულად (რედ.)

რედაცია ურამეს მაღლობას უზღის ბატონ ვალერი ჭალიძეს ყურადღებისათვის და მედლონებს, რომ მის ნაზრებსა და მოლაშვილის კუთხის აღგილს დაჭრებს საქართველოს ოქმა, რომლის მიმართ, როგორც თვითონ ამბობს, განსაკუთრებული დამოკლებულება აქვს. უახლოეს ნომრებში სიამონებით გამოვაჩვენებთ ცნობილი პოლიტიკოსების სხვა ნაშრომებსაც, რომელთა შემცენებითი ლირებულება მკითხველისათვის ეფექტურა ელის.

కుతుంబ ల్యాజిలోగ్

፳፻፲፻፭፻ ፭፻፭፻፭፻፭፻ ፭፻፭፻

ՀՅԱՀՈՑՈՒԿԱ ՅՈՌԵԱՏՅՈՒ

380

Digitized by Google

(გერმანიის რეიმბის სახალხო დასამართლოს პრეზიდიუმი)

60 02
δερμ
παρ

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლში ბოროტი ხულიგნობა განმარტებულია როგორც „მოქმედება, რომელიც თავისი შინაარსით გამოიჩინება უაღრესად დიდი ცინიზმით ან განსაკუთრებული თავხედობით, ან დაკავშირებულია წინააღმდეგობის გაწევასთან ხელისუფლების წარმომადგენლისათვის, ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლისათვის, რომელიც ასრულებს მოვალეობას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დაზგში, ან ხულიგნური მოქმედების აღმკვეთი სხვა მოქალაქეებისათვის, ასევე ჩადენილი ისეთი პირის მიერ, რომელიც წინათ ნასამართლები იყო ხულიგნობისათვის“.

ბოროტი ხულიგნობის კვალიფიკაციის დროს გართულებულია „უაღრესად დიდი ცინიზმისა“ და „განსაკუთრებული თავხედობის“ დადგენა. საგულისსხმოა, რომ ხულიგნობის კვალიფიკაციისათვის თითოეულ ამ მომენტს დამოუკიდებელი მნიშვნელობა ენიჭება. აუცილებელი როდია მოქმედება ერთდროულად უაღრესად დიდი ცინიზმით და განსაკუთრებული თავხედობით გამოიჩინდეს. ტერმინები — „უაღრესად დიდი“ და „განსაკუთრებული“ ერთი და იგივეა, შეფასების თვალსაზრისით შათ შორის სხვაობა არაა. კანონმდებელი სხვადა-სხვა ტერმინის სტილისტური მოსაზრებით ხმარობს.

იურილიულ ლიტერატურაში „უაღრესად დიდი ცინიზმი“ თითქმის ერთგვაროვნადა გაგებული. ამ ტერმინის ქვეშ ესმით ისეთი ხულიგნური მოქმედება, რომელიც ხასიათდება ზნეობის მძიმე შებლალვით, უსირცხვილობით, უმსგავსობით, უხამისობით.

¹ Кыдыралиева С. К. Хулиганство, уголовно-правовые и криминологические вопросы, Фрунзе, 1981, стр. 62.

რესად დიდ ცინიზმად, ჩვეულებრივ, ითვლება თავხედური, უსირცხვილო მოქმედება².

ჩემი აზრით, ცინიზმისა და თავხედობის გათანაბრება, მათი გაიგივება, არასწორია. თუმცა ეს ორივე ცნება სისხლის სმარტლის კოდექსის 228-ე მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებული ბოროტი ხულიგნობის კვალიფიკაციას იძლევა, მაგრამ ისინი უნდა გაიმიჯნოს, რაღაც ამას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება დამნაშავის პიროვნების შესაფასებლად.

შესაძლებელია ხულიგნობას ორივე ხსენებული ნიშანი ერთდროულად ახასიათებდეს. მოვიყვანთ ერთ მაგალითს პრაქტიკიდან: გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლომ ბოროტი ხულიგნობად ჩათვალა ვინმე შავერდოვის მოქმედება, რომელიც სასამართლოს განაჩენის მიხედვით უაღრესად დიდი ცინიზმით და განსაკუთრებული თავხედობით ზასიათდებოდა. კერძოდ, ბრალდებული გამოცხადდა რაიტინგანში და გამოიხმო ერთერთი თანამშრომელი. ამ უკანასკნელის გამოჩენისთვის შავერდოვი მივარდა მას, წაქცია, გააშიშვლა და ცემა დაუწყო, ამასთან უშვერი სიტყვებით იგინებდა. ხმაურჩე თანამშრომლები გამოცვივდნენ, მაგრამ ვერ შეძლეს შავერდოვის დაწყისარება. იგი მათაც აგინებდა. ბოლოს ერთ-ერთმა თანამშრომელმა ხულიგნის დამშვიდება შეძლო. ინციდენტი დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში შეჩერდა დაწესებულების მუშაობა³. ამ მაგალითში სახეზეა როგორც ცინიზმი, ისე თავხედობა. დაზარალებულის გაშიშვლება ხალხის თვალშინ, უაღრესად დიდი ცინიზმის გამომხატველია, ხოლო ძალადობა — განსაკუთრებული თავხედობისა.

უნდა განვასხვავოთ ხულიგნობის ღროს ძალადობის გამოყენება, როგორც განსაკუთრებული თავხედობის გამოვლინება, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი პირისათვის წინააღმდეგობის გაწევისაგან, რაც ბოროტი ხულიგნობის დამოუკიდებელ მაკვალიფიცირებელ გარემოებას წარმოადგენს. განსაკუთრებული თავხედობით ჩადენილი ხულიგნური ძალადობის შსხვერპლია დაზარალებული მოქალაქე, ხოლო წინააღმდეგობის გაწევისას პირიქით, შესაძლებელია ხულიგანი თვითონ დაზარალდეს, ამდენადაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულება უფლებას აძლევს მოქალაქეებს აქტიურად იმოქმედონ ხულიგნობის აღსაკვეთად და დამნაშავის შესაპყრობად, თუნდაც ამ მოქმედებით ვნებაც კი მიაყენონ ხულიგანს⁴.

ძალადობა განსაკუთრებული თავხედობის გავრცელებული ნიშანია. ამიტომ საჭიროა უფრო დაწვრილებით შევეხოთ ძალადობის ხსიათს ხულიგნობის ღროს. ამ საკითხზე ლიტერატურაში გამოთქმულია მეტად სადავო მოსაზება, რომლის თანახმად „აუცილებელია დანაშაული განხილულ იქნეს როგორც ბოროტი ხულიგნობა თავხედობის ნიშნით მხოლოდ მაშინ, როცა იგი დაკავშირებულია სხეულის დაზიანებასთან, რამაც ჯანმრთელობის რაიმე მოშლა გამოიწვია... განსაკუთრებული თავხედობის ნიშნით ჩადენილ ხულიგნობად სასამართლო პრაქტიკაში ხშირად მიჩნეულია ისეთი მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია დაზარალებულისათვის გარტყმასთან, მაგრამ ხულიგ-

² Власов Б. П., Лубшев Ю. Ф., Борьба с хулиганством, М., 1972, стр. 36.

³ გარდაბნის რაიონის სასამართლო აზქივი, საქმე № 1/201, 1987.

⁴ Кыдыралиева С. К. Указ. р. стр. 64—66; იხ. აგრეოვვ: Т. М. Кафаров, Ч. Т. Музаев, Борьба с посягательством на общественный порядок, Баку, 1983, стр. 120 и др.

ნურა მოქმედებისას გარტყმა თავისთვის ფერ კიდევ არ შეტყვილებს ბრალულობას ულის მოქმედებაში ბოროტი ხულიგნობის არსებობაზე⁵.

როგორც ჩანს, ხულიგნობის დროს ძალადობის გამოყენება ავტორს წარმოუდგენია სხეულის დაზიანების სახით. ძალადობის ასეთი გავება, ჩემი აზრით, სცილდება ბოროტი ხულიგნობის საზღვრებს და განსაკუთრებით ბოროტ ხულიგნობაში გადადის. ფოიქრობ, რომ სწორ ხაზს ადგას სასამართლო პრაქტიკა, რომელიც გარტყმასა და ცემა-ტყებაში გამოხატულ თავხედობას ბოროტ ხულიგნობად მიიჩნევს. სწორედ ფიზიკური ძალადობის ეს ფორმები ქმნის პირველ რიგში განსაკუთრებულ თავხედობას, რის გამოც საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა ბოროტი ხულიგნობის სახეს იძენს.

განსაკუთრებული თავხედობის ცნება საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში მრავალნაირ ინტერპრეტაციას იღებს. არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად თავხედობის ქვეშ საერთოდ იგულისხმება „შეურაცხმყოფელი უპატივცემლობა, უხეშობა, ისეთი საქციელი, რომელიც ხასიათდება „განსაკუთრებული თავაშვებულობით“. ამ განმარტებაში გასაგებია მხოლოდ „განსაკუთრებული თავაშვებულობა“, სხვა სიტყვები კი მხოლოდ ტაგტოლოგიაა. სხვები მიიჩნევენ, რომ განსაკუთრებული თავხედობა არის „მკვეთრ ფორმაში გამოხატული საზოგადოებისადმი უპატივცემულობის გამოხატულება⁶.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972 წლის 16 ოქტომბრის დადგენილებაში არ არის მოცემული განსაკუთრებული თავხედობის განმარტება. აქ ჩამოთვლილია მხოლოდ შემთხვევები, როცა დამნაშავის მოქმედება განსაკუთრებულ თავხედობად ჩაითვლება. კერძოდ, დადგენილებაში აღნიშნულია, რომ განსაკუთრებულ თავხედობას წარმოადგენს ისეთი „ძალადობა, რომელმაც გამოიწვია სხეულის დაზიანება, ან პიროვნების მასხარაჟ აგდება, საზოგადოებრივი საკუთრების განადგურება, მასობრივი ლონისძიებების ჩაშლა, დაწესებულების, საჭარმოს, ან საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნორმალური საქმიანობის ღროვებით შეწყვეტა ან მისთანები“⁷.

პლენუმის ხსნებული დადგენილება განსაკუთრებული თავხედობის შინაარსში ათავსებს ზოგიერთ ისეთ ნიშანს, რაც უაღრესად დიდი ცინიზმისთვისაა დამახსიათებელი. არადა, კანონმდებელი გარკვევით მოითხოვს, რომ ერთმანეთისაგან განვასხვავოთ უაღრესად დიდი ცინიზმით ჩადენილი ბოროტი ხულიგნობა და განსაკუთრებული თავხედობით ჩადენილი ხულიგნობა.

საზოგადოებრივი წესრიგის ხანგრძლივი და ჯიუტად შეუწყვეტელი დარღვევა განსაკუთრებული თავხედობის მაჩვენებელია, რადგან იგი დაკავშირებულია საზოგადოებრივი წესრიგის ისეთ უხეშ დარღვევასთან, როცა ხულიგნის მოქმედება აუტანელია, სცილდება ყველა საზღვარს და ამიტომ საზოგადოების დიდ აღმდენობას იწვევს. საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როცა განსაკუთრებული თავხედობა სწორედ ხანგრძლივ და ჯიუტად შეუწყვეტელ ხულიგნობაშია გამოვლენილი. მოვიყვანთ მაგალითს: მოქარალი მოქალაქე, ვგიან ღამით, შევიდა რაიონული ცენტრის ერთ-ერთი სახლის ეზოში, ყვირილით გამოაღვიძა ხალხი და დაუწყო მათ გინება. შემდეგ მარტოხელა ქალის ბინას მიადგა და მის კარებზე ბრახუნი ატეხა. ხმაურზე ქალმა კარი გააღო. როცა მოვრალი მოძალადე ოთახში შევარდა, შეშინებული

⁵ В. В. Шубин, Рассмотрение уголовных дел по хулиганству, М., 1980, стр. 73.

⁶ В. П. Власов, Ю. Ф. Лубшев, Указ. р. стр. 38—40.

⁷ Бюллетень Верховного Суда СССР, 1972, № 6, стр. 23.

თუ კი მეტად გამოიქცა და მეზობელთან შეაფარა თავის. ხულიგაჩია უფლის აქაც მიაგნო და მეზობელს მოსთხოვა მისი გამოყვანა. ხულიგნობა გრძელდებოდა დაახლოებით ორი საათი და ჯიუტად არ წყდებოდა. ასეთი მოქმედება გარდაბნის სახალხო სასამართლომ სავსებით სამართლიანად მიიჩნია განსაკუთრებული თავების ნიშნით ჩადენილ ბოროტ ხულიგნობად⁸.

ჩემი აზრით, მასობრივი ღონისძიების ჩაშლა, დაწესებულების, საწარმოს, სახოგადოებრივი ტრანსპორტის ნორმალური საქმიანობის დროებითი შეწყვეტა ასევე უნდა იქნეს მიჩნეული განსაკუთრებულ თავხედობად და დაკვალიფიცირდეს როგორც ბოროტი ხულიგნობა.

პლენუმის ზემოთ ხსენებულ დადგენილებაში უაღრესად დიდი ცნიზმით ჩადენილი ბოროტი ხულიგნობა შეიძლება გაგებული იყოს როგორც ისეთი მოქმედება, რომელსაც თან სდევს ზნეობრივი ნორმების აშკარა, ხაზგამული დარღვევა. მაგალითად, უსირცხვილობის გმოვლენა, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფებისა და მოხუცების ამუჩად აგდება და სხვა⁹.

ხულიგნური მოქმედების ხანგრძლივობა. უნდა განვასხვაოთ მრავალჭერ ჩადენილი ხულიგნობისაგან, როცა ხულიგანი მთელი დღის განმავლობაში რამდენიმეჯერ ხულიგნობს სხვადასხვა ადგილს, ამასთან, ეს ხულიგნობა ზოგჯერ წვრილმანია, ზოგჯერ — მარტივი, ზოგჯერ კი — ბოროტი. ხულიგნურ მოქმედებათა ერთობლიობა „ხანგრძლივობის“ ცნებას არ ქმნის. საერთოდ, ჩვენი კანონმდებლობა არ იცნობს განგრძობადი ხულიგნობის ცნებას, მაშინ, როდესაც ასეთი შემთხვევები პრაქტიკაში ჩშირია. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ასეთ მაგალითს: ჯანდარის ტბასთან სამმა მეინახემ ქეიფი გამართა, დალიეს ალკოჰოლური სასმელი, სუფრასთან მოიწვიეს იქვე მყოფი მათთვის უცნობი აღმიანები. ერთ-ერთ თანამეინახეს და ერთ-ერთ უცნობს შორის კამათი ჩამოვარდა. მოვრაალმა მასპინძელმა უცნობს სახეში ხელი გაარტყა და აგინა, ხულიგნური მოქმედება სულ ხუთ-ათ წუთს გაგრძელდა, შემდეგ იგი აღკვეთეს ტბასთან დასასვენებლად მოსულმა სხვა მოქალაქეებმა.

ამავე დღეს, იგივე ხულიგანმა გარდაბნის ავტოსადგურში უცენზურო სიტყვებით აგინა მოლარე, დახია ავტობუსის ბილეთები და სახეში მიაყარა მას. მისი ლანდღვა-გინება მოლარის მიმართ ათ წუთს გაგრძელდა, შეიყარა ჩალხი და აგტობუსის ბილეთების გაყიდვა დროებით შეფერხდა¹⁰.

ორივე მოქმედება დაკვალიფიცირდა როგორც მარტივი ხულიგნობა. ჩემი აზრით ეს კვალიფიკაცია არასწორია. ერთი და იმავე პირის მიერ დროის გარკვეულ მონაკვეთში ხულიგნობის რამდენჯერმე ჩადენა მისი განსაკუთრებული თავხედობის მაჩვენებელია. ხულიგნობის რამდენჯერმე ჩადენა მიმაჩნია ბოროტ ხულიგნობად განსაკუთრებული თავხედობის არსებობის გამო. ეს ნიშანი იმდენად ნათელია, რომ ვფიქრობ, ამგვარი ქმედობა სპეციალურად უნდა იყოს გათვალისწინებული ხულიგნობის დამამიმებელ გარემოებათა შორის, ცალკე მაკვალიფიცირებელი ნიშნის სახით. კერძოდ, განმეორებითი ხულიგნობა, რისთვისაც ამ მოქმედების ჩამდენი პირი ჯერ არ დასჭილა.

ბოროტი ხულიგნობის მაკვალიფიცირებელ ნიშანთა შორის კანონმდებელი მიუთითებს წინააღმდეგობის გაშევაზე ხელისუფლების წარმომადგენლის

⁸ გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი, საქმე 1/108—88 შ.

⁹ Г. Т. Ткешелиадзе, Судебная практика и уголовный закон, Тб., 1976, стр. 76—77.

¹⁰ გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი, საქმე 1/153—1988.

ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლისათვის, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას ასრულებს. ასევე წინააღმდეგობის გაწევაზე ხულიგნური მოქმედების აღმკვეთი სხვა მოქალაქეებისათვის. წინააღმდეგობის გაწევა ხულიგნის მიერ შეიძლება გამოიხატოს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილიდან მისი გამოყანისას, გზის გადაღობვისას, მოთხოვნისას — დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ხულიგნობა.

ხულიგნობასთან ბრძოლის დროს ხელისუფლებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა სამართლებრივი მდგომარეობა განსხვავდება მოქალაქის სამართლებრივი მდგომარეობისაგან, ამიტომ საჭიროა გავარკვიოთ, თუ კინ ჩაითვლება ხელისუფლების ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლად და რას ნიშავს ამ დროს ხულიგნის მიერ წინააღმდეგობის გაწევა.

ხელისუფლების წარმომადგენლის ცნება კანონმდებლობაში ზუსტად არაა განსაზღვრული. სსრ კაგშირის სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ 1978 წ. 13 აპრილის კანონის მე-2 მუხლი განმარტავს, რომ „დეპუტატები წყვეტენ სახელმწიფოებრივი, სამეცნიერო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებს, ახორციელებენ საბჭოების გადაწყვეტილებებს, კონტროლს უწევენ სახელმწიფო ორგანოების, საწარმოო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობას“.

დეპუტატთა უფლებამოსილების ასეთი განმარტება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ხელისუფლების წარმომადგენლის ზოგადი ცნება; ეს ისეთი პირია, რომელიც სახელმწიფოს სახელით მოქმედებს საზოგადოებაში და გააჩნია სათანადო უფლებამოსილება. რაც შეეხება საზოგადოებრიობის წარმომადგენლის ცნებას, იგი უფრო ფართოა. ისინი მოწოდებული არიან იბრძოლონ საზოგადოებრივი წესრიგისათვის და ამიტომ სარგებლობენ უფლებით, გამოვიდნენ სახელმწიფო ხელისუფლების სახელით ან ისარგებლონ სახელმწიფო ხელისუფლების მქონე ორგანოების უმუალო დახმარებით. აქ გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ხელისუფლების წარმომადგენლი ხულიგნობის აღკვეთის მომენტში ასრულებს სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ მოვალეობას. ამასთანავე, ეს გარემოება ხულიგანს შეგნებული უნდა ჰქონდეს. იურიდიულ ლიტერატურაში დიდი დავაა, თუ რაში გამოიხატება ხელისუფლების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლის, ან მოქალაქისათვის წინააღმდეგობის გაწევა. ლიტერატურაში მითითებულია, რომ ხელისუფლების ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლისათვის წინააღმდეგობის გაწევას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც „ხულიგანი მიმართავს ძალადობით მოქმედებას, რაც ხელს უშლის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას აღნიშნულ პირთა სამსახურებრივი თუ საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებას“¹¹.

წინააღმდეგობის გაწევა ხულიგნობის დროს გულისხმობს საზოგადოებრიგი წესრიგის უხეში დარღვევის ბოლომდე მიყვანისა და ამისათვის წინააღმდეგობის გადალახვის სურვილს, რისთვისაც ხულიგანი მიმართავს ძალადობას, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევის დროს გამოვლენილი ძალადობა განსხვავდება განსაკუთრებული თავხედობით ხულიგნობის ჩადენისას გამოვლენილი ძალადობისაგან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ძალადობა იმდენად აშკარაა, რომ იგი განსაკუთრებულ თავხედობაშია გადასული. წინააღმდეგობის გაწე-

¹¹ Теоретические вопросы и практика применения законодательства об усилении борьбы с хулиганством и другими нарушениями общественного порядка, Уч. пособие, изд. ВЮЗИ, М., 1967, стр. 13.

ვისს გამოვლენილი ძალადობა მოკლებულია განსაკუთრებული თავხელობის წინებს. ხულიგნური მოქმედების აღმკვეთი მოქალაქისათვის წინააღმდეგობის გაწევაში იგულისხმება ხულიგნის მხრიდან აქტიური უკუქმედება, რაც გამოიხტება განზრას გარტყმისა ან ცეკვის, სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებაში და სხვა, ან ამგვარი მოქმედების განხორციელებისა თუ მკვლელობის მფერაში.

ხულიგნობის დროს ხელისუფლების წარმომადგენლის ან სახალხო რაზმელისათვის წინააღმდეგობის გაწევა უნდა განვისხვავოთ წინააღმდეგობის გაწევისაგან ხელისუფლების ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლისათვის, რაც ცალკე დანაშაულად არის ჩამოყალიბებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლში. ეს უკანასკნელიც, თუმცა, დაკავშირებულია ძალადობასთან, მაგრამ გამოიხატება ხელისუფლების წარმომადგენლის თუ საზოგადოებრიობის წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნის განზრას შეუსრულებლობაში. მაგალითად, როდესაც კინოში ხულიგნი წყვეტს ხულიგნობას მიღწეულის შემოსვლისთანავე, მაგრამ არ ემორჩილება მას და მილიციაში არ მიჰყება, დანაშაული უნდა დაკავალითიცირდეს არა როგორც 228-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული წინააღმდეგობის გაწევა, არამედ მილიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი განზრას წინააღმდეგობის გაწევა, რაც გათვალისწინებულია 207-ე მუხლით.

როგორც ვწედავთ, აქ სახეზეა დანაშაულთა ერთობლიობა 228-ე მუხლის პირველი ნაწილის და 207-ე ან 207¹-ე მუხლის შემადგენლობები. 207-ე ან 207¹-ე მუხლის შემადგენლობის და ხულიგნობის ერთობლიობა მაშინაა, როდესაც ხულიგნობა ჩადენილია ხელისუფლების და საზოგადოებრიობის წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობისაგან განცალკევებით, უფრო ადრე, ვიდრე მილიციის მუშაკი თუ სახალხო რაზმელი მოითხოვდნენ დამორჩილებას. ხულიგნის მიერ მილიციელის ან სახალხო რაზმელის შეურაცხოფა მილიციელის ან სახალხო რაზმელის მიმართ არ უნდა დაკავალითიცირდეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე ან 207¹-ე მუხლით, რადგან ასეთ დროს გვაქვს ხელისუფლების წარმომადგენლისათვის წინააღმდეგობის გაწევა ძალადობით (საქართველოს სსრ სსკ 228-ე მუხლის მეორე ნაწილი). აქედან გამომდინარე, არასწორად გვეჩვენება მოსაზრება, თითქოს კანონში გაკვალითიცირებელ გარემოებად არ იყოს მიჩნეული ხელისუფლების წარმომადგენლისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა.

საქმე ისაა, რომ ბოროტი ხულიგნობა, რომელიც განსაკუთრებული თავხედობით გამოიჩინება ხანგრძლივობით და ჭიუტად არ შეწყვეტის გამო შეიძლება სხვა მაკვალითიცირებელი ნიშნებითაც ხასიათდებოდეს. კერძოდ, ხელისუფლების თუ საზოგადოებრიობის წარმომადგენლის ან მოქალაქისადმი წინააღმდეგობის გაწევით. პრაქტიკაში ხშირად, ასეთი განსაკუთრებული თავხედობით ჩადენილ ხულიგნობას (ხანგრძლივი და ჭიუტად არ შეწყვეტილი ხულიგნობა) თან სდევს მილიციელის ან მოქალაქის ხულიგნობის აღმკვეთი აქტივობა, რაც ცხადია დაკავშირებული იქნება წინააღმდეგობის გაწევასთან. ასეთი სიჯიუტის და ხანგრძლივი ხულიგნობის დროს ხელისუფლების ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლის თუ მოქალაქის ჩარევა ხულიგნობის შეწყვეტის მოთხოვნით და ხულიგნის ე. წ. „შიშველი“ წინააღმდეგობით როდი ვლინდება. აქ მოთხოვნას (და ხულიგნის დაუმორჩილებლობას) თან ახლავს ხულიგნობის აღსაკვეთი ზომების მიღება, რაც იწვევს ხულიგნის მხრივ წინააღმდეგობის გაწევას. ამდენად, ამ შემთხვევაში სახეზეა არა 207-ე მუხლის

შემატგენლობა, არამედ წინააღმდეგობის გაწევა (228-ე მუხლის მეორე ნაწილი). უკიდ გული ჰქონდა მის თუ მიწადების სამართლის მიმართ რა რეა არა მართლი გამოყენების დროს, თუ ხულიგანი ხულიგნობის დამთავრების შემდეგ უსიტყვოდ გაპყვა მილიციელს, სახალხო რაზმელს ან მოქალაქეს და გზაში გაუწია წინააღმდეგობა მილიციაში შესვლის წინ, ასეთი წინააღმდეგობა მაკვალიფიცირებელი გარემოება არ იქნება ხულიგნობისათვის წინააღმდეგობის გაწევის ნიშით, ვინაიდან ეს წინააღმდეგობა ხულიგნობის გარეშე ძეგება. აյ სახეზე გვექნება დანაშაულთა რეალური ერთობლიობა — ხულიგნობა და წინააღმდეგობის გაწევა ხელისუფლების წარმომადგენლისათვის ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლისათვის, რომელიც ასრულებს საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის მოვალეობას.

სშირად საგამოძიებო ორგანოები ბოროტ ხულიგნობას ხელისუფლების ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობის გაწევის მაკვალიფიცირებელი ნიშით ერთდროულად აკვალიფიცირებენ, როგორც ბოროტი ხულიგნობით, ასევე 207-ე, 207¹-ე ან 209-ე მუხლებით, რაც არასწორია. მოვიყვან ასეთ მაგალითს: მთვრალმა მოქალაქემ ქუჩაში გამვლელს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ხმაურზე ხალხი შეიკრიბა. უბნის რწმუნებულის მოთხოვნას — შეეწყვიტა ლანდღვა-გინება, მთვრალი არ დაემორჩილა, რას გამოც მილიციის თანამშრომლის დახმარებით, მთვრალი დააკავეს; ჩასვეს მანქანაში და შინაგან საქმეთა განყოფილებაში წაიყვანეს. გზაში იგი მილიციის თანამშრომლებს არ ემორჩილებოდა, უბნის რწმუნებულს ჰალსტური ჩამოგლიჭა, ხოლო მეორე თანამშრომელს სამხრეები ააწყვიტა¹². საგამოძიებო ორგანოებმა ეს ქმედობა დააკვალიფიცირეს 228-ე მუხლის მეორე ნაწილით და 207-ე მუხლით. სახალხო სასამართლომ სრულიად სამართლიანად 207-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდება მოხსნა და დამნაშავეს სასჯელი განუსაზღვრა 228-ე მუხლის მეორე ნაწილით — ხელისუფლების წარმომადგენლისათვის წინააღმდეგობის გაწევის მაკვალიფიცირებელი ნიშით.

და ბოლოს, ბოროტი ხულიგნობის უკანასკნელ მაკვალიფიცირებელ ნიშანს წარმომადგენს ხულიგნობა „ჩადენილი ისეთი პირის მიერ, რომელიც წინაათ ნასამართლევი იყო ხულიგნობისათვის“. ჩასაკვირველია, აქ იგულისხმება, რომ ნასამართლობა ხულიგნობისათვის მოხსნილი და გაქარწყლებული არ არის.

კანონმდებელი არ ახდენს დიფერენციაციას, თუ ხულიგნობის რომელი ნაწილითაა პირი ნასამართლევი, რაც აღნიშნული მუხლის ხარვეზად მიმაჩნია. თუ კანონმდებელი სხვადასხვა სიმიმის ერთგვაროვანი დანაშაულისათვის ნასამართლობის ფაქტს გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს, ეს ხულიგნობისათვის ნასამართლობასაც უნდა შექმნას. აქედან გამომდინარე, ერთნაირი არ უნდა იყოს იმ ორი სხვადასხვა ხულიგნის ქმედობის ქვალიფიცია, რომელებმაც მარტივი ხულიგნობა ჩაიდინეს, მაგრამ წარსულში ნასამართლობა ჰქონდათ, ერთს მარტივი დანაშაულებრივი და ბოროტი ხულიგნობისათვის, ხოლო მეორეს — განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის.

ნასამართლობა მარტივი დანაშაულებრივი ხულიგნობისა და ბოროტი ხულიგნობისათვის, შეიძლება გახდეს ბოროტი ხულიგნობის მაკვალიფიცირებე-

¹² გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი, საქმე № 1/9—88 ფ.

ლი ნიშანი, მაგრამ თუ ასეთ პირს ნასამართლობა უქონდა წარსულში ჩადენილი განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის და მან კვლავ ჩაიღინა მარტივი ან მითუმეტეს, ბოროტი ხულიგნობა, იგი უნდა დაისაჭიროს განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის 228-ე მუხლის მესამე ნაწილით, ვინაიდან ასეთი პირის მიერ განმეორებით ჩადენილი ხულიგნობა ზრდის პირის საზოგადოებრივ საშიშროებას. ამიტომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მეორე ნაწილში უნდა მოხდეს ხულიგნობისთვის ნასამართლობის დიფერენციალი და ორნიშნული მუხლის მესამე ნაწილს მაკვალიფიცირებელ გარემოებად დამატოს პირის ნასამართლობა განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის.

ქ 206
ქ ეროვნული ბიბლიოთი

ინტერვიუ

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მოსახლეობისა და სოციალისტურ ორგანიზაციათა საგართლებრივი მომსახურების განცოცილების საქმიანობის როლი და მიზანები, სამუშაოროდ, ფართო საჯობადოებისათვის ნაკლებად არის ცენგილი, პრადა, ეს განყოფილება ჩვენი ეროვნული ცხოვრების უაღრისად სასიცოთო საკვებების აწესრიგებას. „სახელმწიფო და საგართლების“ გრადალათასიანი მიზნების ინტერესების დაკავყოცილების მიზნით ამ გზით, განყოფილების უფროსის გამუშავება უნდა და მსაუბრა ჩვენი უზრუნალის სპეციალის კორესპონდენციელი ჰელა გარემონტილი

— ბატონო მამუკა, რას გვეტყვით გვარების შეცვლის პრაქტიკის თაობაზე?

— უნდა ითქვას, რომ 1971 წლამდე მოქმედი კანონმდებლობით არავითარი შეზღუდვა გვარის გამოცვლისათვის არ არსებობდა. ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო მიეღონ არა მარტო დედის ან მამის, არამედ მეზობლისა თუ მეგობრის გვარი, ამისათვის საჭირო იყო მხოლოდ პირადი სურვილი. ამ გზით, სამუშაროდ, არც თუ იშვიათად, ასატუროვები ხდებოდნენ ასათიანები, დედაშევები — დადიანები და ა. შ. დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობით, გვარის, ისევე, როგორც სახელისა და მამის სახელის გამოცვლისათვის საჭიროა გარკვეული საფუძველი, უფრო ზუსტად, გვარის გამოცვლის ნებართვა გაიცემა მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ამისათვის არსებობს გამოკვეთილი საპატიო მიზანები, მათ შორის, მისი არაკეთილმოვანება, წარმოთქმის სიძნელე, ცოლ-ქმრის სურვილი ატარონ საერთო გვარი, გვარის შეუსაბამობა მოქალაქის მიერ არჩეულ ეროვნებასთან. სწორედ ამ უკანასკნელის საფუძვლით დღეს გვარს იცვლის მოქალაქეთა დიდი უმრავლესობა, თითქმის 99 პროცენტი. საყურადღებოა თვით გვარის გამოცვლის მსურველთა რაოდენობის ზრდაც, მაგალითად, თუ 1988 წელს გვარი გამოიცვალა 1302 მოქალაქემ, ხოლო 1989 წელს — 2150-მა, უკვე მიმდინარე წელს ამ რიცხვმა 800

მიაღწია... აღსანიშვნავდა, რომ გვარების გამოცვლის პროცესი შეინიშნება ორი ტერიტორიული ეროვნების მოსახლეობაშიც. მაგალითად, წალკის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები ტერები მოსახლეობის ფილი ნაწილი ისტორიული ბედუულ-მართობის გამო ატარებს რუსულ და ნახევრადთურქულ გვარებს. დღეს ისინი სრულიად სამართლიანად აყენებენ გვარების შეცვლის საკითხს. მაგალითად, უკროვი — ფორიალისზე, პოპოვი — პაპუნიდისზე, კარაგეზოვი — მავრომატისზე, კალპანჩევი — კალპილისზე და ა. შ.

— სამწუხაროდ, იყო ბერიოდი, როცა ქართველებს არაქართული სახელებისაკენ გაურბოდათ თვალი. ასლა კი, ჩვენდა საბედნიეროდ, რამდენადც ვიცით, ქართველები ქართულ სახელებს ამჭობინებენ. ამის თაობაზე რას იტყოდით?

— როგორც მოგახსენეთ, სახელის შეცვლასტუმჭირდება გარკვეული საფუძველი — საბატიო მიზეზები, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სახელის შეუსაბამობა მოქალაქის ეროვნებასთან. სასიხარულოა, რომ ქართველი ერის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებასთან ერთად, გახშირდა ახალშებილთათვის წლების განმავლობაში მიგწყებული სახელების დარქმევა. მაგალითად, სალომე, თორნიკე, მელანო, ანანო, ერეკლე... საგრძნობლად იმატა სრულწლოვანი მოქალაქეების მიერ სახელის გამოცვლის შემთხვევებმაც. აქც უმთავრესი მიზეზია სახელის შეუსაბამობა ეროვნებასთან. მაგალითად, შუამდგომლობით მოგვმართა მოქალაქე უანა მელვინეთუხუცესმა, რომელიც ითხოვს ქართულ სახელს რუსულანს, მოქალაქე ოფელია ქაბზინაძეს სურს იყოს თამარი და სხვ.

საგრძნობლად მოიმატა შემთხვევებმა, როცა მოქალაქეები თხოულობენ ისტორიული ბედუულმართობის გამო დაკარგულ ქართულ გვარებს და ამასთანავე იცვლიან არამარტო სახელებს, არამედ მამის სახელებსაც კი. მაგალითად სედრაქს — სერგოზე, ტიგრანს — ტარიელზე, აშოტას — შოთაზე და სხვა.

— თქვენ ახსენეთ გვარის შეუსაბამობა მოქალაქის მიერ არჩეულ ეროვნებასთან, რით არის გამოწვეული იგი?

— საქმე იმაშია, რომ პასპორტის პირველად აღების დროს, ესე იგი, 16 წლის ასაკში, ბიეთნიკური (შერეული) ქორწინების შედეგად შობილ მოქალაქეებს ეძლევათ უფლება, თავისი სურვილით აირჩიონ დედის ან მამის ეროვნება. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, შემდგომ ამისა, ეროვნების შეცვლა არ დაიშვება. არის შემთხვევები, როდესაც მოქალაქე ირჩევს დედის ეროვნებას, გვარი კი რჩება მამის ეროვნების შესაფერისი, ან პირიქით უკვე სრულწლოვანების, ესე იგი, 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, მოქალაქეს შეუძლია იშუამდგომლოს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის მმაჩის განყოფილების წინაშე, ეროვნების შესაბამისი გვარის მიკუთვნების შესახებ.

აღსანიშვნია, რომ რიგი მოქავშირე რესპუბლიკების (უზბეკეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ) ინიციატივით, საქავშირო ორგანოების წინაშე უკვე დაისვა და მუშავდება საკითხი მოქალაქეთა ეროვნების შეცვლის შესაძლებლობისა და მისი მოქავშირე რესპუბლიკათა გამგებლობაში გადაცემის შესახებ. აღნიშეულს, სხვა ორგანოებთან ერთად, მხარი დაუჭირა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამაც. ვფიქრობთ, სამოლონოდ დადებითად გადაწ-

ყდება ეს უაღრესად დიდი ეროვნულ-სახელმწიფო ბრძანების მნიშვნელობის საკითხი.

— უკანასკნელ ხანს ხომ არაფერი შეცვლილა კანონმდებლობაში, ან თუ მოსალოდნელია რაიმე სიახლე? და საერთოდ, პრაქტიკაში და გამოცდილებაში აღბათ წარმოშვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეცვლის საჭიროება. როგორც ვიცით, ამჟამად მთელი ოქვენი საქმიანობა რეგულირდება კანონქვემდებარე აქტებით. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ამ სფეროს უნდა არეგულირებდეს კანონი?

— მოქმედი კანონმდებლობის განახლების სასიკეთო და აუცილებელი პროცესი ყველაზე ნაკლებად, სამწუხაროდ, სწორედ საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობას შეეხო. თუმცა, ამჟამად უკვე მუშავდება და მოსალოდნელია ბევრი სიახლე. მაგალითად, მოქმედი კანონმდებლობით მოქალაქის ეროვნება, როგორც აღვინიშნე, განისაზღვრება 16 წლის ასაკში, გვარის გამოცვლა კი დასაშვებია 18 წლიდან. აღბათ, ბევრად უკეთესი იქნებოდა თუ გვარისა და ეროვნების არჩევა შესაძლებელი გახდება ერთდროულად, ესე იგი, 16 წლის ასაკშივე. ეს თავიდან აგვაცილებდა როგორც შეუსაბამობას რიგ დოკუმენტში (მაგალითად, ატესტატი, დაბადების მოწმობა, პასპორტი), ისე პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების განმეორებით აღების აუცილებლობას. მით უმეტეს, რომ ამგვარ პრაქტიკას იცნობს ბევრი განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობა, მაგალითად, საფრანგეთში გვარის გამოცვლა ხდება ეროვნების განსაზღვრასთან ერთად.

ასევე, ბავშვის გვარის შესწორება დედის ან მამის გვარზე, შესაძლებელია მშობლების თანხმობით მხოლოდ 1 წლის ასაკამდე, სახელისა კი — 5 წლის ასაკამდე, ვფიქრობთ, ეს შესაძლებლობა ასაკით არ უნდა იყოს შეზღუდული. გვარის გამოცვლასთან დაკავშირებით უახლესი პერიოდის ცვლილება შეეხო მხოლოდ ფინანსურ მხარეს. კერძოდ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 25 ოქტომბრის დადგენილებით, გვარის, სახელისა და მამის სახელის გამოცვლის რეგისტრაციისათვის დაწესდა სახელმწიფო ბაჟი 50 მანერის ოდენობით, ნაცვლად ადრე არსებული 15 მანერისა.

— როცა საქართველო დამოუკიდებელი იყო, საინტერესოა როგორ რეგულირდებოდა ეს საკითხები?

— უნდა ითქვას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში არსებობდა კანონი მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ, ამ კანონის განსახორციელებლად ინსტრუქციას კი გამოსცემდა შინაგან საქმეთა მინისტრი იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით (26-ე მუხლი).

როგორც ჩანს, კანონქვემდებარე აქტების აუცილებლობას აღბათ ახლაც ვერ აფულით გვერდს, თუმცა, მათი მოქმედების არე თანდათან უნდა შეიზრდოს კანონის სასაჩვენებლოდ.

— გმადლობთ.

კოშა ხარაჭე

ტოკონიმის იმპირიული დანა სტილი!

ქართული ტოპონიმია ისევე ძველი და მრავალფეროვანია, როგორც სალიტერატურო ენა. გეოგრაფიული სახელები ერის საუნჯეა, ქვეყნის ბუნებრივი ხასიათის, ხალხის ყოფისა და ისტორიის სარკეა. ამიტომ მათ ისევე სჭირდებათ მოვლა და დაცვა, როგორც თვით ისტორიას. აღამიანი უსაოვარი დროიდან მიაკუთხნებდა ამა თუ იმ ადგილს შესაფერის სახელს; ამით იგი ადგილის ბარათს ავსებდა და თაობიდან თაობას გადასცემდა; დღეს კი, წიგნმოვლენია გეოგრაფიული სახელწოდებების გარეშე ცხოვრება. ხშირად არ ვუკვირდებით და არც გავიაზრებთ ამა თუ იმ ადგილის სახელწოდებებს, რომლებიც ასე მძაფრიად შემოჭრილა ჩვენს ცხოვრებაში. ალბათ, ძნელი წარმოსადგენია რა ქაოსი და არეულობა იქნებოდა ჩვენი ყოველდღიური თანამგზავრების გარეშე. საქართველოში ათასობით გეოგრაფიული სახელწოდებაა. მარტო დასახლებული პუნქტების რაოდენობა ხუთიათასამდეა, ოცდარვა ათასამდე სახელწოდება მდინარეებს აქვთ მიკუთვნებული; ასევე ათასობით სახელი აქვთ მიკუთვნებული მთებს; ამას თუ დავუმატებთ იმ მიკროტოპონიმიას, რომლებიც თავის მხრივ ყველა დასახლებული პუნქტის სანახებში უამრავია, მაშინ საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა რაოდენობა ასათასობით განისაზღვრება. ტოპონიმები რაოდენობით ორ-სამჭერ მეტია, ვიღრე მთლინად ენის ლექსიკა დიალექტური შენაკადებითურთ. მართალია, ტოპონიმთა რაოდენობას ზრდის მიკროფონიდი, მაგრამ აღამიანი სწორედ ამ მიკრორაიონის ბინადარია და მის ტრადიციას ექვემდებარება. ისიც ნიშანდობლივია, რომ ასეთ მრავალრიცხვან სახელწოდებებს ყველას საკუთარი ისტორია გააჩნია და ისინი ძირითასია ერისათვის.

ადგილის სახელწოდებების გაუმჯობესება ყველა მოწინავე ქვეყანაში სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანია. საქართველოში წლების განმავლობაში არათუ მათ გასაუმჯობესებლად, არამედ შესანარჩუნებლადაც ნაკლებად ზრუნავდნენ. აბა, სხვა რას უნდა მივაწეროთ ის, რომ ასეულობით გეოგრაფიულ სახელწოდებას უმართებულოდ დაუმკვიდრდა შეუფერებელი სახელი. ბოლო დროს თითქოს ამ მხრივ, გაუმჯობესებისათვის, უფრო სწორად სახელწოდების აღდგენისათვის, გადაიდგა პირველი ნაბიჯი — ხუთიოდე დასახლებულ პუნქტს აღვუდგინეთ თავისი სახელები, მაგრამ ეს ხომ ზღვაში წვეთია; რეაბილიტაციას ელის ასეულობით ქართული სახელწოდება. არადა, ჩვენს სამეცნიერო თუ სივა ლიტერატურაში, უურნალ-გაზეთებსა და ოფიციალურ მიმოწერაში, საგზაო ნიშნებსა და ზეპირმეტყველებაში გეოგრაფი-

ული სახელწოდებების ხმარებისას ერთი პრინციპი არ არის დაცული; ზოგი ჯერ ამ საქმეში არაფრად დაგიდევენ და არავითარ დადგენილ წესს არ იცავენ. მეტად ხშირია მიუტევებელი უზუსტობანი. ამ დროს კი, ტოპონიმების ხმარებას თავისი პრინციპი აქვს და ვისაც როგორ მოესურვება არ შეიძლება ისე ხმარება (ამ მხრივ, ბევრი უზუსტობაა გაზირ „თბილისში“ სამგლოვიარო განცხადებების გამოცხადების დროს). ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდების ხმარებას ჩვენს პრესაში ვერავითარ კორექტურას ვერ დავაძრალებთ, ისინი ღრმად აქვს ჩაჭედილი ჩვენს ზოგიერთ უურნალისტს, მწერალს, მეცნიერს... ხმარობები სახელწოდებებს როგორც მოესურვებათ და თავს ახვევენ სხვებსაც. მოვიტანთ სულ ორიოდე მაგალითს; თეორი წყაროს რაიონში ოდითგან აქვს შერქმეული სახელი სოფელ ღოუბანს, ზოგჯერ პრესაში ეს სახელწოდება გოუბანის სახელით იხსენიება. ასევე, ამავე რაიონში მდებარე სოფელ სამღერეთის სახელი ხან ასე იხმარება, ხან სამღერეთის სახელით. ერთ-ერთ უურნალში ვკითხულობთ: თერგის ჰევია თერგი, რიცას კი რიცა“. მოხშირდა ტერმინ მთათუშეთის ხმარება თუშეთის ნაცელად. იქნებ აგვისნას ზოგიერთმა მწერალმა თუ უურნალისტმა რას ნიშნავს მთათუშეთი? თუ მის მთიანობას გულისხმობს, მაშინ რატომ არ ხმარობს მთასვანეთი, მთარაჭა...? ან, რატომ განსხვავებულად ვხმარობთ — შიდა ქართლი და შიგა ქართლი? მართალია უფრო სწორია შიგა ქართლი, მაგრამ ტრადიციულად უძველეს ისტორიულ წყაროებში შიდა ქართლი ღამკვიდრდა და ჩვენც ამ სახით უნდა მოვიხსენიოთ. რამდენი გეოგრაფიული სახელწოდება დამახინჯებით, შერყვნილი სახით აქვთ ჩაწერილი მოქალაქებს დაბადების მოწმობებსა და პასპორტებში, ამის მაგალითად გუმბურდო (კუმურდო) და ჩანდურა (ჩანდერალი) იკვარებდა ახალქალაქის რაიონში. მსგავსი დამახინჯებანი და უზუსტობანი კიდევ მრავალი შეიძლება მოვიტანთ, მაგრამ მთავარია არა მათი აღნუსხვა, არამედ გასწორება და თითოეული სახელწოდებისათვის მყარი სტატუსის მინიჭება.

რა თქმა უნდა, გეოგრაფიული სახელწოდებები ლექსიკურად ენის ელემენტი, ლინგვისტური კატეგორია (გრამატიკულად საკუთარი არსებითი სახელი) და ამიტომ მის კანონებს ემორჩილება; ამავე დროს, ეს სახელწოდებები შეიქმნა გარკვეულ ისტორიულ პირობებში და ბევრი მათგანი ხაზს უსვამს გარკვეული ეპოქის დამახასიათებელ ნიშნებს; მაგრამ, ამასთან, ტოპონიმი რუკის ელემენტია. ბევრი სახელწოდება მიუთითებს ბუნებრივ პირობებზე და მხარის სიმდიდრეზე, დასახლების ისტორიაზე, ისტორულ გეოგრაფიაზე, ესე იგი კონკრეტულ გეოგრაფიულ მდგომარეობაზე.

ტოპონიმების დარქმევის პროცესს აქვს კანონზომიერებანი და გაპირობებულია პირველ რიგში ისტორიული მიზეზებით, სახელწოდების წარმოშობის აუცილებლობით. ამიტომ ყოველი შემდგომი შერქმეული თუ გადარქმეული სახელწოდება მისთვის უკანონოა. ჩვენს პირობებში ხშირად გვესმის, თითქოს მოხდა ახალდასახლება და სახელიც შესაბამისად უწოდეს; ეს ყოველთვის როდი შეესაბამება სინამდვილეს; საქმე ისაა, რომ უმთავრესად ხდება ხელახლი დასახლება. მართალია, ზოგჯერ აღარავითარი კვალი არ ჩანს ნასახლარებისა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეს ადგილი მუდმივარიელი იყო. არის რაიონები, საღაც დასახლებულ პუნქტებს გაცილებით სჭარბობს ნასოფლართა რაოდენობა. სწორედ ასეთი ნაჩერევი გადაწყვეტის შედეგია, რომ დღეს საქართველოში 25 ახალსოფელია, 15 ახალშენი, 8

ოქტომბერი, 8 ახალდაბა, 8 კიროვი, 8 შრომა, 7 განახლება, 7 განთიაზული 5 ახალუბანი, 5 ულიანოვება და ასე შემდეგ. ახლა ისიც ვიყითხოთ, ეს სახელწოდებები მართლა ახალდასახლებებს შეერქვათ? ნურას უკაცრავად, უმთავრესი მათგანი ძველი სახელწოდებების ხარჯზეა შერქმეული; ამ ზოგ მათგანი: კიროვი და ერქვა სალომინის (ვანის რაიონი), ზრესეს (ახალქალაქის რაიონი), ბალების (ლანჩხუთის რაიონი), წობას (მარნეულის რაიონი) და სხვა; ახალსოფელი ძველ გავაზს (ყვარლის რაიონი), ზას (თეთრიშვაროს რაიონი), აღოს (ყაზბეგის რაიონი), აგვიეს (ხელვაჩაურის რაიონი) და სხვა. შრომა მიქელ გაბრიელს (ოზურგეთის რაიონი), ვაჩამიანს (გურჯაანის რაიონი), გუბას (სოხუმის რაიონი), ჯვარისას (ამბროლაურის რაიონი) და სხვა; ახლა, რამდენი წმინდა სახელთან დაკავშირებული სახელი შეიცვალა; მირობწმინდას წითელხევი (ხარგაულის რაიონი) ეწოდა, სტეფაშმინდას—ყაზბეგი, ჯვარის — ლუმანისი (თეთრიშვაროს რაიონი), მრავალძალს — მთისკალთა (ონის რაიონი), მაცხოვარს—ოქტომბერი (თერგოლის რაიონი) და სხვა. ან რატომ უნდა ერქვას მეფისქალაქის ახალქალაქი (კასპის რაიონი)? იგი ხომ 1660 წელს განაახლა და ააშენა ქალაქიდ როსტომ მეფემ და ეს აღნიშნულია კიდევ აქ მდგარ საყდრის ლაპიდარულ წარწერაში. ან კიდევ, რატომ შევარქვით ნაღვარევს ნაღორევი (დუშეთის რაიონი), კველთას—ალგეთი (თეთრიშვაროს რაიონი), საღვინეს — პირველმაისი (ზესტაფონის რაიონი) და სხვა.

ყოველთვის გეოგრაფიულ სახელებში მოცემულია კონკრეტული შინაახსი, მაგრამ გვხვდება ისეთებიც, სადაც აზრი დაკარგულია; ეს გამოწვეულია სახელწოდების თანდათანობით შეცვლით ან უცხო ენის გავლენით. პრაქტიკულად უაზრო სახელწოდებები არ არსებობს. საქმე ისაა, რომ ადამიანი გეოგრაფიული სახელის დარქმევისას იყენებდა თავის ენაში ხშირად ხმარებულ სიტყვას. მაგრამ დროთა განმავლობაში ზოგი მათგანი წაიშალა, ზოგი აღარ იხმარება სალაპარაკო მეტყველებაში, გადავიდა ეგრეთ წოდებულ სიტყვის პასიურ მარაგში. ზოგი სრულიად ამოვარდა ცოცხალი ენის ლექსიკიდან, მაგრამ გეოგრაფიული სახელწოდებანი შეინახა როგორც მოწმე ენის ისტორიული პროცესისა.

ტოპონიმთა ცვალებადობის პროცესი ერთობლივად განვითარება-გართულებისაკენ არის მიმართული, რაც დამოკიდებულია ბუნებრივ და ისტორიულ პირობებზე. საქართველოს უძველესი გეოგრაფიული სახელწოდებების ტრანსკრიფცია მხოლოდ უცხოელთა ნაშრომებშია შემონახული. მრავალ ტოპონიმზე აქვთ საუბარი ანტიკური სამყაროსა და მოგვიანო ხანის ავტორებს — ბერძენ, რომაელ, ირანელ, არაბ, თურქ, ფრანგ, რუს მოგზაურებს, ისტორიკოსებს, ფილოლოგებს, გეოგრაფებს, ბუნებისმეტყველებს, მწერლებს, დიპლომატებს... მეხუთე საუკუნიდან საქართველოს ტოპონიმები უამრავ ქართულ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებშია მოცემული. ამ მხრივ აღსანიშვნია: აგიოგრაფიული ძეგლები, მემატიანეთა ჩანაწერები, სიგელ-გუჯრები, საეკლესიო და სამოქალაქო საბუთები, მხატვრული ნაწარმოებები, სხვადასხვა ეპიგრაფიული ძეგლები, სამართლის ძეგლები, მოსახლეობის აღწერათა მასალები, კარტოგრაფიული წყაროები და სხვა.

მრავალფროვანია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გეოგრაფიული სახელწოდებები. ასევე მრავალგვარია მათი წარმოშობა და ისტორიული მსვლელობა. საქართველოს გეოგრაფიული სახელწოდებების ცვალება-დობა ხანგრძლივი პრიორის მანძილზე მრავალჯერ მომხდარა. ამასთან,

საქართველოს სხვადასხვა მხარეში განსხვავებულად წარიმორთა ეს პროცესი, რაც ძირითადად გარე და შიგა მიგრაციულ პროცესებთან იყო დაკავშირებული. ამ მხრივ განსაკუთრებით ერთბაშად გარდაქმნა და ცვალებადობა განიცადა ჯავახეთისა და ქვემო ქართლის გეოგრაფიულმა სახელწოდებებმა, ხოლო დანარჩენ მხარეებში ეს პროცესი შედარებით ნაკლებად და თანდათანობით მოხდა. რესპუბლიკის განსაზღვრულ რეგიონში (ძირითადად სამხრეთ ნაწილში) აბორიგენული ქართული ტოპონიმების მოსპობა ისტორიის გვიანდელ ეტაპებში, მისი შეცვლა უცხოური წარმოშობის სახელწოდებებით ან დამაზინება, დაპყრობებს და გადასახლებებს ახლდა თან.

ჩვენი ტოპონიმები ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით შეიცავს არამიზან-შეწონილ, სხვადასხვა თვალსაზრისით მიუღებელ სახელწოდებებს, რომელთა შეცვლის აუცილებლობა დავს არ იწვევს. სახელწოდებათა ეს კატეგორია შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს; უცხოური წარმოშობის, შერყვნილი, არასწორად ხმარებული სახელები და სხვა. უცხო სახელწოდებების დიდი ნაწილი დაკავშირებულია ჯავახეთთან, სადაც თურქულენოვანი მოსახლეობა ამჟამად, შეიძლება ითქვას, სრულიად აღარ ცხოვრობს. ახალი სახელწოდებების მინიჭება უკუღმართულად მოხდა ქვემო ქართლისა და ზოგ სხვა რეგიონშიც, სადაც გაბატონდა აგრეთვე თურქულენოვანი ტოპონიმები. გუშინდელ გაბატონებულ, ამ თურქულენოვანი ტოპონიმების შესახებ კი გასულ წლის ოქტომბერში, ონომასტიკის მეორე რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე, მ. ჩობანოვმა, რომელიც ქართულ დაწესებულებაში, სულ-ხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობს, წაიკითხა მოხსენება — „თურქულ-აზერბაიჯანული ოიკონიმები საქართველოში“; მართალია, მისი მოხსენების თეზისები სამართლიანად არ დაიბეჭდა, მაგრამ გაქვირვებას იწვევდა მისი პოზიცია ამ უცხო სახელწოდებების ქრონოგიურ ზღვრებსა და მათ გაერცელებაზე (არეალზე). უფრო მეტიც, მოხსენებაში მან გააყალბა მთევლი რიგი ისტორიული წყაროები და აღინიშნავდა, თითქოს ძველ ქართულ წყაროებში იყოს ეს უცხო სახელწოდებები უძველესიდან მოხსენიებული და ზოგიერთი სახელწოდება თითქოს ქართველებმა თარგმნეს თურქულ-აზერბაიჯანული ძველი სახელწოდებიდან!.. სწორედ ამაზე იტყვიან: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო!“.

ტოპონიმების დაცვის არავითარი იურიდიული სტატუსი რომ არ მოქმედებდა, ამის დასტურია აფხაზეთისა და ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მოსახლეობის გამოკითხვისა და სახელწოდებების თარგმნის გზით მიღებული ასეულობით გეოგრაფიული სახელწოდებების აღდგენის ცდები, რასაც ითხოვდნენ და დღესაც ითხოვენ. თუმცა, ნაწილობრივ იგი წარსულის განკუთხაბის დროს მიღწეულ იქნა. გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ გეოგრაფიული სახელწოდება, რომელიც უძველესი საუკუნეებიდან მოხსენიებულია უცხოურ და ქართულ წყაროებში, უნდა შეცვალოთ სულ ახლახნ შერქმეული სახელწოდებით. ვერ გეტყვით, მაგრამ ასეთი რამ მეორნი არცერთ ქვეყანაში არ განხორციელებულა. და, ყველაფერი ეს, ისევ და ისევ ჩვენი დაუდევრობისა და უყურადღებობის შედეგია. არათუ უმართებულოდ გადარქმეული და შერქმეული სახელწოდებები გაისწორეთ, არამედ ახალი შეცდომებიც დავუმატეთ. ავიღოთ 1930 წელსა და 1989 წელს გამოცემული საქართველოს აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარები და შევუდაროთ მათში მოხსენიებული გეოგრაფიული

სახელშოდებები ერთმანეთს; ვნახავთ, რამდენი რამ დაგვიმახინჯებია. ბეჭედი სახელშოდების მინიჭება ან გადატემევა ხშირად სუბიექტურად და არაკვალიფიციურად ხდებოდა. ასეთი სახელშოდებები თავისთავად დასაღუპადა განწირული. ამის ერთ მაგალითად რაიონისა და მისი ცენტრის, ყოფილი ორგონიკიძის სახელშოდება გამოდგება. მიუხედავად იმისა, რომ ათეული წლების მანძილზე ოფიციალურად ორგონიკიძედ იწოდებოდა, უმთავრესად ხარაგაული იხმარებოდა, როგორც ზეპირმეტყველებაში, ისე წერილობითაც. ვის სჭირდება ისეთი სახელშოდება, რომელიც ხალხმა ვერ გაითავისა? ან, როგორ გაითავისებდა როცა ხარაგაული (ხარაგოული) ოდითვან ერქვა დასახლებას და მის მიხედვით შემდეგ მთელ რაიონსაც ეწიდა! მართალია, ჩუსეთის ოვითმპყრობელობის საქართველოში დამყარების შემდეგ ხარაგაულს ბელოგორი უწოდეს, მაგრამ ხალხმა უარყო იგი და კვლავ ხარაგაულის სახელი დაუბრუნა. ორმოცი წლის წინათ კიდევ ერთხელ წავართვით ძველი სახელი, მაგრამ ხალხმა არ მიიღო კვლავ ძალად თავს მოხვეული სახელშოდება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, რატომ არ უნდა გავუწიოთ ანგარიში ტრადიციასაც? ძალად მოხვეულ სახელშოდებას ვერ დავამკიდრებთ. სახელშოდება დაკავშირებული უნდა იყოს გარემო პირობებთან, ისტორიასთან, რაღაც გარკვეულ მოვლენასთან, ხოლო თვით სახელშოდებას უნდა ახასიათებდეს სისადავე, კეთილუღერადობა, ლოგიკური კავშირი ობიექტთან და ასე შემდეგ. ამიტომ სჭირდება გეოგრაფიულ სახელშოდებებს თავიანთი იურიდიული მდგომარეობა და დაცვა. ან, გაგონილა ამდენ ქარხანას, ქუჩას, კოლმეურნეობას, დასახლებულ პუნქტს და სხვა მისთანებს, ერქვას რეპუტაციაშელახული პიროვნების სახელი? ჯერ ერთი პიროვნების სახელი დასახლებულ პუნქტს არ უნდა ერქვას, მეორეც, საქართველოში ორგონიკიძის სახელი კიდევ ოთხ დასახლებულ პუნქტს (ზუგდიდის, მარნეულის, ლაგოდეხის, წალენჯიხის რაიონებში), ერთ რაიონს თბილისში (საბჭოთა კავშირში ორგონიკიძის სახელს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი ატარებს), ათეულობით ქუჩას, ქარხანას, კოლმეურნეობას, პარკს და მისთანებს ჰქვია. ვის მიაჩნია ეს ნორმალურად?!... კიდევ უნდა გავიმეოროთ, ყველაფერი ეს განუკითხაობის ბრილია და მარტო ეს მაგალითიც კმარა, რომ ჩვენში გეოგრაფიული სახელშოდებების დაცვა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს...

იქნებ ვინმეს ჰგონია დასახლებული პუნქტების, ყოფილი წულუკიძის, გეგეჭკორის, ცხაკიას და მახარაძის სახელშოდებები იყო გათავისებული? თავს ნუ მოვიტყუებთ,... ან, რატომ უნდა დაგვეკარგა შესანიშნავი ქართული გეოგრაფიული სახელშოდებები — ხონი, მარტვილი, სენცი და ოზურგეთი? ამ სახელშოდებებთან ხომ ჩვენი ერის ისტორიაა დაკავშირებული! და განა, კიდევ არ გვხვდება მათი მსგავსი შეუთვისებელი სახელები? რატომ მოვნათ-ლეთ კოდორი კლადიმიროვეად, ოქონა (ტყისუბანი) — ზნაურად, გიორგიშვინდა — ისაკუსუდ, წუნარი — ხეთაგუროვოდ, კავთა — ჩაპავკად, კოპანეთი — ჯაფარლოდ, ახალგორი — ლენინგორად, მათიში — ულიანოვკად, ბალდადი — მაიაკოვსკად და სხვა.

ახლა, დავთვალოთ ჩვენი ეროვნული საფიცარის, დიდი ილიას სახელი რამდენ ობიექტს ჰქვია? არც ერთ დასახლებულ პუნქტს, არც ერთ რაიონს, არ გვაგონდება რომელიმე კოლმეურნეობას ან ქარხანას ერქვას მისი სახელი. ჩვენ გვყავლენ გამოჩენილი ადამიანები, რომელთა სახელები პირი-

ქით, ადგილთა სახელებიდან არის მიღებული. ამით ხომ ორი დიდება ერთ-განეთს შეეთვისა და უკვდავებას ეზიარა, ხოლო თვით გმირს კი საუკუნო ძეგლი დაედგა. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ერის ცხოვრებაში მომხდარი ამ-ბები ტეირად იწვევდა გეოგრაფიული სახელშოდებების ნაწილის აღვაძას ხალ-ხური მეტყველებიდან და მესიერებიდან. გაუქმებულ სახელებს წერილობი-თი ძეგლები ინახავდნენ, — იქნებოდა ეს მატიანე, გეოგრაფიული აღწერი-ლობა, რუკა, საბუთი თუ ტაძრის კედელში ამოკრილი წარწერა. უკანასკნელ საუკუნეებში კავკასიის ტერიტორიაზე ჩატარდა მსხვილმასშტაბიანი ტოპოგრა-ტიული აგეგმვები, რომელთაც აღმოჩენის რუკებზე ტოპონომების მნიშ-ვნელოვანი ნაწილი და არსებობა შეუნარჩუნეს ბევრ სახელშოდებას. ამას-თან, ქართული ენისა და სხვა კავკასიურ ენათა არცოდნის გამო ტოპოგრა-ტებმა ბევრი ტოპონიმი დამახინჯეს, უმართებულოდ გამოიყენეს ეს ობიექ-ტების მიმართ, ან გამოტოვეს. სათანადო მაგალითები ბევრი შეიძლება მოვიყვანოთ. ან კიდევ, საუკუნეების მნიშვნელზე თურქთა ბატონობის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე შერქმეული და დამახინჯებული გეოგრაფიული სახელ-წოდებები აისახა რუსების მიერ შედგენილ რუკებზე. ზოგი სახელშოდება ისე შეირყენა, რომ მისი სწორი გამოთვალი-დაწერილობის აღდგენა შე-უძლებელიც შეიქმნა ადგილობრივი აბორიგენი მოსახლეობის გამოკითხვის გარეშე. ჩვენი საზოგადოების მრავალი სამართლიანი მოთხოვნა გეოგრაფი-ული სახელშოდებების გასწორებისა და ძველი ქართული სახელშოდებების აღდგენის თაობაზე რჩებოდა „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“, რადგა-ნაც გეოგრაფიულ სახელშოდებებს არავითარი დაცვითი საშუალება არ ჰქონდათ. როდემდე უნდა ერქვათ ჩვენს დასახლებულ პუნქტებს ძველი ქარ-თული სახელშოდებების ნაცვლად როდიონოვა და ტრიოცე, ტამბოვე და ამბაროვე, ყიზილქილისა და თიქილისა, ტაშტიკულარი და ასანხოჭალი, ალამედლო და ალთაქალა, ინჯაოლი და ყარათიქანი, ფახრალო და დაღა-რუხლო, ყიზილაჭლო და უსეინქენლი, ქირაჩ-მულანლო და ხანგიგაზლო... ან, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ?! ასეთი სახელშოდებები ხომ ასეულობით შეიძლება მოიძებნოს და მათი შესაბამისი ქართული ძველი სახელები, რომლებიც ასე გავიმეტეთ. როდემდე უნდა იყოს საქართველოს ტოპონი-მები ასე აჭრელებული ნაირნაირი უცხო და ხშირ შემთხვევაში არაფრისმოქ-მელი სახელებით? ის კი არადა, ტოპონიმთა იურიდიული დაუცველობის გამო ბევრ შენარჩუნებულ სახელსაც საფრთხეს უქმნიან აფხაზეთსა და შიდა ქართლში... კარგად მახსოვს, 1970-1971 წლებში საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში ასეულობით განცხადება რომ იყო შესული იმის თაობაზე, მარნე-ულის ძველი სახელი აღგვიდგინეთო. განცხადებების ავტორებს ავიზუდებო-დათ, რომ ბორჩალო უძველესიდან მარნეულის სახელით იწოდე-ბოდა და მხოლოდ XIX საუკუნეში ბედის უკუღმართობით გადაერქვა საუკუნეებით გამოვლილ ძირძველ ქართულ აღილს სახელი. გაუკუღმართე-ბული სინამდვილის წარმოსადგენად კი განცხადებების ავტორებს, ზემოთ მოხ-სენიებული მ. ჩობანოვისთანა „პატრიოტები“ აქეზებდნენ. საბედნიეროდ, ძველი ქართული სახელშოდება მარნეული შევინარჩუნეთ; ეს ის ბედნიერი შემთხვევა იყო, როცა იმდროინდელ ცენტრალურ კომიტეტში აღმოჩნდნენ გეოგრაფიული სახელშოდებების დამცველები და ჩვენი დასკვნაც რეალიზე-ბულ იქნა.

ახლა აღვინშნოთ ის პირობები და საშუალებები, რითაც მოხდა საქარ-

თველოს ერთი რეგიონის, კერძოდ ქვემო ქართლის უძველესი ქართული გეოგრაფიული სახელწოდების ხელყოფა; რა გზები და საშუალებები არ-სებობს მათი გამოსწორებისა და რეაბილიტაციისათვის?

წარსულში საქართვლოს თითქმის არც ერთ მხარეს არ განუცდია იმ-დენი რბევა და გაჩანაგება, რაც ისტორიულმა ქვემო ქართლმა განიცადა. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ეს მხარე თავისი კულტურისა და ეკონომიკის განვითარებით ყოველთვის მეტინავეთა რიგებში იდგა. იგი ყოველთვის საქართველოს ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა. ყოველივე ეს დასტურდება ლიტერატურული და ისტორიული წყაროებით და იმ მა-ტერიალური და კულტურული ღირებულებით, რომლებიც ამ მხარეშია შე-მორჩენილი. აკადემიკის ნიკო ბერძენიშვილის სიტყვებს თუ გავიმეორებთ: „...ქართის კულტურის აკვანი აქ დაირწა, რომ ქვემო ქართლი არის არა მარტო ქრისტიანული (და ფეოდალური) საქართველოს მოწინავე მხარე, არამედ ქვემო ქართლშია სათავე აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი კულტურისა (ქართის კულტურისა)“. ისე როგორც საქართველოს სხვა აღ-მინისტრაციული ერთეულებისა, ქვემო ქართლის ანუ მეტინავე სადროშოს საზღვრები სწორად იყო გააზრებული და იგი ძირითადად ბუნებრივ მიჯ-ნებს ემორჩილებოდა. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ძველად არსებული აღმინისტრაციული დაყოფის ერთეულები შესანიშნავად იყო შეხამებული მის ადგილმდებარეობასთან, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საფუძველთან.

ძველთაგანვე ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ძირითადი მოსახლეობა ქართველები იყო და შესაბამისად გეოგრაფიული სახელწოდებებიც ქართული ყოფილა. რასაც ადასტურებს ის უამრავი ლიტერატურული და ისტო-რიული წყაროები, უცხოელ და ქართველ ავტორებს რომ შეუქმნიათ. მაგ-რამ, შემდგომში, განუწყვეტილი აოხრების გამო, მოსახლეობის ეროვნული და ეთნიკური შემადგენლობა თანდათან შეიცვალა. ქართველი მოსახლეობა დიდ ზემოქმედებას განიცდიდა გარეშე მტერთა შემოსევების გამო, რასაც ქვემო ქართლის მოსახლეობის შემდგომი შემცირება მოჰყვა. მოსახლეობის რაოდენობამ აქ განსაკუთრებით იყლო XVII საუკუნიდან და მინიმუმს XVIII საუკუნეში მიაღწია. ეს იყო შედეგი ოსმალთაგან და ყიზილბაშთაგან ხშირი დალაშქრისა და განსაკუთრებით ლექთა თარეშისა. მარი ბროსეს ცნობით, ოსმალთა ბატონობის ხანაში, სხვადასხვა ომსა და ბრძოლაში დაიღუპა 75 ათასი ქართველი, ხოლო ტყვედ წაიყვანეს 1500 ოჯახი. ერთ-ერთი ყველაზე უმძიმესი 1723-1747 წლები იყო. გარეშე მტრების ამ გამანადგურებელი მოქმედების შედეგად კულტურული მეურნეობა დაეცა და მცხოვრებთა რიცხვი კატასტროფულად შემცირდა. 1770 წლის საბუთის მიხედვით, სრულიად გაუკაცრიელებული ადგილების გვერდით ძალზე შემცირებული მო-სახლეობა იყო და ამიტომ აღწერის ცნობებში ისინი არ არის შეტანილი (თრიალეთი, ყაიყული, ტაშირი, გუჯარეთი, ივრისირი, სომხით-საბარათიანო). ერთ-ერთ საბუთში კი ნათქვამია, რომ სომხით-საბარათიანოში ასისგან ერთიღა არის დარჩენილი. სხვაგან კიდევ ძლიერ არსებობდა შეთხელებული მოსახლეობა. ამ განაპირობება მხარის განადგურება კი ქართლის სამეფოს სამ-ხრეთ საზღვარს საშიშროებას უქმნიდა. ქვეყანა საფრთხის წინაშე იდგა; ოს-მალობას ყიზილბაშობა ცვლიდა და, პირიქით. მდგომარეობა თანდათან მძიმ-დებოდა. ბევრ ადგილს ხდებოდა აყრა. ასე იქცა XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის ქვემო ქართლი თითქმის ნასოფლარებად.

დაუსახლებელმა ადგილებში, ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებში XIX საუკუნის მანძილზე განსაზღვრეს ქვემო ქართლის შევსება დასახლებული პუნქტებით და მისი მოსახლეობით. სწორედ ამ პერიოდში გაიმიჯნა ქართველ და არაქართველ მოსახლეთა დასახლება. ამასთან, ქართველი მოსახლეობის ნაწილი ადგილზევე შემორჩა, ხოლო ნაწილი ბრუნდებოდა თავიანთ მამა-პაპურ ადგილებში.

თურქული მოდგმის ხალხის გავრცელება ქვემო ქართლში მდინარე დებედას ქვემო ნაწილიდან იწყება XVII საუკუნეში რამდენიმე კომლის სახით, რომლებმაც შემდეგ მთელ ქვემო ქართლს გადაუარეს. ეს ის თურქული მოდგმის ხალხია, ქახეთიდან აყრილი და სპარსეთში ტყველ წაყვანილი ქართველების ნაცვლად რომ ჩამოგვისახლა შაპაბაზმა. ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვებით რომ ვთქვათ: „...ოდეს მიუხუნა შააბაზ პე (85) და მეფეს გიორგის (გიორგი სიმონის ძე, ქართლის მეფე 1600-1605 წწ.), მან მოიყვანა ელნი ბორჩალუ და დასხნა აქა, და ამით ეწოდა ბორჩალუ“ . ამ ტომის ხალხის გავრცელებამ განსაკუთრებით იმატა XVIII საუკუნეში, ხოლო შემდგომ მთელ ქვემო ქართლს მოედვნენ.

სომეხი მოსახლეობის გამოჩენა ქვემო ქართლში უძველეს პერიოდს მიმკუთვნება. როგორც ივანე ჯავახიშვილმა გამოარკვია, სომხური მოსახლეობის შემოღწევა აქ რამდენიმე მიგრაციული ტალღით ხორციელდებოდა, მაგრამ მთელი ეს მოსახლეობა XVII-XVIII საუკუნეებში, განუწყვეტელი შემოსვებისა და ლეკიანობის შედეგად, აბორიგენ ქართველ მოსახლეობასთან ერთად ამომწყდარა. უფრო გვიან, სომეხი მოსახლეობა აქ მხოლოდ XVIII საუკუნის დასასრულს სახლდება ერეკლე მეფის ნებართვით. სომხური მოსახლეობა ქვემო ქართლში მატულობს 1827-1828 წლებში და შემდგომ პერიოდში რუსეთის მთავრობის ხელშეწყობით.

XIX საუკუნის დასაწყისში, კერძოდ, 1818 წელს საქართველოში ჩამდის გერმანელთა ერთი ჯგუფი, რომლებიც სახლდებიან აგრეთვე ქვემო ქართლში; მათ შორის დღევანდელი ქ. ბოლნისის ტერიტორიაზე, ასურეთში, ქოთიშში, მანგლისში, თეთრიწყაროში, კიროვისში, თამარისში, თრიალეთში, ოლიანგში და სხვა. მეფის მთავრობამ გერმანელები არა თუ დაასახლა, არა-მედ მათი მეურნეობის მოსაწყობად საგანგებო ზომებიც მიიღო.

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე დასახლდნენ ბერძნებიც. საერთოდ, ბერძნების მოსვლა ქვემო ქართლში დაკავშირებული იყო სამთამაღნო საზუშაოების აღმოჩენისათვან. ამ მხარეში გამოცდილი ანატოლიელი ბერძნები მოიწვიეს XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. ბერძნები საქართველოში მოდიოდნენ XIX საუკუნის პირველ მეოთხედში წარმოებული ბერძნებურქთა და რუსეთ-თურქეთის ომების დროს (1828-1829 წწ.). სწორედ ამ დროს ჩასახლდა ქვემო ქართლში ბერძნთა უმრავლესობა, რომლებიც ძირითადად თურქულენოვანი მოსახლეობა იყო. გარდა ამისა, ბერძნები ქვემო ქართლში XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც დასახლდნენ.

XIX საუკუნეში დასახლდნენ ქვემო ქართლში აგრეთვე რუსები; ჯერ წარმოიშვა სამხედრო დასახლებები, ხოლო შემდეგ ბევრი მათგანი მუდმივ საცხოვრებლად დარჩა. ისინი განლაგებული იყვნენ თეთრიწყაროში, მანგლისში, ორბეთში და სხვა. გარდა ამისა, რამდენიმე პუნქტში დასახლდნენ რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებიდან მოსული რუსი სექტანტები.

ზემოთ აღნიშნული მიზეზებისა გამო დაგიწყებას მიეცა ქვემო ქართლის



ბევრი ძველი ქართული ტოპონიმი და მათ ნაცვლად შესაბამისად მოედო თურქული, სომხური, გერმანული, რუსული და სხვა სახელები. მართლია, ზოგი სახელწოდება (გერმანული, რუსული, თურქული) შევცვალეთ ძველი ქართული სახელით, მაგრამ უმთავრესად უმართებულოდ მივაკუთხნეთ სხვა პუნქტების სახელები. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ღონისძიებებისაგან მიღებული ეფექტი ზოგაში წვეთია. თურქულენოვანმა ტოპონიმებმა, ქართული სახელწოდებების ხარჯზე, წალეკა ქვემო ქართლი. აქ, მარტო თურქულენოვანი ოკონიმების (დასახლებული პუნქტების) სახელწოდებათა რაოდენობა 60 პროცენტს აჭარბებს. თუ აშერბაძანში, სინგილოს ქართულ მოსახლეობას თვალსა და ხელს შეუ უქრობენ მამა-პატურ ძირძველ ტოპონიმებს, ჩვენ ხომ საამისო მსგავსი არა გვჭირს რა; ლაპარაკია სახელწოდებების აღდგენასა და გასწორებაზე; მაში, რისი, ან ვისი გვერიდება?...

ორ ათეულ წელზე მეტია საქართველოსა და საბჭოთა კავშირის რიგ არ-ქივებში გამოვლენილი ქართული და არაქართული უამრავი ჩანაწერების, სხვადასხვა საუკუნეების ისტორიული საბუთების, სიგელ-გუგრების, ნარატიული წყაროებით, უცხოელი მოგზაურების ჩანაწერებით, ასეულობით კარტოგრაფიული წყაროებით, აგრეთვე საველე მოპოვებული მასალების საფუძველზე შესრულდა ძველი ქართული ტოპონიმების მეცნიერული ლოკალიზაცია; სამწუხაროდ, ადგილის შეზღუდულობის გამო თითოეულ გეოგრაფიულ სახელწოდებაზე ნაკვლევი მასალა აქ შეუძლებელია გაღმოიცეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა გამო ისმის კითხვა — როდემდე უნდა დარჩეს საზოგადოების სამართლიანი მოთხოვნა პრაქტიკულად განუხორციელებელი?.. წავიდა ავადმოსაგონარი წლები, საქმიანი ხანია გავნთავისუფლდით ვოლუნტარიზმისა და უძრაობის პერიოდისაგან. ღლეს დემოკრატიისა და გარდაქმნის პერიოდში დიდი იმედები გვაქვს წარსულში დაშვებული შეცდომების გასწორებისა. თუ გვინდა ამჭერადაც ავტორიტეტი არ შეგველა-ხოს, მომავალში ეს პერიოდიც ავად არ მოიგონონ, მოვახდინოთ ტოპონიმთა რეაბილიტაცია და მათ იურიდიული სტატუსი მივანიჭოთ.

ჩედაშცდისაბან: საქართველოს სსრ შეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატის კობა ხარაძის წერილში მარაგალი საყურადღებო პრობლემა დასმული, რომელიც ქეროვან სამრთლებრივ მოწესრიგებას მოითხოვენ. სახელით ვიზიარებთ ავტორის პოზიციას. ქრძოლ, იმას რომ ტოპონიმები, როგორც ერთს ისტორიის ორგანული ნაწილი და ციფლიზაციის ძეგლები არ შეიძლება იქცნენ ვოთნებობის საგანდ. სამწუხაროდ, დღემდე არ მოგვეპოვება მათი დაცვის, შეცვლის თუ აღდგენის მომწერლიველი ზოგადი წესები. ქართველმა იურისტებმა, თავის დროზე, ხათანალი წვლილი შეიტანეს ისტორიული ძეგლების სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფითი ნორმების შექმნაში. ქართული სამართლებოების შედეგები სხვა მოქადაგებრივ ჩემპიონების კანონმდებლობამაც გაიზიარა. კობა ხარაძის წერილს რედაქცია აქცენტებს განხილვის წესით და თხოვს საქართველოს მეცნიერდა პრაქტიკოს იურისტებს, მოგვაწოდონ თავიანთი მოსახურებები ტოპონიმების დაცვის მყარი სამართლებრივი მექანიზმის ჩამოსაყალიბებლად.

მართლმსაჯულება მხოლოდ ქართულად

საქართველოს სახელმწიფო ენა ქართულია და იგი ჩვენი კონსტიტუციის 75-ე მუხლითაა განმტკიცებული. ეს ნორმა შეტანილია, აგრეთვე, საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსიში, რომლებითაც დადგენილია, რომ სამართალწარმოება საქართველოში ხორციელდება ქართულ ენაზე. სამწუხაროდ, კანონის ეს მოთხოვნა საქართველოს სამართალწარმოებაში ყველგან არ არის დაცული, ახალქალაქში, ბოგდანოვკაში, მარნეულში, წალკაში, ბოლნიში, გარდაბანში და ზოგიერთ სხვა რაიონებში მართლმსაჯულება რუსულია. თუმცა, პერიფერიებზე რა უნდა ვთქვათ, როდესაც თვით დედაქალაქში, გლდანისა და 26 კომისარის რაიონების სასამართლოებში ახორციელდებინ მართლმსაჯულებას რუსულად! ჩვენის აზრით, ეს ყოვლად დაუშვებელია! მაგრამ შეგნებულად არაფერს ვამბობთ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე, სადაც, როგორც წესი, მართლმსაჯულება რუსულ ენაზე ხორციელდება.

დიდი ილია, საქართველოს სახელმწიფო წყობილების პროექტს რომ წერდა, სპეციალურად უსვამდა ხაზს ქართულ მართლმსაჯულებას. და ქართულ მოსამართლეობას.

არავინ უარყოფს და ბუნებრივი იქნება, თუ მართლმსაჯულებას საქართველოში განახორციელებს რუსი, ქურთი, თათარი, სომეხი, ბერძენი ან ოსი მოსამართლე, მაგრამ მთავარია იგი ქართულ ენაზე მიმღინარეობდეს და არა რუსულად.

დიახ, საქართველოში მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა წარმოებდეს მართლმსაჯულება, რადგან იგი უპირველესად კონსტიტუციური მოთხოვნაა, სახელმწიფო ენის დაცვის პრინციპია და მისი უარყოფა ყოველთვის დანაშაულის ტოლფასად უნდა შეფასდეს.

ხომ ფაქტია, რომ საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოშიც ახორციელებენ ქართულ მართლმსაჯულებას რუსი, თათარი, სომეხი თუ ოსი მოსამართლები, მაგრამ ისინი მხოლოდ ქართულად წერენ მასალებს და ამ მხრივ არც ჰქონიათ როდისმე რაიმე პრეტენზია.

ერთი სიტყვით, საქართველოში მართლმსაჯულება უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ ქართულ ენაზე. ეს უნდა იყოს უპირველესი ქვაკუთხედი ყველასათვის, ვინც მართლმსაჯულებას ემსახურება, სწორედ ამ ნიშნით უნდა შეირჩნენ მოსამართლეები მოახლოებული არჩევნების დროს. მართალია ეს იქნება ერთი წვეთი ჩვენი ბედგამწარებული საქართველოსათვის, მისი მომავლისათვის, მაგრამ მაინც ნიშანდობლივი და მისასალმებელი.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის მმასწინანდელ
დადგენილებაში იყო კიდეც მინიშნებული ამ საკითხზე, რაც თავისთავად მასწავლებელთა უნდა გადაწყვეტოს. (მით უფრო, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ადრე, თვით კოლეგიის დადგენილებებსაც კი რუსულად ვიღებდით), მაგრამ მანც არასაკმარისად გვეჩვენება. დღეს სწორედ იუსტიციის სამინისტრომ უნდა გადაწყვეტოს ჩვენს მიერ დაყენებული საკითხი ქმედითად, ეს მისი პირდაპირი მოვალეობაა. ინტერნაციონალიზმის პრინციპით მოსამართლეთა არჩევის დრო კარგახანია ისტორიას ჩაბარდა.

იქნებ ამ წერილის დაწერა ჩემთვის უხერხულიც იყოს, რადგან მე თვითონ მოსამართლე ვარ, მაგრამ ამდენმა „უხერხულობამ“ და სხვათა განაწყენების შიშმა რა დღეშიც ჩაგვაგდო, ყველას კარგად მოეხსენება. მე კი მგონია, რომ ჩემს მოდგმას ამ მხრივაც ძალიან უჭირს, ამიტომ „ჩინიანმაც“ და „უჩინომაც“, რიგითმაც და თანამდებობის პირზაც ერის სატკივარი უნდა გავიხადოთ ცხოვრების უპირველეს საზრუნავად.

ერთ პატარა მაგალითსაც მოვიყვან: მცხეთის სახალხო სასამართლო ქსნის ორ შრომა-გასწორების კოლონის ემსახურება. როგორც წესი, კოლონიებიდან საქმეები და წარდგინებები ყოველთვის მხოლოდ რუსულ ენაზე შემოდიოდა. 1989 წლის მარტიდან კი ქართული შრიფტით დაწერილი საქმეები მოდის. დიახ, ორი შრომა-გასწორების კოლონია ქართულ წარმოებაზე გადავიდა. მართალია, ეს წვეთია ზღვაში, მაგრამ ყველამ რომ თითო წვეთი სასარგებლო საქმე ვაკეთოთ ჩვენი გამწარებული ერისათვის, ალბათ ქვეყნას სასიკეთოდ წაადგება.

გერეა პაცორი,

მცხეთის რაიონის სახალხო მოსამართლე.

შილდი ჰერხელიანი

თინათინ წერეთელი

გვარი თავი

მეცნიერული კვლევის შეთოდისა

1. თ. წერეთლის მეცნიერული ინტერესების სფერო სამართლის მეცნიერების სამ მთავარ დარგს მოიცავდა — სამართლის თეორიას, სამოქალაქო სამართალსა და სისხლის სამართალს.

მართალია, თ. წერეთლის გამოკვლევები მიძღვნილია უშუალოდ სისხლის სამართლის პრობლემებისადმი, მაგრამ მათი განხილვა ორგანულად დაკავშირებულია სამართლის თეორიასა და სამოქალაქო სამართლის საკვანძო საკითხებთან. საფუძვლიან ცოდნას ამჟღანებდა იგი აგრეთვე ფილოსოფიასა და ფიქოლოგიაში. თ. წერეთლის ერთერთი პირველი ნაშრომის შესახებ ცნობილი ფილოსოფოსი კ. ბაქრაძე წერდა: „ასეთი ნაშრომის ავტორი დასახული ამოცანის გადაწყვეტისათვის თავისუფლად უნდა ურკვეოდეს ფილოსოფიურ, კერძოდ, მრავალრიცხვან თეორიულ-შემეცნებით მიმართულებებში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ავტორი თავისი ამოცანის სიმაღლეზე აღმოჩნდა: სოლიდურმა ფილოსოფი-

ურმა განათლებამ, კრიტიკული ანალიზის უნარმა და აზროვნების მკაცრმა თანამიმდევრობამ შესაძლებლობა მისცა თ. წერეთელს შეექმნა კარგი, ფილოსოფიური მხრივ დასაბუთებული ნაშრომი“. საერთოდ კი, თ. წერეთელს ემარჯვებოდა საკვლევი პრობლემის სხვადასხვა ასპექტში განხილვა და ნათელი ჩვენება იმისა, თუ რამდენად ნაყოფიერია სამართლის მეცნიერების თანამშრომლობა მეცნიერების სხვა დარგებთან.

თ. წერეთლის ბუნებრივი ნიჭი, ძლიერი ნებისყოფა, ლოგიკური აზროვნებისა და საკითხის არსები ჩაწერდომის უნარი, ფართო განსწავლულობა განაპირობებდა მის მეცნიერულ გამბედაობას. იგი სულაც არ ერიდებოდა პრობლემის სირთულეს, პირიქით, ასეთი სირთულე უფრო იზიდავდა. ამავე დროს, თ. წერეთელი მეტად ფრთხილი და უაღრესად მომთხოვნი იყო საკუთარი თავისადმი. იგი ნაშრომს საკვლევი პრობლემის მხოლოდ ღრმად და ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ აქვეყ-

¹ თ. წერეთელი სამოქალაქო სამართლის კურსს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ისიც ნიშანდობლივად, რომ თ. წერეთელი იყო თვეიცალური ოპონენტი სამართლის თეორიას (პროფ. გ. ინწყირველი) და სამოქალაქო სამართალში (პროფ. ს. ჯორბენაძე) სადოქტორო ხარისხების მოსაპოვებლად წარდგნილ დისერტაციებში.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. უურნ. „სახელმწიფო და სამართლი“, 1990, № 1-3.

წებდა. თ. წერეთელი იმ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნობდა, რომლებიც გამო-ირჩევიან არა ნაშრომთა რაოდენობი-თა თუ მოცულობით, არამედ პრობლე-მის შემოქმედებითი გადაწყვეტით.

თ. წერეთელს ღრმად ქონდა შეგ-ნებლი ის გარემოება, რომ სწავლუ-ლი იურისტი არ შეიძლება იყოს მხო-ლოდ თეორეტიკოსი, რომლისთვისაც განყენებულ ლოგიკურ კონსტრუქცი-ებს თავისთვადი ლირებულება აქვთ. იურიდიულ კონსტრუქციებს მხოლოდ მაშინ აქვთ აზრი და მნიშვნელობა, რო-ცა ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირე-ბულნი ცხოვრებასთან, სოციალურ პრაქტიკასთან. თ. წერეთელი აქტიუ-რად მონაწილეობდა უმნიშვნელოვანე-სი საკინომდებლო აქტების პროექტე-ბის მომზადებასა და განხილვაში. სა-ქართველოს სსრ 1960 წ. სისხლის სა-მართლის კოდექსის პროექტის მომზა-დებასთან დაკავშირებით თ. წერეთელ-მა რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა იმ ინსტიტუტების განხილვას, რომელთა მოწესრიგების შესახებ სწავლული იუ-რისტები სრულიად განსხვავებულ თვალსაზრისის იცავდნენ. მისი მონაწი-ლეობითა და ხელმძღვანელობით 1976 წელს გამოიცა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის კომენტარები², ხოლო 1980 წელს რეს-პუბლიკის სისხლის სამართლის კოდექ-სის განსაკუთრებული ნაწილის მესამე თავის (დანაშაული პიროვნების წი-ნააღმდეგ) სამეცნიერო პრაქტიკული კომენტარი³.

დაბოლოს, თ. წერეთელი თავის გა-მოკვლევებში ითვალისწინებდა ეთიკურ მომენტს და ცდილობდა ისე ჩამოეყა-

ლიბებინა მეცნიერული დებულებები, რომ ნათლად წარმოეჩინა ზეობრივი ასპექტები.

2. მეცნიერული მუშაობის მეთოდიების სწორად შერჩევა ბევრად განსაზღვრავს სწავლულის შემოქმედებით წარმატე-ბებს. ამ მეთოდიების გამორკვევა კი შეუძლებელია მხოლოდ გამოქვეყნე-ბული ნაშრომების საფუძველზე. მეც-ნიერის შემოქმედებითი ლაბორატორია ხელმიუწვდომელია მკითხველისათვის. ამ შემთხვევებაში უსათუოდ დიდი მნიშ-ვნელობა აქვს იმ პირის დაკვირვებებ-სა და შთაბეჭდილებებს, რომელიც ამ ლაბორატორიის უშუალო მხილველი და მეთვალყურე იყო. ჩვენდა საბედ-ნიეროდ, ასეთი პირი არსებობდა. ეს იყო თ. წერეთლის მეუღლე ვ. მაყა-შვილი. თანაც ვ. მაყაშვილი სწორედ იმ დარგში მუშაობდა, რომელსაც მთე-ლი სიცოცხლე შესწირა თ. წერეთელ-მა. ამიტომ მე ვთხოვე ვ. მაყაშვილს მისეული შთაბეჭდილებები მოეთხრო. სხვათაშორის, შემდგომში მან ამის შესახებ წერილი გამოაქვეყნა⁴.

თ. წერეთელს ყოველთვის იზიდავდა ყველაზე ზოგადი, ძირითადი პრობლე-მები, რომლებიც ხანგრძლივი ისტორი-ით გამოიჩინებონ. ამიტომ მისთვის ლიტერატურული წყაროების შესწავ-ლა პრობლემის დამუშავების საწყისი და თანაც მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. მას აუცილებლად მიაჩნდა დეტალუ-რად, ღრმად, შეძლებისდაგვარად ამო-მწურავი სისრულით შეესწავლა საბჭო-ური და რევოლუციამდელი ლიტერა-ტურა, აგრეთვე უცხოური წყაროები. თ. წერეთელი ხშირად თარგმნიდა უც-

2 იხ.; საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კომენტარები (ნაწილი პირველი, ავტორები: ა. გაბარი, ვ. მაყაშვილი, გ. ტყეშელიაძე, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე). რედაქტორები: თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე. თბილისი, 1976 წ.

3 იხ.; ვ. მაყაშვილი, გ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე. დანაშაული პიროვნე-ბის წინააღმდეგ (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი, თბილისი, 1980).

4 იხ.: მაკაშვილი ვ. გ., Несколько слов о Тинатине, «Уголовно-правовые исследования», Сборник, посвященный 80-летию со дня рождения Т. В. Церетели, Тбилиси, 1987, с. 143.

ხოელ აგტორთა უცელაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებებს.

თ. წერეთელს საერთოდ შეტან იჰი-დავდა რუსულიდან ქართულად ან უცხოურ ენებზე, კერძოდ გერმანულ და ფრანგულ ენებზე გამოქვეყნებული ნაშრომების რუსულ ან ქართულ ენებზე თარგმნა, თარგმნიდა ლალად და თავისუფლად. ზოგიერთი მისი თარგმნი გამოქვეყნებულია კიდეც. 1931 წელს ქართულ ენაზე გამოქვეყნდა მის მიერ რუსულიდან თარგმნილი ე. პაშუკანისის წიგნი „სამართლის ზოგადი თეორია და მარქსიზმი“. 30-იან და 40-იან წლებში ქართულად გამოიცა თ. წერეთლის მიერ ასევე რუსულიდან თარგმნილი სამოქალაქო სამართლის სახელმძღვანელოები. დროის მოგების მიზნით ხშირად კარნახობდა სახელდახელოდ, წინასწარ მოუმზადებლად. ბევრს თარგმნიდა გერმანულიდან, რადგან გერმანელი სწავლულები გამოიჩინიან თეორიულ და დოგმატიკურ იურისტრუდენციაში. შედარებით უფრო იშვიათად თარგმნიდა ფრანგულიდან. ამ ენაზე მას შეეძლო თავისუფლად ესაუბრა.

პრობლემის დამუშავებისას თ. წერეთელი ჩვეულებრივად თარგმნიდა მთელ მონოგრაფიებს, ხოლო ზოგჯერ ცალკეულ პარაგრაფებს და ა. შ. იგი იშვიათად ამოწერდა ცალკეულ დებულებას. რასაკირველია, ასეთი თარგმანები ხელს უწყობდა არა მარტო დეტალურად წარმოედგინა პრობლემა, არამედ იმავდროულად სტიმულს აძლევდა მის კრიტიკულ-შემოქმედებით აზროვნებას, საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბებას. ასეთი მუშაობის შედეგად თ. წერეთლის არქივში დიდი რაოდენობით დაგროვდა უცხოელ კრიმინალისტთა ნაშრომების თარგმანები. ეს მასალები ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნა-წერთა ინსტიტუტის მისეულ ფონდშია დაცული.

ლიტერატურული წყაროებისადამშე შავების შემდეგ თ. წერეთელი საძიებელ საკითხს ფილოსოფიური და ფილოლოგიური თვალსაზრისებით სწავლობდა. პარალელურად ამუშავებდა უპირატესად გამოქვეყნებულ სასამართლო პრაქტიკას. ეს კი მას შესაძლებლობას აძლევდა გმორერკვია ის სიძნელეები, რომლებსაც ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას განიცდიდა სასამართლო პრაქტიკა. გარდა ამისა, სასამართლო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე თ. წერეთლის წინაშე წამოიჭრებოდა სრულიად ახალი საკითხები, რომლებიც თეორიულ გააზრებასა და დასაბუთებას მოითხოვდნენ. ამით მთავრდებოდა მეცნიერული კვლევა-ძიების პირველი ეტაპი.

რაյი ცოდნით შეიარაღდებოდა და ღრმად ჩაწვდებოდა პრობლემის არსს, თ. წერეთელი იწყებდა თავად ნაშრომის წერის. უკვე პირველსავე ეტაპზე ჩამოყალიბებული იდეები ხშირად ქმნიდა საძიებელი საკითხების თავისებურად გააზრების პერსექტივას. რასაკირველია, ნაშრომის წერის პროცესში ბევრი რამ იცვლებოდა, ზოგჯერ არსებითადაც კი, წარმოიშობოდა აბალი იდეები. წერდა ძალიან თავისუფლად, სწრაფად, ამბობდა, რომ მთვარია წერა დაიწყოს და შემდეგ საქმე იეწყობათ. ხშირად ცვლილა დაწერილს, ადვილად შეელეოდა მას, თუ მიიჩნევდა, რომ შეეძლო ლოგიკურად, უფრო სრულყოფილად გადმოეცა თავისი აზრები. თ. წერეთელი დიდად ზრუნავდა ნაშრომის სტილზე, შესანიშნავად ფლობდა და წერის უნარს. წერდა მარტივად, ყოველგვარი შელამაზების გარეშე. მის მიერ დაწერილი არასდროს არ მოითხოვდა მნიშვნელოვან რედაქციულ ჩასწორებებს.

როდესაც თ. წერეთლისათვის დამახსიათებელ კვლევა-ძიების თავისებურებას გახსაითებთ, უსათუოდ სათვალავში უნდა ვიქონით ერთი უაღრე-

სად მნიშვნელოვანი გარემოება: საქმე ეხება თ. წერეთლისა და ვ. მაყაშვილის შემოქმედებით თანამშრომლობას. ეს თანამშრომლობა ნახევარ საუკუნეზე მეტანს გაგრძელდა. უპირველეს ყოვლისა, მათი შემოქმედებითი თანამეგობრობა გასაოცრად მტკიცე იყო. რა ნაშრომზეც არ უნდა ემუშავა თითოეულს, მეორე უსათუოდ რაიმე ფორმით მონაწილეობდა მის შექმნაში, თანაც ასეთი ერთობლივი მონაწილეობის ინტენსიონის ხასიათი და ფორმები სხვადასხვა იყო. ზოგჯერ ისინი ერთობლივად ამუშავებდნენ რაიმე საკითხს და შემდეგ თანავტორებად გვევლინებოდნენ. ასეთ შემთხვევაში ისინი საკითხს დაანაწილებდნენ და თითოეული დამოუკიდებლად მუშაობდა. შემდეგ ამ ნაწილებს ერთიან ნაშრომად აერთიანებდნენ. მართალია, სტილი მათ განსხვავებული ქონდათ, არც ლიტერატურული გემოვნება ქონდათ ერთნაირი, მაგრამ დავის, ურთიერთდამობისა და შეთანხმების შემდეგ იქმნებოდა საბოლოო ტექსტი, რომელიც ცოტად თუ ბევრად აქმაყოფილებდა ორთავეს როგორც შინაარსის ისე ფორმის მხრივ. მათი თანამშრომლობა სხვა შემთხვევაში იმით გამოიხატებოდა, რომ თავდაპირველად სტატიას ერთ-ერთი მოხაზვდა, ხოლო შემდეგ მეორე შეუღებობდა მის დახვეწასა და დაზუსტებას. ამის შემდეგ კი ისინი ერთად ჩამოაყალიბებდნენ ნაშრომის საბოლოო რედაქციას.

თ. წერეთლისა და ვ. მაყაშვილის ერთობლივ მეცნიერულ მუშაობას, ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა ისინი თანავტორები იყვნენ თუ დამოუკიდებელი ავტორები, ახასიათებდა გასაკეთებლის წინასწარ განხილვა, ურთიერთქონტროლი ნაშრომის დაწერის პროცესში.

თუ ისინი მონაწილეობდნენ რაიმე დიდსა და ხანგრძლივ ღონისძიებაში, მაშინ მათი თანამშრომლობა უფრო

რთულ ხასიათს ღებულობდა. ცენტრული იღება ნათელვყოთ საქართველოს სსრ 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემმუშავებელ კომისიაში მათი მონაწილეობის მაგალითზე.

ხსნებულ კომისიაში სწავლულთაგან მხოლოდ თ. წერეთლი და ვ. მაყაშვილი მონაწილეობდნენ. ბუნებრივია, ამის გამო ისინი მიისწრაფოდნენ დასაბუთებული სიახლენი შეეტანათ პროექტში. თ. წერეთლს, ვ. მაყაშვილსა და კომისიის დანარჩენს წევრებს შორის კარგი, საქმიანი ურთიერთობა დამყარდა. მათ შეძლეს კოდექსის პროექტში მრავალი, თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით დასაბუთებული ნორმების შეტანა.

თ. წერეთლისა და ვ. მაყაშვილის მონაწილეობის ხარისხი და აქტიურობა სხვადასხვა იყო პროექტზე მუშაობისას. დიდი დატვირთვის გამო თ. წერეთლმა დასაწყისში ვერ შესძლო ინტენსიურად ემუშავა პროექტზე, ამიტომ თავდაპირველად მუხლების პროექტებს ადგენდა ვ. მაყაშვილი, რის შესახებაც საქმის კურსში შეყვდა თ. წერეთლი. კომისიის სხდომაზე ისინი ჩვეულებრივად საერთო პოზიციას იცავდნენ, ერთი ორი გამონაკლისის გარდა, როდესაც მათი შეხედულებები განსხვავებული იყო. ასევე სოლიდარულად გამოვიდნენ ისინი 1959 წელს კონფერენციაზე, რომელიც თბილიში გაიმართა და ამიტომ კომისიას რესპუბლიკების სხვადასხვა კოდექსების პროექტების განხილვას მიეღვნა. განსაკუთრებით ცასრე დებატები გაიმართა ისისხლის სამართლის სეკციაში, სადაც ძირითადი მომხსენებლები იყვნენ თ. წერეთლი და ვ. მაყაშვილი. კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ თ. წერეთლმა, შეაჯმა გაწეული მუშაობის შედეგები. ამ მომენტიდან თ. წერეთლის როლი კიდევ უფრო ამაღლდა. იგი რამდენჯერმე გაემგზავრა მოსკოვში, სადაც

სასრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ შექმნილ კომისიაში ასაბუთებდა ორესპუბლიკის კოდექსის პროექტში შეტანილ ნოველებს. აქ კ. მაყაშვილის როლი შედარებით უფრო პასიური იყო და უპირატესად გამოიჩატებოდა ახალი აღგუმენტების გამონახვაში.

ეს მაგალითი კარგად გვიჩვენებს, თუ როგორ ღებულობდა თ. წერეთლისა და

გ. მაყაშვილის შემოქმედებით თანამდებობა სხვადასხვა ფორმას და როგორ ნაწილდებოდა ფუნქციები ერთ და იგივე პრობლემის ფარგლებში. მაგრამ ყველა შემთხვევაში უცვლელი იყო ერთი მომენტი — ისინი ყველა საკითხს ერთობლივად განიხილავდნენ, ერთმანეთს მხარს უჭერდნენ როგორც ინტელექტუალურად ისე მორალურად.

(გაგრძელება ზემდეგ ნომერში).

ცა
ოც
ოც
ოც

ხსრ) 365

მადლივრების პრანობით

წელიწადნახევარი გავიდა იმ ავადმოსაგონარი ღლიდან, როცა სრულიად მოულოდნელად, 57 წლი სასაქმ, გარდაცვალა გალის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე რუბენ დოროთეს ჲ სიგინავა. აქაური მშრომელები, სრულიად საქართველოს იურიდიული საზოგადოებრიობა, ღლესაც მაღლიერების გრძნობით იგნორებ გულისხმიერი, თავმდაბალი, თემიდას ერთგული მსახურისა და პროფესიონალი იურისტის, ბატონ რუბენის ნათელით მოსილ სახელს....

საშუალო კეოლა შშობლიურ გალშმ დამთავრა. სწორლას მოწყურებული ჭაბუქი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურიდიულ ფაკულტეტზე აზრების მეტნიერების დაუფლებას. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გამოიჩნა თავი როგორც ბეჭითმა, უნარიანმა და აქტიურმა ახალგაზრდამ. დიპლომმ მიღლო თუ არა უყოყმანოდ რაობნს მიაშერა.

30 წლის იყო ბატონი რუბენი, როცა რაიონის პროკურორობა ანდეს. აქ მთელი სისრულით გამოვლინდა მისი ერუდიცია, პროფესიული ოსტატობა და ადამიანური თვისებები, ამიტომ იყო, რომ შემდევ იგი რაიონის მშრომელებმა სახალხო სასამართლოს თავმჯდომარედ აირჩიეს. 15 წელიწადი იმუშავა ამ თანამდებობაზე. ამ ხნის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა მართლმასაჭულებას. მას ყველა პატივს სცემდა როგორც პატიოსან, კაცომოვარესა და შემართულ პიროვნებას. რ. სიგინავამ დიდი წვლილი შეიტანა რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებს ამოცანათა რეალიზაციის საქმეში.

სამართალდამცაც ორგანიზაცია ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მინიჭებული ჰქონდა აფხაზეთის ასსრ დამსახურებული იურისტის წოდება, დაჯილდოებული იყო მედლებით.

იდრე, ძალიან ადრე წავიდა ჩვენგან ღირსეული პიროვნება. მისი სახელი დაუკითხარი იქნება მათოვის, ვინც მას იცნობდა, ვისაც მასთან ურთიერთობისა და მუშაობის ბეჭითება განუცდა.

კობი ნარგანია.

დაუგიშვარი მასშაბლებელი და მეზობარი

რამდენიმე თვეა სასულეთის ნათელი გზით გავაცილეთ ცნობილი ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალექსი რძაბეგიძე.

დიდი გულისტყივილით გამოხტოვა ბატონ ალექსის ეროვნული ტრადიციების ცენტრის კოლეგივი და მასთან აჩვებული „ქართული ხალხური სამართლის“ შემსწავლელი იურისტ-ეთნოგრაფთა ჯგუფი, რომლებიც მოკრძალებით ხრიან თავს მისი საუკუნო განსაკუნძულის წინ.

ალექსი რობაჭიძე ბრძანდებოდა იმ სამეცნიერო უკრედის ხელმძღვანელი, რომელმაც ე. წ. „მავნე ტრადიციების“ წინამდებეგ „საბრძოლველოდ“ გადასრულილი მახვილი შებრუნვებულად იპყრა და ჩხვლეტისა თუ ძიგვის ნაცვლად, ფართო მეცნიერული პროგრამა დასახა ეროვნული ტრადიციების, მათი გენზისის, ტრანსფორმაციის მიზეზებისა და დაცვის სამედო მექანიზმის შესაქმნელად.

ეს ლიტონი სიტყვები როდია: თქმულის დასტურად ყველას შეუძლია იხილოს ათეულობით პირველასრისხოვანი წიგნები „თანამედროვეობა და ტრადიციის“ სერიით გამოცემული.

ბატონი ალექსი ბრძანდებოდა პირველთავანი, რომელიც ისე ელაციებოდა და იცავდა ეროვნულ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს, როგორც მთელი საქართველო — მშობლიურ ენსა.

ცუდ დროს უმუხოლა არსაგანმრიგე — როცა ირიქაუა და ახალი გადასახედიდან ამობრუწყინდა ქართველი კაცის იერსახის განმსაზღვრელი ეროვნული ტრადიციების კვლევის პერსექტივები, როცა დადგა პრაქტიკულად იმის კეთების დრო, თუ როგორ დაედოს ისინი საფუძვლად ქართველთა განწმენდილ წერილსა და სხვა სოციალურ ნობეგძეს.

განსუაზღვრელი იყო ძირითადი მასწავლებლის ამაგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში „ქართული ხალხური სამართლის“ შემსწავლელი სამეცნიერო უკრედის შექმნაში. სწორედ მან დაუსახა მიზნად აქ თავმოყრილ იურისტ-ეთნოგრაფებს, ჯერ კიდევ ხალხში განვითარებული უნიკალური მასალის შეკრება-შესწოვლის საშურობა. იგი იმთავითვე იზარებდა იმის შესაძლებლობას, რომ ქართველი კაცის სამართლებრივი ნააზრევი პირველასრისხოვან სამართლის წყაროდ შეიძლებოდა გამოღვიძებლობის გზაზე შემდგარ საქართველოს კანონშემოქმედებას. ასევე სწორუპოვარ მასალას მიაწოდებდა შედარებით იურისპრუდენციას მსოფლიოს მასზებათ.

ეთნოგრაფიული მეცნიერების ორი თაობის მიჯნაზე მდგომი, სხვათაგან განსხვავებული, ლრმად ერუდირებული და ფართო დიაპაზონის მკვლევარი იმ დროს გამოეცალა ღვიძლ საქმეს, როცა მოცეკვლის თქმისამებრ: „სამეცნიერო ფრიად არს, ხოლო მუშაკი მცირედ“.

ძვირფასო მოძღვარო! სასულეთისაკენ გზანათელით მიმავალს, გვინდა ფიცივით დაგადევნოთ: ტრადიციების ცენტრი და მასთან აჩსებული „ქართული ხალხური სამართლის“ შემსწავლელი უჭრედი, კვლავაც ივლის თქვენს მიერ გაწალდილი გზით. თქვენს ნაღვაწს არასოდეს დაემუქრება ეროვნის საფრთხე.

«САХЕЛМЦИО ДА САМАРТАЛИ» («Государство и право») (на грузинском языке). Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов ГССР.
Адрес редакции: Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 103, тел.: 95-88-49; 95-58-87.
ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина, 14.

625759

ଓঁ শুণি গুণি পুণি

গুণালোচনা পত্রিকা ৭৬১৮৫

